# საერთო გაზეთი

№1 (354) • 20 იანვარი, 2016 წ. • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.


## წითელი მაიმუნის წელიწადი



იყო დრო, გვიმტკიცებდნენ – ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვაო, მაგრამ მოგვიანებით ეს მოსაზრება უარყოფილი იქნა, თუმცა დღემდე იმდენი მაიმუნი დაწრიალებს ჩვენს გვერდით თუ ჩვენს გარშემო, ხანდახან შეიძლება ეჭვიც კი შეგეპაროს – მართლა მაიმუნისგან ხომ არ გავჩნდით და რაღაცას ხომ არ გვატყუებენო?

## ლევან ლორთქიფანიძე: ჩვენი პოლიტიკური სისტემის მდგრადობას ერთადერთი ადამიანის, ბიძინა ივანიშვილის, ავტორიტეტი განაპირობებს



## ცრუპენტელა „ბარბი“



განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე ქართველ ხალხს და საქართველოს ხელისუფლებას თვალში ნაცარს აყრის?




## იოსებ არჩვაძე: დარწმუნებული ვარ, გიორგი კვირიკაშვილი წარმატებული პრემიერ-მინისტრი იქნება



## აჩრდილი დადის ქართულ ენერგეტიკაში, აჩრდილი ნოღაიდელის და სააკაშვილისა

## მამა ბასილი ანათემას გადასცემს მართლ-მადიდებლობის მტრებს

„ანათემას გადავცემ სარწმუნოების მოღალატეებს: წყეულ და შეჩვენებულ იქმნეს ბოკერია მეუღლით, გიგი თევზაძე, ირაკლი დეისაძე, ნინია კაკაბაძე, თეა თუთბერიძე, ზაზა ბურჭულაძე, ლაშა ბუღაძე, ზურაბ ქარუმიძე“



# წითელი მაიმუნის წელიწადი

**2016 წელი წითელი მაიმუნის წელიწადია.**

**არ ვიცი, რას მოგვიტანს მაიმუნის, თანაც წითელი მაიმუნის, წელიწადი – თუმცა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული – ვიმაიმუნებთ? მაიმუნურად წაგვივა საქმე, ადამიანურად მოვიქცევით? ჩვენს ყოფასაც ადამიანური იერი მიეცემა.**

**იყო დრო, გვიმტკიცებდნენ – ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვაო, მაგრამ მოგვიანებით ეს მოსაზრება უარყოფილი იქნა, თუმცა დღემდე იმდენი მაიმუნი დაწრიალებს ჩვენს გვერდით თუ ჩვენს გარშემო, ხანდახან შეიძლება ეჭვიც კი შეგეპაროს – მართლა მაიმუნისგან ხომ არ გავჩნდით და რაღაცას ხომ არ გვატყუებენო?**



## მაიმუნობა №1 – გაზპრომი

„უარი მხუთავ ოკუპაციას!“ „არა – „გაზპრომს!“ „გაზპრომი“ – რუსეთის პოლიტიკური იარაღია!“ – ასეთი ლოზუნგებით აღჭურვილი „ნაციონალები“ და მათ ხმას აყოლილი მოქალაქეები აქციას აქციაზე მართავენ და „ქართული ოცნე-




ბის“ ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვენ უარი თქვან „გაზპრომთან“ ყოველგვარ თანამშრომლობაზე.

რას მაიმუნობთ, კაცო, თქვენ და რას გვამაიმუნებთ ჩვენც – „ქართული ოცნება“ და ივანიშვილი რა შუაშია, თქვენ, „ნაციონალები“, არ იყავით, ლამის ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსებს რომ მიასხვისეთ?

ობიექტებს თავი დავანებოთ – თქვენ, „ნაციონალები“ არ იყავით, აფხაზეთი და სამაჩაბლო რუსებს ხონჩით რომ მიართვით?!

„ნაცმოძრაობა“ არ იყო, გაზსადენი მილის მიყიდვას რომ აპირებდა რუსებისთვის და ძლივს რომ გადააფიქრებინა აშშ-მ და ევროპამ?

– იყიდება ყველაფერი, სინდისის გარდა! – ღაღადებდნენ „ნაციონალები“ და მართლაც ყველაფერს ყიდდნენ... სინდისის გარდა.

ამ უკანასკნელის გაყიდვას კი იმიტომ ვერ ახერხებდნენ, რომ სინდისი ხელისუფლებაში მოსვლამდეც კარგა ხნით ადრე ჰქონდათ გაყიდული და ერთხელ უკვე გაყიდულს მეორეჯერ ვის შეასაღებდნენ?

იმდენად დიდია „ნაცმოძრაობის“ მიერ რუსებისთვის მიყიდული ობიექტების სია, რომ შეიძლება იფიქრო – ეს „ნაცმოძრაობა“ რუსეთის საბროკერო კანტორა ხომ არ იყო სინამდვილეში და პროდასავლურობას ჩვენი და დანარჩენი მსოფლიოს გასაბითურებლად ხომ არ იჩემებდნენო?

აი, ასეთი და ამგვარი „ნაცმოძრაობა“ ახლა „ქართულ ოცნებას“ უკიჟინებს რუსეთთან ნუ თანამშრომლობო.

ამას მაიმუნობა თუ არ ჰქვია, აბა, სხვა რა ჰქვია?

ისე, ამ „ქართული ოცნებისაც“ ძალიან გამკვირვებია – გადმოუღეთ მაიმუნობის ხასიათზე მოსულ ამ ნაციონალებს მათ მიერ რუსებისთვის მიყიდული უძრავ-მოძრავი ქონების ამსახველი ის მტვერწაყრილი სქელი დავთარი და დააფერთხეთ თავზე, რომ მაიმუნურ მანჭვა-გრეხვას ერთხელ და სამუდამოდ გადაეჩვიონ.

## მაიმუნობა №2 – შეწყალების საქმე

გიორგი მარგველაშვილის ერთ-ერთი პირველი საჩოთირო საქციელი ის იყო, მაიმუნობაში ბევრჯერ შემჩნეული ელისაშვილი შეწყალების კომისიის თავმჯდომარედ რომ დანიშნა, მერე კი გრანტიჭამიობაში გავარჯიშებული მეორე კადრით, **ზვიად ქორიძით** რომ ჩაანაცვლა.

არავის უკითხავს, **ალეკო ელისაშვილი,** რომელსაც ლომის წილი აქვს შეტანილი რვა უდანაშაულო ახალგაზრდის დაპატიმრებაში, დამპატიმრებლად კი შეიძლებოდა გამომდგარიყო, მაგრამ შემწყალებლად როგორ ივარგებდა?

ასე იყო თუ ისე, ელისაშვილმა შეწყალების მადლიანი საქმე მალე საკრებულოს დეპუტატობის უმადურ საქმიანობაში გაცვალა.

წელიწადნახევარი გავიდა და ელისაშვილს უცებ გაახსენდა, წელიწადნახევრის წინათ, როცა ის მთავარი შემწყალებელი იყო, ვიღაც-ვიღაცები მასზე, როგორც კომისიის თავმჯდომარეზე, ზეწოლას ახდენდნენ თურმე, რაც, ხშირ შემთხვევაში, სატელეფონო მესიჯების სახით ხორციელდებოდა.

– ერთი გვაჩვენეთ ეს მესიჯებიო, – სთხოვეს ელისაშვილს პროკურატურის წარმომადგენლებმა.



ელისაშვილის ტელეფონში მესიჯები არ აღმოჩნდა.

– იყო და ნეტავ სად წავიდაო? – გაიოცა ელისაშვილმა.

– კი, იყო, იყო, ჩემი თვალით მაქვს წაკითხულიო, – დაუმოწმა ელისაშვილს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა და ავლაბრის სიმაღლეებიდან პროკურატურის მიმართულებით მრისხანე მზერა სტყორცნა.

მიუხედავად პრეზიდენტის „მეფური“ დასტურისა, ელისაშვილის ტელეფონში ზეწოლის თუ ქვეწოლის დამადასტურებელი მესიჯები მაინც ვერ აღმოაჩინეს.

სამაგიეროდ, ისეთი ომი (ჯერჯერობით მხოლოდ საინფორმაციო) ატყდა საქართველოში, შეიძლება საპარლამენტო არჩევნებში საბრძოლო ბანაკებად დაყოფილები დავეტაკოთ ერთმანეთს.

ასე იცის მაიმუნობამ!

ადამიანმა თავის დროზე სახელმწიფო და კანონები იმისთვისაც შექმნა, რომ მაიმუნობისა და გამაიმუნებისკენ მიდრეკილება როგორმე მოეთოკა და ადამიანად დარჩენილიყო.

საქართველოში სააკაშვილმა ისე დაამახინჯა და დაასახიჩრა კანონები, რომ ვისაც რაც გინდა, იმას დააბრალებ, ვისაც რაც გინდა, იმას უწოდებ, ვისაც რაც გინდა, იმას დასწამებ და პასუხს არ აგებ, აქედან კი ერთი ნაბიჯია ადამიანის მაიმუნად ქცევამდე.

ფრთხილად იყავით, ადამიანებო, როგორც თავში ვთქვით, 2016 წელი წითელი მაიმუნის წელია, რაც იმას ნიშნავს, რომ გამაიმუნების შანსი დროის ამგვარ ციკლში ერთიორად იზრდება...





## იოსებ არჩვაძე:

# დარწმუნებული ვარ, გიორგი კვირიკაშვილი წარმატებული პრემიერ-მინისტრი იქნება

**– ერთი თვეც არ არის, რაც ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს ჩვენს ქვეყანას. ბატონი გიორგი კვირიკაშვილი გაპრემიერებამდე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გახლდათ. სხვათა შორის, ის პროფესიითაც ეკონომისტია. სწორედ ეკონომისტები სჭირდება ახლა ქვეყანას; მით უფრო, გამოცდილების მქონე ეკონომისტები.**

– ნებისმიერი ხელისუფალის საქმიანობის წარმატება ფასდება იმით, რა დახვდა ხელისუფლებაში მოსვლისას და რა დატოვა თანამდებობიდან წასვლის შემდეგ.

ახალი ხელისუფლების ეკონომიკური ზრდის ტემპი, ჯერჯერობით, მოკრძალებულია.

სამ წელიწადში 15% ეკონომიკური ზრდა არც ისე სახარბიელო მაჩვენებელია, თუმცა ბევრი რამ ჩვენს ძალებსაც აღემატებოდა.

საქართველო, გარკვეულწილად, იმ გარე ეგზოგენური, ხშირად ნეგატიური ფაქტორების მძევალია, რომლებიც მსოფლიოში ვითარდება. მაგალითად, იმის ფონზე, რაც მოხდა ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში, რაც ხდება რუსეთში და სხვაგან, ქართული ეკონომიკა სტაბილურობის კუნძულს წააგავს.

**– სტაბილურობა სტაგნაციაში?**

– დიახ, დამასწარით, ეს უნდა მეთქვა. ასეა, სამწუხაროდ, რაც მძიმე სოციალურ ფონს განაპირობებს.

ვისურვებ, მეტად გვესარგებლა ჩვენი პოტენციალით. პირველ რიგში, ადამიანური რესურსით. უფრო მეტად გამოიყენოს ხელისუფლებამ ერთგული მოქალაქეების ცოდნა-გამოცდილება.

ეს ზოგადად.

კონკრეტულად, კარგია ის, რომ პური ხაბაზმა გამოაცხოს, ეკონომიკის საკითხებს კი ეკონომიკის სპეციალისტი განაგებდეს.




პრემიერ-მინისტრის პოსტიდან დანახული მოვლენები უფრო სიღრმისეულია. მეტი შესაძლებლობა აქვს პრემიერ-მინისტრს, საკუთარი ხედვები და მიზნები განახორციელოს.

**– მოკლედ, თქვენ ახალი პრემიერის იმედი გაქვთ.**

– რატომაც არა. მოსალოდნელია, პოზიტიური შედეგები. ამის საფუძველი, გარკვეულწილად, არსებობს, ნაბიჯებიც გადაიდგა უკვე.

ყოველივე ამას ერთი შეხედვით ვერ ვამჩნევთ, თუმცა მოვახდინეთ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიცირება. 2015 წელს პირველად მოხერხდა, რომ საგარეო სავაჭრო ბრუნვაში, ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობებმა გადააჭარბა დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებს. დამეთანხმებით, აშკარად პოზიტიური ტენდენციაა.

მართალია, შემცირდა ექსპორტ-იმპორტის მოცულობა, მაგრამ ამას იმით ავხსნი, რომ საქართველომ დაკარგა ტრანზიტის ფუნქცია ავტომობილებთან დაკავშირებით. ჩვენს ექსპორტში 25% ის საქონელი იყო, რომლის რეექსპორტსაც აწარმოებდა საქართველო. ძირითადად, ავტომობილებს ვგულისხმობ.

შარშან სამჯერ გაიზარდა ნავთობპროდუქტების რეექსპორტი.

საქართველომ ისარგებლა მსოფლიო ბაზარზე მთელი რიგი პროდუქტების გაიაფებით. ნავთობპროდუქტებში, შარშან, მთელი წლის განმავლობაში 230 დოლარით ნაკლები გადავიხადეთ და რუსეთიდანაც შემოვიტანეთ 26 მლნ ტონით მეტი მარცვლეული, წინა წლებთან შედარებით, რაშიც გადავიხადეთ 18 მლნ დოლარით ნაკლები. როცა ვლაპარაკობთ იმპორტის შემცირებაზე, აქ იგულისხმება ფულადი ფორმით შემცირება, თორემ ფიზიკური ფორმით პროდუქცია არ შემცირებულა. რადგან ფულადი ფორმით შემცირდა, აღრიცხვის მეთოდოლოგიის წყალობით, ეს ეკონომიკური ზრდის მოკრძალებულ მაჩვენებლებზე აისახება, ამიტომ, დაახლოებით 3%-იანი ეკონომიკური ზრდა, რეალური მასშტაბებით, უფრო მეტია, წინა წლებთან შედარებით.

**– მოგეხსენებათ, ჩვენს დროში პოლიტიკა და ეკონომიკა გადაჯაჭვულია ერთმანეთთან.**

**საქართველოს ბოლო წლებში მჭიდრო ეკონომიკური კავშირები აქვს თურქეთის სახელმწიფოსთან.**

**ახლახან გავრცელდა ინფორმაცია საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ალიანსის შექმნის თაობაზე. თუკი ასეთი ალიანსი შედგა, მნიშვნელოვან სასიკეთო ეკონომიკურ ძვრებს შეიძლება მოველოდეთ?**

– საქართველო თანამედროვე სახელმწიფოა თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირებით მსოფლიოს 102-ზე მეტ ქვეყანასთან. ეს ურთიერთობები სხვადასხვა ფორმატს გულისხმობს, მაგრამ ქვაკუთხედი უნდა იყოს ქვეყნის ძირეული სტრატეგიული და არა კონიუნქტურული ინტერესი. არც ერთი კავშირი, შეთანხმება, ხელშეკრულება არ უნდა იქნას დადებული იმ ფორმატში, რომელიც ზიანის მომტანი იქნება ქვეყნისთვის უახლოეს, ან კიდევ, შორეულ პერსპექტივაში. მაქსიმალური სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ასეთი ტიპის განცხადებებს და, მით უფრო, გადადგმულ ნაბიჯებს. ხელისუფლების ნებისმიერმა შტომ უნდა გაითვალისწინოს, რომ ძალაუფლების წყარო არის ხალხი და ხალხის მიერ გადაცემული უფლებებით უნდა იმოქმედონ ხელისუფლების წარმომადგენლებმა. თუ იმას გააკეთებენ, რისი უფლებაც ხელისუფლებისთვის ხალხს არ მიუცია, ეს იქნება ხელისუფლების უზურპაცია და უზურპაცია როგორც მთავრდება, ამის მაგალითები ბევრი არსებობს.

**– „გაზპრომთან“ მიმდინარე მოლაპარაკებები, ოპოზიციის აზრით, ხალხის ნების საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს. „გაზპრომთან“ ხელშეკრულების გაფორმება ჩვენს სახელმწიფოებრიობას საფრთხეს უქმნისო...**

– სახელმწიფოებრიობისთვის საფრთხის შემცველი იქნება ნებისმიერი შეთანხმება, რომელშიც ჩადებული იქნება ჩვენი ქვეყნისთვის მიუღებელი პირობები.

წლების განმავლობაში, მათ შორის, აგვისტოს ომამდე და შემდეგაც არ შეგვიწყვეტია რუსეთისთვის ელექტროენერგიის მიწოდება.

ვერავინ ვერ დამისაბუთებს, რომ ელექტროენერგიის იმპორტი რუსეთიდან მისაღებია, ხოლო გაზის იმპორტი – სასიკვდილო საფრთხის მატარებელი. მთავარია, რა პირობებს ჩავდებთ ხელშეკრულებაში. საფრთხეები შეიძლება, რომ ავიცილოთ თავიდან. ჩვენი ენერგორესურსების დივერსიფიცირება აუცილებელია.

საქართველოში მოპოვებული გაზი, ასე რომ ვთქვათ, დილიდან დილამდე ეყოფა მთლიანად საქართველოს. ამიტომაცაა აუცილებელი დივერსიფიცირება. შეგახსენებთ, 80-იანი წლების ბოლომდე საქართველო 8,5 მლრდ კუბურ მეტრ გაზს მოიხმარდა. მრეწველობა დუღდა და თუხთუხებდა. ახლა 2 მლრდ 400 მლნ კუბურ მეტრზე ავიდა ჩვენს მიერ გაზის მოხმარების რაოდენობა. პერსპექტივაში ჩვენ მხოლოდ ასეთი მწირი და სუსტი რეალური ეკონომიკის მფლობელები ვერ ვიქნებით. მოსახლეობის კეთილდღეობა უნდა გაიზარდოს.

მოგეხსენებათ, რა პრობლემებიც დგას ელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით. მოსახლეობა უკმაყოფილოა მსხვილი ენერგოობიექტების მშენებლობით. აუცილებელი გახდა ალტერნატიული წყაროების მოძიება იმ პირობებში, როდესაც აზერბაიჯანიდან რესურსები ჯერჯერობით გამოკვეთილი არაა, ხოლო ირანიდან გაზის მიღების პერსპექტივა მხოლოდ თეორიულ დონეზე არის შესაძლებელი.

**– რამდენადაც ვიცი, გასულ საუკუნეში ირანულ გაზს აქტიურად მოიხმარდა საქართველო.**



– გასული საუკუნის 80-იან წლებამდე საქართველო ირანიდან იღებდა ბუნებრივ აირს, რომელიც ეკოლოგიურად უფრო უსაფრთხო იყო. შემდეგ ირანში განვითარებული მოვლენების გამო მოწოდება შეწყდა და ჩვენ მთლიანად რუსულ გაზზე გადავერთეთ.

საერთოდ, ირანის საკითხი ბოლომდე გარკვეული არ არის. ეს სახელმწიფო თვითონ არის დიდი გეოპოლიტიკური თამაშების მძევალი. იმის მიხედვით, რა გადაწყვეტილებებს მიიღებენ დიდი სახელმწიფოები თეირანის ბირთვულ პროგრამასთან და მსოფლიო ბაზარზე ირანის სრულფასოვან მოთამაშედ გასვლის თაობაზე, ამაზე იქნება ყველაფერი დამოკიდებული. ამიტომ ეს საკითხი მხოლოდ საქართველოსა და ირანის სურვილებზე არ არის დამოკიდებული, სხვა ფაქტორებმაც უნდა განაპირობონ ეს.

თვალი უნდა ვადევნოთ გეოპოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომ მოგვეცეს შანსი დაიხურება თუ არა ირანისგან ენერგომატარებლების საქართველოში შემოსვლის ან საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტად გამოყენების საკითხი.

რაც შეეხება სტრატეგიას ამ კუთხით, ხელისუფლების ამოცანა უნდა იყოს, მოახდინოს სხვადასხვა წყაროების დივერსიფიცირება, მაგრამ არც ერთი ხელშეკრულება არ უნდა დაიდოს ისე, რომ დაზიანდეს ქვეყნის ინტერესები.

მაგალითისთვის: სამზარეულოში დანას ვიყენებთ პურისა და სხვა საკვების დასამუშავებლად, ზოგიერთი კი სხვა ადამიანისთვის სიცოცხლის მოსასპობად. გააჩნია, როგორ გამოვიყენებთ დანას.

იგივე „გაზპრომთან“ დამოკიდებულებაში ფრთხილი პოზიცია უნდა გვეჭიროს და ბოლომდე დავიცვათ ჩვენი ინტერესები.

აპრიორი შეფასება, რომ „გაზპრომი“ რუსულია, საშიშია და ახალი ტროას ცხენია, გადაჭარბებულად მეჩვენება, თუმცა, რა თქმა უნდა, „გაზპრომი“ რუსულ სახელმწიფო ინტერესებს გაატარებს, ხოლო ჩვენ მოლაპარაკების ფორმატში კომპეტენტური პირები უნდა ჩავრთოთ.

**– თქვენი აზრით, რას ეყრდნობა ოპოზიცია, როცა ცალსახად აცხადებს, რომ „გაზპრომთან“ დადებული ხელშეკრულება დაღუპავს საქართველოს და ეს ხელშეკრულება საბოლოოდ კაპიტულანტური იქნება „ოკუპანტთან“?**

– ოპოზიციის მთავარი მიზანი არის, მოვიდეს ხელისუფლებაში, ამიტომ ხელისუფლების ნებისმიერი ქმედება მათი მხრიდან უნდა შეფასდეს ნეგატიურად. ეს არის ყველა ოპოზიციური ძალის სამოქმედო ალგორითმი. ამაში რაიმე გასაოცარს მე ვერ ვხედავ.

**– თუკი ნაცმოძრაობის ხელისუფლებამ სტრატეგიული და ენერგეტიკული ობიექტები რუსეთს მიჰყიდა, ქვეყნის გადარჩენისთვის იბრძოდნენ მაშინ, ხოლო ახლა რუსეთთან დადებული ეს ხელშეკრულება მომაკვდინებელია?**

– მათ ყველაფერი მიჰყიდეს რუსეთს. ჩვენი ტერიტორიების 20% გადასცეს, ამიტომ მათ ხმა არ აქვთ ამოსაღები, მაგრამ რადგან ოპოზიციაში არიან, ხმაურობენ.

ვიმეორებ, ვინც უნდა ყოფილიყო ოპოზიციაში, „ნაცმოძრაობა“ თუ ნებისმიერი სხვა ძალა, მათი მიზანი იქნებოდა ხელისუფლებაში მოსვლა.

„ნაცმოძრაობა“ მოქმედებს მაკიაველის პრინციპით, „მიზანი ამართლებს საშუალებას“. აი, ეს არის ყველაფერი.

**– ბატონო სოსო, როგორ ჯობს ჩვენი ეკონომიკისთვის, რა პროპორციებით უნდა მივიღოთ ენერგორესურსები აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან ან სხვა ქვეყნებიდან?**

– ზოგადად, ყველაზე ოპტიმალურია, როცა რომელიმე ერთ მომწოდებელზე ერთ მესამედზე მეტად არ ხარ დამოკიდებული, მაგრამ ეს იდეალური მოდელია, რომელიც ხშირად ოცნების სფეროს წარმოადგენს, ამიტომ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლებად ვიყოთ დამოკიდებული მომწოდებელზე. თუ არის, მაგალითად, ორი მომწოდებელი, მაშინ თვითღირებულება, მოწოდების ხარჯები და ა.შ. თანაბრად 50/50-ზე იყოს. სამი მომწოდებლის არსებობა უკეთესია. ამიტომ, მაგალითად, ირანის შემოსვლა საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე ჩვენთვის ხელსაყრელი და საინტერესო იქნება, თუმცა გავიმეორებ ზემოთ ნათქვამს: ეს დიდი გეოპოლიტიკური გადაწყვეტილებების შემდეგ შეიძლება მოხერხდეს.

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118

გასულ წელს ელექტროენერგია ხომ დაჩქარებული წესით გაგვიძვირეს და ახალი წლის დადგომისთანავე კვლავ ტარიფის მატებაზე ალაპარაკდნენ. ტარიფის გაზრდის აუცილებლობას ენერგოკომპანიები, სემეკი და მთავრობა ობიექტური მიზეზებით ხსნიდა, ლარის კურსი დოლართან მიმართებაში მკვეთრად დაეცა, თუ არ გვინდა ისევ ბნელმა და უკუნმა მოგვიცვას, ენერგოკომპანიებს ნორმალური მუშაობის საშუალება უნდა მივცეთო. ახლაც ალბათ იმავე „ობიექტურ" მიზეზს მოიშველიებენ. მოგეხსენებათ, მადა ჭამაში მოდის, მადას კი ნამდვილად არ უჩივიან მონოპოლისტი ენერგოკომპანიები, მით უმეტეს, იციან მათ სურვილს უყოყმანოდ დააკმაყოფილებს სემეკი, რომელიც მომხმარებლის ინტერესების დასაცავად შეიქმნა, სინამდვილეში კი ენერგოკომპანიების ინტერესების დამცველად გვევლინება.

გასული წლის გაზაფხულზე, ანუ იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ ვიხდიდით ჩვენს ფანჯრებში არსებული სინათლის გაზრდილ ტარიფს, „საერთო გაზეთის" ფურცლებზე დაიბეჭდა რამდენიმე სტატია („საუკუნის ძარცვა, ანუ ენერგომაფია და ქართული ენერგეტიკის „რუხი კარდინალებ", „ქართული ენერგეტიკის დიდი ღამე"), სადაც ქართულ ენერგეტიკაში არსებულ განუკითხაობაზე ვსაუბრობდით. სხვათა შორის, ღია წერილითაც მივმართეთ მაშინდელ პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, მთავარ პროკურორ გირგი ბადაშვილს და „მარადმწვანე" ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძეს, რომ დაუყოვნებლივ მოეხდინათ რეაგირება ენერგოსფეროში არსებულ ვითარებაზე, რადგან არსებობდა (დღესაც არსებობს) დიდი ეჭვი, რომ ნაციონალური მმართველობის მიერ ჩადენილი იყო სისხლის სამართლის დანაშაული. ჩვენს პუბლიკაციებს „ადექვატური" პასუხი მოყვა 2015 წლის 1 აგვისტოდან ელექტროენერგია რამდენიმე თეთრით დაჩქარებული წესით გაგვიძვირეს. რა თქმა უნდა, არ გამხდარა სახელმწიფო დონეზე განხილვის საგანი ის გარემოება, თუ რატომ სასათბურე პირობებში მონოპოლისტი ენერგოკომპანიები „თელასი" და ე.წ. ჩეხური „ენერგო-პრო ჯორჯია", რა პრინციპით მიანიჭეს მათ მონოპოლისტის სტატუსი და ა.შ. განსაკუთრებულ ეჭვს „ენერგო-პრო ჯორჯიასადმი" ხელისუფლების დამოკიდებულება იწვევს, კომპანიისადმი, რომელსაც ერთი თეთრი ინვესტიცია არ ჩაუდია, ისე გახდა ყველაზე მსხვილი ენერგოგამანაწილებელი. ყველაზე კურიოზული ამ შემთხვევაში ალბათ ის არის, რომ მომხმარებლის ინტერესების ყველაზე „გულმხურვალე" დამცველებად ოპოზიციაში გადაბარგებული ნაციონალები გვევლინებიან. არადა ეს ე.წ. ჩეხური კომპანია სწორედ მათი მმართველობისას გამოჩნდა ქართულ ენერგობაზარზე და მათმა ამჟამად ოდესაში „გადაპორტირებულმა" ბელადმა მიანიჭა განუსაზღვრელი უფლებები. ნაციონალებს რომ მუდმივად აწუხებთ ამნეზიის პრობლემა, ეს დიდი ხანია ვიცით, მაგრამ, როგორც ჩანს ჟურნალისტებსაც დაემართათ ეს „სენი", განსაკუთრებით კი ტელეჟურნალისტებს, რატომღაც არავინ ეკითხება ამ „ხალხოსნებს", კი მაგრამ თქვენ არ შემოიყვანეთ გაურკვეველი წარმომავლობის „ენერგო-პრო" საქართველოში, მოსახლეობის ხარჯზე საუკეთესო პირობები შეუქმენით და ხონჩით მიართვით, როგორც მონოპოლისტი გამანაწილებლის ფუნქცია, ისე ელექტროსადგურები და გადამცემი ხაზებიო. რატომღაც ნაცებს არც იმას ახსენებენ, რომ ენერგოკომპანიებთან დადებული ხელშეკრულებების და მემორანდუმების გასაიდუმლოებაც მათი მთავრობის ხელმძღვანელის ზურაბ ნოღაიდელის და ენერგეტიკის მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის „შემოქმედებაა". მომხმარებლის, ანუ ამომრჩევლის ინტერესები რომ დაცული უნდა იყოს, ამაზე არავინ დაობს, მაგრამ საქმე ისაა, ვის აქვს უანგარო დამცველის ფუნქციაზე პრეტენზია. ზემოთ გაზრდილი ტარიფის დაჩქარებული წესით მიღებაზე ვსაუბრობდით. გასულ წელს, როდესაც დენის ტარიფის გაზრდაზე ალაპარაკდნენ, პრესაში გამოქვეყნდა დარგის სპეციალისტთა განცხადებები ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით. ენერგეტიკის აკადემიის წევრი თემურ ჭიჭინაძე აცხადებდა, რომ მართალია, ლარის კურსი დაეცა, მაგრამ „ენერგო-პრო ჯორჯია" წლების განმავლობაში (2006 წლიდან) მსხვილ მოგებაზე მუშაობდა, რადგან პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მას თავიდანვე გაბერილი ტარიფი დაუდგინა (განაწილების ტარიფი დაახლოებით რვა თეთრამდეა - მ.ს.). სემეკმა ბევრი რამ არ გაითვალისწინა და მხოლოდ ლარის კურსის დაცემით იხელმძღვანელა, ანუ არ გაითვალისწინა, რომ ნაციონალების „ფავორიტს" თითქმის მუქთად უბოძეს გენერაცია (ელექტროენერგიის გამომუშავების ობიექტები), დისტრიბუცია და იგი მთლიანობაში მომგებიანი კომპანიაა. პროფესიონალი ენერგეტიკოსის აზრით, ლარის კურსის მკვეთრი ცვლილება იმდენად არ იმოქმედებდა საშუალო შეწონილ ტარიფზე, რომ ასე სწრაფად გადაეხედათ „ნერგო-პრო ჯორჯიას" ტარიფისთვის. სემეკს 150 დღე, ანუ ხუთთვიანი ვადა ჰქონია სატარიფო განაცხადის განსახილველად, ეს ვადა სექტემბერში იწურებოდა, მაგრამ ქალბატონი მილორავას კანტორამ შესაშური ოპერატიულობა გამოიჩინა და აგვისტოს დასაწყისიდან გაზრდილი ტარიფით „გაახარა" რეგიონების მოსახლეობა. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, ასე რატომ იჩქარეს მომხმარებლის ინტერესების დამცველებმა, რომლებიც პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტზე გაცილებით მეტ ჯამაგირს იღებენ. კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი, სემეკი ხუთი წევრით უნდა იყოს დაკომპლექტებული, მაგრამ „ჩქაროსნული" გადაწყვეტილების მიღების დროს მხოლოდ სამ წევრს ითვლიდა. ორ წევრს ვადა დიდი ხნის წინ ამოეწურა, მათ შორის ერთი ნაციონალების „კაშკაშა ვარსკვლავი" მაია ნადირაძე გახლდათ, სწორედ ამაზე უთქვამს ბრძენ ქართველს, საიდან სადაო წმინდა საბაო. თემურ ჭიჭინაძის განცხადებით, ხსენებულ ორ ადგილზე ვაკანსია იყო გამოცხადებული, უნდა გამართულიყო კონკურსი, მაგრამ... ძნელია არ დაეთანხმო ბატონ თემურის მოსაზრებას, რომ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მავანთ ახალი წევრების შემატების ეშინოდათ, რადგან ტარიფის მატების საკითხს ასე მარტივად ვეღარ გაიტანდნენ. ექსპერტის აზრით, „თელასსაც" გაბერილი ტარიფი აქვს და ის 12 თეთრს არ უნდა აღემატებოდეს.

ხელისუფლების გასაგონად კიდევ ერთი პროფესიონალი ენერგეტიკოსის მოსაზრებას გაგაცნობთ, რომელიც ასევე გასულ წელს გავრცელდა მედიასაშუალებით. ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტის რევაზ არველაძის აზრით, სემეკმა სრულად არ გაითვალისწინა ტარიფში არსებული რეზერვები, პირველ რიგში კი ის გარემოება, რომ წლების წინ, „ენერგო-პროს" ქართულ ენერგობაზარზე შემოსვლამდე ელექტროსადგურებს გაუმართლებლად გაუზარდეს გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფი, რაც მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ეს ობიექტები საპრივატიზაციო ნუსხაში ხვდებოდნენ. ერთი სიტყვით, ინვესტორისთვის მიმზიდველნი რომ გამხდარიყვნენ და არა იმიტომ, რომ ამ ელექტროსადგურებს ზუსტად ამდენი ჰქონდათ ხარჯი. საუბარია დასავლეთ საქართველოში არსებულ ჰესებზე, რომელიც შემდგომ „ენერგო-პრომ" ასე ვთქვათ, შეისყიდა. უფრო მეტად დავკონკრეტდებით, ბატონმა სააკაშვილმა, რომელსაც დამსახურებულად შეერქვა „მაოხრებელი გზირი", „ლაჯანურჰესის", „რიონჰესის", „გუმათჰესის", „შაორჰესის", „ძევრულჰესის" და „აწჰესის" აქტივები პირდაპირი მიყიდვის ფორმით 73.500.000 აშშ დოლარად, ან მის ექვივალენტურ ლარად გადასცა „ენერგო-პრო ჯორჯიას", მოგვიანებით ამ ჩამონათვალს ორი ჰესიც დაუმატეს, ერთი მათგანი საქართველოში ყველაზე პირველად აშენებული ზაჰესი გახლავთ, რომელიც ოფიციალური ვერსიით დაახლოებით 18 მილიონ დოლარად მიუყიდიათ ე.წ. ჩეხური კომპანიის შვილობილი „ენერგო-პრო ჯორჯიასთვის". ლარის კურსის დაცემაზე იმ მიზეზით აპელირებენ ქართველი „ენერგომამები", რომ ზამთარში თბოელექტროსადგურებს ვამუშავებთ, რისთვისაც აზერბაიჯანში მყარ ვალუტაზე შეძენილ ბუნებრივ აირს ვიყენებთ, ელექტროენერგიის იმპორტსაც ვახდენთ, რასაც ასევე დოლარში ვყიდულობთო. როგორც ბატონი რევაზ არველაძე აცხადებს, საერთო ელექტროენერგეტიკულ ბალანსში ჰესების მიერ გამომუშავებული ელენერგიის წილი 70%-ია, 20% მოდის თბოელექტროსადგურებზე, ხოლო 10% იმპორტული დენია. ზამთარში ჩვენი ჰესები მართლაც ვერ აკმაყოფილებენ შიდა მოთხოვნებს და გვჭირდება თბოელექტროსადგურების გამომუშავებული და იმპორტული ელენერგია, მაგრამ რა წილითაც ამ ორი კატეგორიის ელენერგია მონაწილეობს ბალანსში, სამომხმარებლო ტარიფი იმ წილით უნდა გაზრდილიყოო, მაგრამ პროფესიონალთა აზრი ვის აინტერესებს, ამიტომაც რჩება მათი განცხადებები „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა". როგორც „თელასს", ისე „ენერგო-პრო ჯორჯიას" საკუთრებაში აქვს ჰესები, ერთადერთი „ენგურჰესია" სახელმწიფოს მფლობელობაში, რომელიც გაყიდვას მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ ის ნაწილობრივ აფხაზეთსაც ეკუთვნის. ამ ჰესის გამომუშავებულ ელექტროენერგიას, რომ იტყვიან კაპიკებში ყიდულობენ მონოპოლისტი გამანაწილებლები და ხელოვნურად გაზარდეს ნაციონალებმა წლების წინ ადგილზე გამომუშავებული ელენრგიის ფასი, რომელიც არც იმხელაა, რომ ქარის ყოველ დაქროლებაზე ტარიფის გაზრდაზე აკეთოს განაცხადები „ენერგო-პრო ჯორჯიამ", რომელსაც მეორე ხმაში აჰყვება ხოლმე ერთი ქვესადგურის ფასად ამერიკელებზე გაყიდული (25 მილიონი აშშ დოლარი) და მერე პატრონნაცვალი „თელასი"? სხვათა შორის, ამ კომპანიის რუსებზე გადაყიდვაც ნაცების დამსახურებაა, მაგრამ მათ რაც არ აწყობთ, ის არ ახსოვთ, ამ ალაგ-ალაგ ამნეზიით საბჭოურ საკულტო კომედია „იღბლიანი ჯენტლმენების" პერსონაჟს რომ მოგვაგონებენ.



# აჩრდილი დადის ქართულ ენერგეტიკაში, აჩრდილი ნოღაიდელის და სააკაშვილისა



აქვე არც ის უნდა დაგვავიწყდეს, „ნაცმოძრაობამ" საპრივატიზაციოდ „გახაზირებული" ჰესების რეაბილიტაცია მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტით მოახდინა და ისე გადაულოცა „ენერგო-პრო ჯორჯიას". ცხადია, ამ კრედიტის გადახდა ბიუჯეტის მიერ უნდა მოხდეს, რადგან ყველა სესხი სახელმწიფოს გარანტიით იყო აღებული. ასე რომ, სააკაშვილი-ნოღაიდელის ტანდემის „გულუხვობაზე" პასუხისმგებლობა სახელმწიფოს, ანუ მოსახლეობას გვეკისრება. რეაბილიტირებული ობიექტების ღირებულება თურმე 300 მილიონ დოლარს უტოლდებოდა, რაც სიმბოლურ ფასად გადასცეს ხსენებულ კომპანიას, ჩვენს რესპოდენტებს ეჭვი ჰქონდათ, რომ მათ არც ეს მიზერული თანხა გადაუხდიათ თავიანთი ჯიბიდან და თუ მართლაც დაფარეს, ესეც ქართველი მომხმარებლის ხარჯზე მოხდა. ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს გაუჩნდება კითხვა, რატომ იყვნენ ეს პერსონები ასეთი ლმობიერნი გაურკვეველი წარმოშობის ენერგოკომპანიის მიმართ, რომლის სათაო ოფისიც კომპასით და სანთლით ეძებეს ჟურნალისტებმა ჩეხეთში და ერთი მიყრუებული სოფლის „კომუნალკაში" მიაკვლიეს, სადაც სულ ორი ოთახი ეკავათ. თუ თავად არ ჰქონდათ ინტერესი რომელი ჭკუათმყოფელი მიანიჭებდა ამ კომპანიას, როცა კონკურსში განაცხადი სხვა სერიოზულ ევროპულ კომპანიასაც ჰქონდა შეტანილი. ავ ენებს თუ დავუჯერებთ, „ენერგო-პრო ჯორჯია" სინამდვილეში ზურაბ ნოღაიდელის კუთვნილებაა და არა მხოლოდ მისი. ნოღაიდელი პირველი პირის მხარდაჭერის გარეშე ამ ყველაფერს ვერ შეძლებდა, ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ საინტერესო ის არის, დღეს რატომ არ ხდება რეაგირება, სად

6 gv.

# ცრუპენტელა „ბარბი“

## განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე ქართველ ხალხს და საქართველოს ხელისუფლებას თვალში ნაცარს აყრის?

**ᲓᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ: კატასტროფაა, როდესაც პრემიერ მინისტრი და ხელისუფლება დასაქმების საკითხს პრიორიტეტულად აცხადებს და განათლების მინისტრი და მისი აპარატი იმის ნაცვლად, რომ დასაქმების სტრატეგია შეიმუშაოს, თვითდასაქმებაზე გვესაუბრება.**

**პროფესიული განათლების პროფკავშირების თავმჯდომარე განათლებისა და მეცნიერების მინისტრს მთავრობის ძველი და ახალი ხელმძღვანელების მოტყუებაში ადანაშაულებს და ახალგაზრდების დასაქმების სტრატეგიაზე სასაუბროდ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრას გეგმავს. კონკრეტულად, რაში სდებს ბრალს თამარ სანიკიძეს და როგორ აპირებს უმუშევრობის პრობლემის მოგვარებას, ამაზე „საერთო გაზეთს“ თავად დენის დავითაშვილი ესაუბრა:**



– მინდა თქვენი მკითხველის ყურადღება ირაკლი ღარიბაშვილის თანამდებობიდან წასვლის წინა დღეებში წარდგენილი სამწლიანი მუშაობის ანგარიშის იმ ნაწილზე გავამახვილო, რომელიც განათლების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას ეხებოდა. ბუნებრივია, ირაკლი ღარიბაშვილმა გააჟღერა ის მონაცემები, რაც მას განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიაწოდა და რაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სამწლიანი მუშაობის ანგარიშშია ასახული. თამარ სანიკიძემ საზოგადოებას კიდევ ერთხელ, „თვალში ნაცარი შეაყარა“ და განაცხადა, რომ 2015 წელს პროფესიული განათლების ბიუჯეტი 2013 წელთან შედარებით გასამმაგდა, ხოლო 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით, პროფესიულ განათლებაზე მიმართული სახსრები 2012 წელთან შედარებით 83.0%-ით იზრდება. სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქითაა. 2014, 2015 და 2016 წლების ბიუჯეტის პარამეტრები რომ შევადაროთ, პროფესიული განათლების დაფინანსება მნიშვნელოვნად შემცირებულია: 2014 წლის ბიუჯეტში პროფესიული განათლებისთვის გათვალისწინებული იყო 28 მილიონ ნახევარი, 2015 წელს ჩამოვიდა 27 მილიონამდე, ხოლო ამ წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მხოლოდ 22 მილიონი ლარი. ანუ 83%-იანი ზრდა კი არა, 2014 წელთან შედარებით, 6 მილიონ ნახევრიანი კლებაა. შესაბამისად, არსებული კოლეჯების რეაბილიტაციისა და ლიკვიდირებული კოლეჯების აღსადგენად, 2014 წელს გამოყოფილი იყო 14 მილიონი ლარი, ხოლო წელს ეს თანხა სულ 11 მილიონს ლარს შეადგენს. საინტერესოა, რომელ პარამეტრში დაინახა მინისტრმა მატება? სანიკიძის მორიგი ტყუილია, რომ სახელმწიფო სრულად აფინანსებს პროფესიულ განათლებას. თუ არ იცის, მინისტრს განვუმარტავ, რომ პროფესიული განათლების სრული დაფინანსება გულისხმობს, როცა სახელმწიფო აფინანსებს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრებისა და კვების ხარჯებს და სპეციალურ ტანსაცმელს, როგორც 15-20 წლის წინ იყო, მაგრამ ახლა ამაზე საუბარი სასაცილოა. ერთი კოლეჯის გარდა, არც ერთ კოლეჯს არ გააჩნია საერთო საცხოვრებელი და იქაც სტუდენტები საკუთარ თავს თავად აფინანსებენ. სანიკიძის მორიგი ტყუილი სამი ახალი პროფესიული სასწავლებლის დაფუძნება და რეგიონებში არსებული ქსელის 8 ახალი ერთეულით გაზრდაა.

– **ეს როგორ გავიგოთ? ახალი პროფესიული კოლეჯები არ დაფუძნებულა?**

– მხოლოდ ქარატინა ქალაქზე დაფუძნებული სამი პროფესიული სასწავლებლიდან არც ერთი არ გახსნილა და არც ერთში არ წარმოებს სწავლება. უბრალოდ, დაიწერა, რომ ყოფილი თოიძის სამხატვრო სასწავლებლის ბაზაზე დაფუძნდა სახელობო კოლეჯი. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ ამ კოლეჯს ჭონქაძის ქუჩაზე მდებარე შენობა 8 მილიონ ნახევრად გაუყიდეს და შარშანწინ, წერეთლის 134-ში გამოუყვეს სხვა შენობა. წერეთლის გამზირზე გავლისას აუცილებლად შეამჩნევთ, რომ ამ შენობის მეოთხე სართული უკვე ინგრევა. ახლა სამინისტროს ტენდერი აქვთ გამოცხადებული შენობის მთლიანად დაშლაზე. ძველი როდის დაიშლება და ახალი როდის აშენდება, კაცმა არ იცის და ამ დროს, სამინისტრო კოლეჯის დაფუძნებაზე ლაპარაკობს. ეს ნამდვილი აფიორაა. განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობამ მარაზმამდე მიიყვანა პროფესიული განათლების არსებობა. თავად განსაჯეთ, რომელი სასწავლებლის დაფუძნებაზეა საუბარი, შენობის არარსებობის პირობებში? სასწავლებლის დაფუძნებასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანება ყალბია და ამის გამო თამარ სანიკიძემ პასუხი უნდა აგოს. მეორე, ვითომ დაფუძნებული პროფესიული სასწავლებელი წინამძღვრიანთკარის კოლეჯი გახლავთ. კოლეჯის დაფუძნებაზე ბრძანება შარშანწინ დაიწერა, მაგრამ შარშან ამ საქმისთვის არც ერთი თეთრი არ დახარჯულა. ახლა რაღაც თანხები გამონახეს და სასწავლო კორპუსის აშენებას აპირებენ, მაგრამ არა მგონია, ამის გაკეთება სექტემბერ-ოქტომბრისთვის მოესწროს.



თანაც, როგორც ვიცი, საუბარია მხოლოდ სასწავლო კორპუსის აშენებაზე. პროფესიული განათლების სისტემაში გათვითცნობიერებულმა ადამიანებმა კი მშვენივრად იციან, რომ კოლეჯისთვის სასწავლო სახელოსნო უფრო აუცილებელი და მნიშვნელოვანი კომპონენტია, ვიდრე კლას-კაბინეტები. სწორედ ამ სახელოსნოებში უნდა დაეუფლოს ახალგაზრდა ხელობას, მერე წავიდეს პრაქტიკა გაიაროს და დამსაქმებლებთან დაიწყოს მუშაობა. რაც შეეხება მესამე „დაფუძნებულ“ კოლეჯს, ჩემი ინფორმაციით, ტექნიკურ უნივერსიტეტთან სარკინიგზო კოლეჯის დაფუძნებასაც აპირებენ, რაც სრულიად წარმოუდგენელია. კანონმდებლობა არ იცნობს ნორმას, რომელიც რომელიმე უმაღლეს სასწავლებელთან პროფესიული კოლეჯის დაფუძნებას დაუშვებს. პროფესიული კოლეჯი უნდა იყოს განათლების სამინისტროს მიერ დაფუძნებული სსიპ და გააჩნდეს საკუთარი შენობა. ამ კოლეჯს სავარაუდოდ, არანაირი შენობა არ გააჩნია და რომელ დაფუძნებაზეა ლაპარაკი?

– **ალბათ, კოლეჯის შენობაში ტექნიკური უნივერსიტეტის შენობა იგულისხმება..**

– ვიმეორებ, ტექნიკური ან სხვა რომელიმე უნივერსიტეტი ვერ იქნება რაიმე სხვა სასწავლო დაწესებულების დამფუძნებელი. რაც შეეხება ფილიალების სახით ქსელის გაფართოებას, ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, რადგან პროფესიული კოლეჯის დაფუძნება მაშინაა შესაძლებელი, როცა მას გააჩნია სასწავლო კორპუსი და სახელოსნოები. სანიკიძემ და მისმა პირველმა მოადგილემ ნატრიაშვილმა კანონის გვერდის ავლით გადაწყვიტეს, რომ უმაღლეს სასწავლებლებთან შექმნან რაღაც ჯგუფები და არსებული პროფესიული კოლეჯების ბაზაზე გახსნან ფილიალები. განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობა თვალში ნაცარს აყრის მთავრობის ხელმძღვანელს, საზოგადოებას, სისტემას და ხელისუფლებას, როცა აცხადებს, რომ ლიკვიდირებული კოლეჯების ნაცვლად მან უკვე დააფუძნა სამი ახალი და რვა ერთეული გააფართოვა.

– **იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რომელ რვა ერთეულზეა საუბარი?**

– პროფესიული კოლეჯების ფილიალებზე, რომლებიც ვითომ ალვანში, დედოფლისწყაროში, ლაგოდეხში, ნოჯიხევში, თიანეთში და ყაზბეგში უნდა გაიხსნას. შეგახსენებთ, რომ კანონმდებლობით, ფილიალს არ ჰყავს არც დირექტორი, არც დირექტორის მოადგილე, არც ხარისხის, პროგრამების ან შესყიდვების მენეჯერი, არც ბუღალტერი. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, როგორ შეიძლება კაჭრეთში მდებარე კოლეჯის დირექტორმა უხელმძღვანელოს ალვანში მდებარე ფილიალს ყოველგვარი ადმინისტრაციის გარეშე. ეს აბსურდი არის მინისტრის და მისი მოადგილის „ნოუ-ჰაუ“, რომელიც სრული კატასტროფით და ბიუჯეტის ფულის ფლანგვით დამთავრდება. ფულის ფლანგვაზე გამახსენდა.. თბილისის ორ პროფესიულ კოლეჯში „სპექტრი“ და „მერმისი“ აყარეს მშვენიერი მუხის პარკეტი და ახალ იატაკს აგებენ. რისთვის? რა საჭიროა ასეთი ზედმეტი ხარჯი? ეს სხვა არაფერია თუ არა საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვა და საბოტაჟი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იატაკაყრილ კორპუსში მიმდინარეობს სწავლა და სტუდენტები და მასწავლებლები ცემენტს და გაჯს სუნთქავენ.

– **საუბრის დასაწყისში ბრძანეთ, რომ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრას გსურთ. თუ საიდუმლო არაა, გაგვიმხელით, რა თემებზე აპირებთ პრემიერ მინისტრთან საუბარს?**

– დამტკიცებისთანავე, ახალმა პრემიერ მინისტრმა გამოაცხადა, რომ მისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი დასაქმება იქნება. დასაქმების აუცილებელი მოთხოვნა კი პროფესიული განათლებაა. პროგრამა „პროფესიული განათლება დასაქმების უზრუნველყოფისთვის და ეკონომიკური განვითარებისთვის“ ისაა, რაზეც წლებია ვსაუბრობთ. ჩვენ შემუშავებული გვაქვს სამოქმედო გეგმა და სტრატეგია, რომელსაც პრემიერ მინისტრს წარვუდგენთ. მოგეხსენებათ, რომ გიორგი კვირიკაშვილმა ბრძანა, რომ აუცილებლად შეხვდება არასამთავრობო ორგანიზაციებს და ბიზნესის წარმომადგენლებს. ჩვენ უკვე მივმართეთ სახელმწიფო კანცელარიას და გამოვხატეთ სურვილი, რომ მონაწილეობა მივიღოთ ამ შეხვედრაში.

თუ პრემიერისთვის საინტერესო იქნება, გავაცნობთ ჩვენს პოზიციას ახალგაზრდების დასაქმების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ჩვენ საკმაოდ ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, მივედით დასკვნამდე, რომ ცალკე აღებული ვერც განათლების, ვერც ჯანდაცვის, ვერც ეკონომიკის და ყველა დანარჩენი სამინისტროები ვერ უზრუნველყოფენ დასაქმების მწყობრი სისტემის შექმნას, რადგან პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვერც ერთი დარგობრივი სამინისტრო ვერ იღებს. სხვათა შორის, ძალიან მომწონს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მუშაობა, რომელმაც პატიმრებს პროფესიის შესწავლის და დასაქმების შანსი მისცა. რა თქმა უნდა, პატიმრებს საშუალება ექნებათ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიღებული ცოდნა თავისუფლებაზეც გამოიყენოს და დასაქმდეს. მე მქონდა კახი კახიშვილთან კონტაქტი და დავრწმუნდი, რომ ძალიან გონიერი და მოაზროვნე ადამიანია. მან შექმნა საკონსულტაციო საბჭო, რომლის წევრიც გახლავართ. ასევე, მომწონს სერგეენკოსა და მისი მოადგილეების მუშაობაც, მაგრამ ცალკეული სამინისტროები ვერ გადაწყვეტენ დასაქმების გლობალურ პრობლემას. ჩვენ გვაქვს წინადადება, რომელსაც მხარს მთელი სისტემა უჭერს, რომ მთავრობასთან, უშუალოდ პრემიერის დაქვემდებარებაში შეიქმნას თუნდაც პატარა პროფესიული განათლების მომზადებისა და გადამზადების დეპარტამენტი. ცნობილია, რომ დღემდე არ არის შემუშავებული კანონი პროფესიული განათლების შესახებ. ერთი წელია ელის საქართველოს პარლამენტი, რომ განათლების და მეცნიერე-

6 gv.



# ცრუპენტელა „ბარბი“

5 gv.

ბის სამინისტრო პროფესიული განათლების შესახებ მომზადებულ კანონპროექტს შეიტანს, მაგრამ ჯერჯერობით არ არის დაწერილი არც ერთი თავი, არც ერთი მუხლი და არც ერთი პუნქტი. ეს იმის ბრალია, რომ განათლების სამინისტროში არ არსებობენ კანონზე მომუშავე დარგის პროფესიონალები და მცოდნე იურისტები და ამით ზარალდება სახელმწიფო, საზოგადოებაც და ახალგაზრდობა.. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს სისტემაში სამართლიანობის აღდგენის არავითარი ნიშანი არ ჩანს და წინა ხელისუფლების დროს თანამდებობიდან გათავისუფლებული საუკეთესო კოლეჯის დირექტორებიდან არც ერთი არ არის თანამდებობაზე აღდგენილი. დღემდე სისტემის გარეთ არიან ისეთი პროფესიონალები, როგორც სერგო მაისურაძე, თამარ ტაბიძე, გია მახარაძე და ზაზა ცირამუა არიან. აღარაფერს ვიტყვი დიმიტრი შაშკინის მინისტრობის დროს ლიკვიდირებული 26 კოლეჯიდან ერთი ბრძანებით გაშვებულ 1000-ზე მეტ პედაგოგზე და ტექნიკურ პერსონალზე. და ამ დროს, იმის ნაცვლად, რომ გაეშვა, მინისტრი შაშკინის დროინდელ კადრებს აწინაურებს.

**— განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში რომ საკადრო წმენდა არ ჩატარდებოდა, ეს ჯერ კიდევ სანიკიძის წინამორბედმა გიორგი მარგველაშვილმა ბრძანა, თუმცა კარგი იქნებოდა, დაგვეკონკრეტებინათ, რომელ კადრებს გულისხმობთ?**

— კანონებს რომ ვერ ქმნის ვისი ბრალია? სწორედ იმ დეპარტამენტების მუშაობის, რომლებიც ამას უნდა აკეთებდნენ და ეს არის იურიდიული დეპარტამენტი, პროფესიული განათლების განვითარების და საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტი. როცა სანიკიძემ აღმოაჩინა, რომ არ ჰყავდა პროფესიონალი კადრები, რომლებსაც მოიყვანდა და საქმეს ჩააბარებდა, ახალი კადრების მოყვანას და მათ აღზრდას ამჯობინა ძველი კადრებს დაყრდნობოდა, რაც ძალიან დიდი შეცდომა იყო. სხვათა შორის, დიმიტრი შაშკინის მსგავსად, თამარ სანიკიძემაც იმიტომ გამომიშვა პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოდან, რომ ასეთ თემებზე ვსაუბრობდი. მას კი არ სურდა, რომ საბჭოში პროფესიონალი ყოფილიყო, რომელიც განსახილველ საკითხებს დააყენებდა და პრობლემებზე ილაპარაკებდა. წესით, საბჭოს ყოველ კვარტალში ერთი სხდომა უნდა ჩაეტარებინა და წელიწადი ისე გავიდა, რომ ვერც ერთი სხდომა ვერ ჩაატარეს. მათ ვებ-გვერდზე მარტო ორი ჩატარებული სხდომის ოქმია და არც ერთს ქვორუმი არ გააჩნია. საქმის კეთება რომ სდომოდათ, ამ საბჭოში უნდა შეეყვანათ კოლეჯების გამოცდილი დირექტორები, მცოდნე ექსპერტები და იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც შეხება აქვს პროფესიულ განათლებასთან, მაგრამ ასე არ მოხდა. საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ გუშინ ვესწრებოდი ერთ-ერთი კონფერენციას განათლების სამინისტროში, სადაც განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა გამოიტანა კონცეფცია თვითდასაქმების შესახებ. კატასტროფაა, როდესაც პრემიერ მინისტრი და ხელისუფლება დასაქმების საკითხს პრიორიტეტულად აცხადებს და განათლების მინისტრი და მისი აპარატი იმისმ ნაცვლად, რომ დასაქმების სტრატეგია შეიმუშაოს, თვითდასაქმებაზე გვესაუბრება. პროფესიულ კოლეჯებს ძირითადად ხელმოკლე ოჯახის შვილები ამთავრებენ, რომლებიც საკუთარი დიპლომის შესაბამისად, ვერ საქმდებიან. მათ არ გააჩნიათ იმის თანხა, რომ რაღაც მცირე საწარმო შექმნან ან სასოფლო სამეურნეო სამუშაოებისთვის საჭირო ტექნიკა შეიძინონ. როგორ უნდა მოახერხონ თვითდასაქმება? მე მივმართავ პრემიერ მინისტრს თხოვნით, შექმნას სპეციალური სამთავრობო კომისია, რომელიც შეიმუშავებს გეგმას, როგორ უნდა განხორციელდეს დასაქმება. დღესავით ნათელია, რომ განათლების სამინისტროს თვითდასაქმების კონცეფციით ვერ გადაწყვება უამრავი უმუშევრად დარჩენილი ადამიანის პრობლემა. ეს არის აბსურდი და საქართველოს მოსახლეობის აბუჩად აგდება.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# აჩრდილი დადის ქართულ ენერგეტიკაში, აჩრდილი ნოღაიდელის და სააკაშვილისა

5 gv.

არის ძაღლის თავი დამარხული? ენერგეტიკის მოქმედი მინისტრი კალაძე და ზურაბ ნოღაიდელი რომ თავის დროზე ბიზნესპარტნიორები იყვნენ, ეს არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოებას, შემთხვევით ეს „სიამტკბილობა“ დღესაც ხომ არ გრძელდება? როგორც სანდო წყარომ თავის დროზე თქვა, ნაციონალების მმართველობისას ჩაჩოჩებულმა და ოპოზიციაში გადაბარგებულმა ნოღაიდელმა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კვლავ გაშალა ფრთები და ქართულ ენერგეტიკას ფაქტობრივად ის განკარგავს, დიდ პატივში ყოფილა ენერგეტიკის ექსმინისტრი ხეთაგურიც, სემეკი მისი მოქმედების სფერო ყოფილა, ეტყობა იმიტომაც ვერ ეღირსა ხსენებულ მარეგულირებელს ბოლომდე დაკომპლექტება, „შინაურ“ საქმეებში უცხოს ცხვირის ჩაყოფა არ აწყობთ. ამ კომისიის შეფი ირინა მილორავა ნაციონალების მმართველობისას ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელი გახლდათ, რა დამსახურებისთვის გადმოაპორტირეს სემეკში, უცნობია, მის ძველ თანამდებობას ახლა მისი მეუღლე იკავებს. იმ „ობიექტურ“ და „კარგად ინფორმირებულ“ ჟურნალისტებს მინდა ვკითხო, მთელი საფრინველეთი რომ ყავთ ინფორმაციის მიმწოდებლად, აქ ვერ ხედავენ ინტერესთა კონფლიქტსა და ნეპოტიზმის ელემენტებს, თუ მარტო „კახურ კლანზე“ ჰქონდათ ალერგია? ეტყობა ენერგეტიკის სფერო არ არის მათი ინტერესის საგანი, რადგან იქ „კახური კლანის“ კვალს ვერ ხედავენ. ბოლო დროს გავრცელებული ერთ-ერთი ცნობილი მიმართვის შემდეგ, ძალზე საინტერესო კონტურები გამოიკვეთა და ეჭვებიც უფრო გაღრმავდა. ალბათ არც ის ინფორმაციაა ყურის მოსაყრუებელი, რომელიც სანდო წყარომ მოგვაწოდა, რომ „ენერგო-პრო ჯორჯია“ დღეს უფრო ფართო პრივილეგიებით სარგებლობს. ამ კომპანიას ეტყობა, თავის დროზე მარტო უფლებები მისცეს, ვალდებულებები კი მთლიანად მომხმარებელს გადაულოცეს. ახალი წლის დღეებში ახლობელი გურიას სტუმრობდა, ხუთი დღე შუქი თვალით არ გვინახავს, გურულები უკვე იმას ამბობენ, სააკაშვილის მმართველობისას დენი არასდროს ითიშებოდა, ახლა ხომ ხედავთ, რა ხდებაო. საბოტაჟის სუნი ხომ არ უდის ამ ყველაფერს, პატივცემულო ხელისუფლებავ, განა რამდენი თოვლი მოვიდა თუნდაც გურიაში, რომ სტიქიად გამოგვიცხადეს „ენერგომამებმა“ და 4500 აბონენტი ახალი წლის დღეებში წყვდიადში დატოვეს? ტელევიზორს ვინღა ჩივის, ხალხს სანთლის ყიდვის საშუალებაც არ ჰქონდა, რადგან მაღაზიებს არც ჰქონდათ მომარაგებული ამდენი სანთელი, ნავთზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. კომუნისტების დროს უფრო დიდთოვლობები გვახსოვს, მაგრამ ხალხი ხუთი დღე უშუქოდ არ უყურყუტებიათ. ეს ყველაფერი უფრო იმის ბრალი მგონია, რომ ნაციონალების და ახლა უკვე მათი მემკვიდრე ხელისუფლების „ფავორიტი“ „ენერგო-პრო ჯორჯია“ კვლავ კომუნისტების დროინდელი ელექტრობოძებით და გადამცემი ხაზებით სარგებლობს. რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ გაზეთში, მოგვიანებით კი „საერთო გაზეთშიც“ დაიბეჭდა სტატია, სადაც ჭიათურელი რესპონდენტები ყვებოდნენ, რომ „ენერგო-პრო ჯორჯიას“, რიმელიც თბილისისა და კახეთის გამოკლებით, მთელ საქართველოს ამარაგებს ელექტროენერგიით და გვარიან მოგებასაც ნახულობს, ჭიათურის რაიონში ელექტროგადამცემების სარეაბილიტაციოდ თითი თითზე არ დაუკარებია, კომუნისტების დროინდელ უკვე დამპალ ხის ბოძებზე გაჭიმული ასევე მოძველებული კაბელები, ზოგან ბოძი რომ წაიქცა ხეზე მიაბეს ეს კაბელი, სულ იმის გვეშინია არ ჩამოწყდეს და ვინმე არ იმსხვერპლოს (ამის დამადასტურებელი



ფოტოებიც მოგვაწოდეს), როგორც კი ქარი ამოვარდება, დენი მაშინვე ითიშებაო. ახალი წლის დღეებში ჭიათურელი ნაცნობი შემხვდა, ზუსტად იგივე მდგომარეობაა, ფაქტობრივად არაფერი შეცვლილაო. ენერგეტიკოს თემურ ჭიჭინაძის განცხადებით, „ენერგო-პრო ჯორჯია“ სოფლებში საერთოდ არ ახორციელებს ინვესტიციას, ყოველ შემთხვევაში, ადგილობრივები ინვესტიციის კვალს ვერ ხედავენ.

ქვემო ქართლში რამდენიმე წლის დაგვიანებით, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოხდა გამრიცხველიანება, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ეს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დამსახურებაა, რამდენჯერ გადაახდევინეს იქაურებს მრიცხველის ფული, რომელიც წესით ამ ენერგოკომპანიას თავისი ხარჯით უნდა დაემონტაჟებინა, აღარც ახსოვთ. არც ე.წ. ახალი მრიცხველები დაიკვეხნის გამართულობას, რატომღაც ერთსულიან და ათსულიან ოჯახებს მოხმარებულ ელენერგიას ერთნაირად არიცხავენ. ერთსულიანმა ოჯახმა, რომელიც გაზით თბება, როგორ უნდა დახარჯოს 30 ლარის დენი, ეს ეტყობა მარტო „ჩეხური“ კომპანიის მესვეურებმა იციან. რუსული ბუნებრივი აირის იმპორტთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟიც ძალიან დიდ ეჭვებს ბადებს, განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ ამ თემაზე ნაციონალები მათი სატელიტი პოლიტპარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მხარდამჭერები აქტიურობენ. აზერბაიჯანულ „სოკარს“ სწორედ ნაციონალების მმართველობისას მიენიჭა მონოპოლისტის ფუნქცია, რაც ცხადია, უანგაროდ არ მოხდებოდა. ის ე.წ. ოპოზიციონერები, რომლებიც თავის დროზე ყველაზე მეტს გაჰყვიროდნენ, „სოკარ-ჯორჯია“ სააკაშვილის ოჯახის კუთვნილებაა, მათ გარკვეული წილები აქვთ ამ კომპანიაში, არ შეიძლება ვინმეს მონოპოლისტის უფლება ჰქონდესო, დღეს საეჭვოდ არიან გასუსულები და რიგ შემთხვევაში თავიანთ ადრინდელ პოზიციას ეწინააღმდეგებიან. მოსახლეობას რომ ცხვრის ფარად გვთვლიან და არაფერს გვეკითხებიან, ეს გასაგებია, 2030 წლამდე გაუფორმებიათ „სოკარისთვის“ ხელშეკრულება უხარისხო გაზის მოწოდებაზე, რომელიც ერთი ფინჯანი ყავის მოდუღებას ლამის ერთ საათს უნდება და ქვაბებს ნავთქურასავით ჭვარტლავს, მაგრამ იმ მეწარმემ, რომელსაც ხარისხიანი რუსული გაზის გაცილებით იაფად შეძენა შეუძლია, რატომ უნდა იაროს ნაცებისა და მათი სატელიტების ხუშტურებზე, რომელიც მხოლოდ ურა-პატრიოტიზმს ემსახურება, ეს ვერ გამიგია. აზერბაიჯანისგან თუ 1000 კუბ.მეტრ ბუნებრივ აირს 240 დოლარად ვყიდულობთ, რუსეთისგან ამავე მოცულობის გაზის შეძენა 200 დოლარად შეგვიძლია, მარტივი არითმეტიკაა, წარმოების განვითარებასა და მოგებაზე ორიენტირებული ადამიანი იაფსა და ხარისხიანზე გააკეთებს არჩევანს. მაგრამ სააკაშვილის არ იყოს, ნურას უკაცრავად, რუსეთი ოკუპანტი და არასაიმედო პარტნიორია, გეგონება, ამ მეწარმეზე მეტად სწუხდნენ ეს არამკითხე მოამბეები მის მოგებას. ყველა სტრატეგიული ობიექტი, რომ სწორედ ნაციონალებმა მიჰყიდეს რუსებს, ეს ვითომ არაფერი, ამათ ისევ 2003 წელი ჰგონიათ და ხალხსაც მეხსიერებადაქვეითებულად თვლიან. აზერბაიჯანული ბუნებრივი აირი 240 დოლარად მომხმარებელს არ მიეწოდება, მოქალაქეებზე 315 დოლარად ყიდიან, ხოლო კომერციულ ობიექტებს გაცილებით უფრო ძვირად მიეწოდებათ, მათ შორის თბოელექტოსადგურებსაც, რომლითაც ასე აპელირებენ დენის ტარიფის გაზრდის საქმეში. აი, ზუსტად ეს ნამატი თანხა მიდის იმ ერთი მუჭა ხალხის, ე.წ. შუამავალი ფირმების მესვეურთა ჯიბეში, რომელთაც ახლა მომართეს დაქირავებული ლაშქარი „პატრისსოტული“ სულისკვეთებით, რადგან მსუყე ლუკმის დაკარგვა ემუქრებათ. ის, რომ „სოკარის“ მონოპოლიური მდგომარეობა, რაც სურვილის მიხედვით ფასების დადგენაში გამოიხატება, განვითარების საშუალებას არ აძლევს ადგილობრივ წარმოებას, ნაცებსა და მათ მიერ დაქირავებულ ცრუ-პატრიოტებს ძალიან ნაკლებად აღელვებთ.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# სააკაშვილის დროინდელი მოსამართლეები სახლებში უნდა გაუშვან



**გვესაუბრება ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის ხელმძღვანელი, ადვოკატი, უფლებადამცველი ბატონი გრიგოლ გაგნიძე**

— **ბატონო გრიგოლ, აჟიოტაჟი, რომელიც ლევან მურუსიძის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად დანიშვნას მოჰყვა, ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა. თქვენი შეხედულება როგორია ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— მასხენდება ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის ამასწინანდელი სატელევიზიო გამოსვლა „2030“-ში, სადაც მან ცალსახად აღნიშნა: სასამართლო დამოუკიდებელიაო. სასამართლო დღეს მართლაც არის დამოუკიდებელი ხელისუფლებისგან, ხოლო მურუსიძის საკითხს რომ ამწვავებენ, ამით იქმნება აზრი საზოგადოებაში, ვითომ ისევ ნაციონალები იწერენ ქულებს. რაც შეეხება თვითონ **ლევან მურუსიძეს** და მის მსგავს სხვა კოლექტიურ მურუსიძეებს, ბატონი ლევანის დანიშვნით ისინი წახალისებულნი აღმოჩნდნენ, არადა, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ გააკრიტიკა მოსამართლეები მათი არასწორი და უსამართლო გადაწყვეტილებების გამო. თვით ლევან მურუსიძე, როგორც იცით, გირგვლიანის ცნობილი საქმის, სულხან მოლაშვილის და სხვა გახმაურებული საქმეების მოსამართლე იყო, რის გამოც უკმაყოფილება გამოითქვა სტრასბურგის სასამართლოს მხრიდანაც, მაგრამ რაზეც გული მწყდება, იმას მოგახსენებთ — ბატონი **ბიძინა ივანიშვილი** ვისაც ხელს ჩამოართმევს, ეს იმ ადამიანისთვის ინდულგენცია არ უნდა იყოს, ვითომ ხელშეუხებლობის იმუნიტეტს იძენენ? დანაშაული ეპატიათ? მურუსიძემ გამოაქვეყნა ფოტოები, სადაც მას ხელს ართმევს ბიძინა ივანიშვილი და კიდევ ერთი ყოფილი პრემიერი **ირაკლი ღარიბაშვილი**...

ეჭვს არ იწვევს, რომ დასახვეწია ჩვენი სამართალწარმოება. მართლმსაჯულება მაქსიმალურად უნდა მივუახლოვოთ ევროსასამართლოს სტანდარტებს კანონმდებლობის თვალსაზრისით. იუსტიციის საბჭოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ხმა მისცეს მურუსიძეს. შემდეგ **ევა გოცირიძემ**, რომელიც „ოცნების“ ქვოტით არის საბჭოში მოხვედრილი, თქვა, რომ სამი წლის შემდეგ ახლანდელი საბჭოს შემადგენლობა არ იქნება და ვინც იქნება შემდგომ იუსტიციის საბჭოში, ის მისცემს ხმას მურუსიძეს და სხვებს მოსამართლედ სამუდამოდ დასანიშნავად, ეს იმათი პასუხისმგებლობა იქნებაო. კიდევ ვამბობ, ეს არის მურუსიძის და მისნაირების წახალისება.

მოსამართლეების სამუდამო ვადით დანიშვნა უნდა გაუქმდეს, რათა მოსამართლეებს სრული ხელშეუხებლობის სინდრომი არ დაემართოთ. თუ მურუსიძეს აპატიეს, რა დააშავა ერთმა **ჯემალ კოპალიანმა** რომ გაათავისუფლეს?! საქმე იმაშია, რომ „ნაცმოძრაობა“, როცა უნდა მაშინ, აქციებს აწყობს სასამართლოს ეზოში. ვინ გაბედავდა სააკაშვილის დროს სასამართლოს ეზოში და მეტიც, კიბეებზე აქციების მოწყობას. „დემოკრატიის შუქურას“ ეძახდნენ, რა შუქურაც არის, კარგად ვხედავთ თუნდაც უკრაინის მაგალითზეც.

ყველას გვახსოვს ნაციონალური რეჟიმის სასამართლო სისტემა. გამამტყუნებელი განაჩენები მაშინ რეკორდულ ზღვარს გადავიდა.

— **გამამართლებელი 0,001 პროცენტზე დგებოდა. ასეთი მემკვიდრეობით სასამართლო სისტემა რა შედეგებს მიაღწევს, მით უფრო, თუ სისტემას კვლავ ძველი კადრებით დააკომპლექტებენ?**

— მაგალითისათვის კვლავ მურუსიძეს მივუბრუნდები. მან თქვა: მაშინ კანონი იყო ისეთი და იმიტომაც მივიღე ის გადაწყვეტილებაო.

— **კანონი არ შეცვლილა.**

— არ შეცვლილა. მაგრამ იხვეწება. 2010-12 წლებში საპროცესო კოდექსის კანონმდებლობა მორგებული იყო საპროცესო შეთანხმების უზრუნველყოფაზე. დღეს სასამართლო, თავისუფლად შეიძლება ითქვას, ხელისუფლების ზეწოლებისგან თავისუფალია, მურუსიძის დანიშვნაც ამის დასტურია, თორემ ხელისუფლება რომ ჩარეულიყო, დარწმუნებული ვარ, მურუსიძე არ დაინიშნებოდა. მაგრამ ეს თავისუფლებაც, ჩემი აზრით, არასწორი და არაადექვატურია. არ შეიძლება სასამართლო სრულად თავისუფალი იყოს.

— **ბატონო გრიგოლ, სასამართლო თავისუფალია ხელისუფლების ზეწოლისგან, მაგრამ გამოდის, რომ ის არ არის თავისუფალი პარტიული ინტერესების მქონე მოსამართლეებისგან, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხერხებით იყვნენ მოსყიდულნი და წახალისებულნი ნაციონალური რეჟიმის პირობებში, აქვთ ვალდებულებები. ბოლოს და ბოლოს, მათი კარიერა წინა რეჟიმის დროს შეიქმნა. გირგვლიანის მკვლელებს მინიმალური სასჯელები მიუსაჯეს, რომლებიც შემდეგ სააკაშვილმა შეიწყალა, ანუ სრულად იქნა გამართლებული („გაპრავებული“) მკვლელობაც და მინიმალური სასჯელიც დამნაშავეზე. ერთი სიტყვით, ახლა ზეწოლა სასამართლოდან ხომ არ მოდის, ანუ პირიქით ხომ არაა ყველაფერი?**

— ახალი მოსამართლეებით ჩანაცვლება აუცილებელია. სასამართლომ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, რაც ადამიანის ბედს, საზოგადოების მომავალს და ქვეყნაში სამართლიანობის შენების გზას განსაზღვრავს. ის საპროცესო შეთანხმებები, რასაც კონსტანტინე კუბლაშვილი ადებდა რეზოლუციებს, აქებდა და ადიდებდა სასამართლო სისტემას მაშინ, როცა 2010-12 წლებში 90%-ზე მეტი საქმეებისა საპროცესო შეთანხმებით სრულდებოდა. საპროცესო შეთანხმება ნიშნავს გამამტყუნებელ განაჩენს, რასაც ბრალდებული აღიარებს და თავისუფლების სანაცვლოდ გარკვეულ თანხას იხდის. ვინც საპროცესო შეთანხმებებზე არ იყო თანახმა, ციხეებში არაადეკვატური სასჯელებით უშვებდნენ. ამიტომაც იყო 40-45 000 პატიმარი საპყრობილეებში და იქ რა ხდებოდა, 300 000 პრობაციონერმა გამოიარა სააკაშვილის ციხეები. დღეს 12 000-მდე პატიმარია ჩვენს ციხეებში. ბევრი სასიკეთო პროექტიც ხორციელდება ბატონი **კახიშვილი**ს მიერ.

ადრე გამამართლებელი განაჩენი 0,001% იყო და იმასაც ადეიშვილი წყვეტდა ერთპიროვნულად. დღეს ბევრად ხშირია გამამართლებელი განაჩენები. მოკლედ, შედარება არაა წინა რეჟიმის სისტემასთან. მდგომარეობა გაუმჯობესებისკენ მიდის, მაგრამ თუ სასამართლოებში სააკაშვილის რეჟიმისგან „გადმოსახლებული“ „საბოტაჟნიკი“ მოსამართლეები იქნებიან, შედეგები არ იქნება ეფექტური და ყოველივე ეს, ადრე თუ გვიან, თვით ხელისუფლებას მიუბრუნდება ბუმერანგივით. სამართლიანობის აღდგენის მსურველი მოსახლეობა მეტად გაღიზიანდება და არჩევნებზე ყოველივე ეს ძალიან ცუდად აისახება. არჩევნები ვახსენე და იმასაც დავსძენ, მოსალოდნელია, წინასაარჩევნოდ გააქტიურდნენ არასამთავრობოებიც, ოპოზიციური პარტიები სასამართლოს თემა მათი მთავარი კოზირი გახდეს ხელისუფლების წინააღმდეგ. მეტი რეგულაციებია საჭირო, რომ სასამართლო სრული კონტროლიდან არ გავიდეს. ახვლედიანმა ამას წინათ **გვენეტაძე** და **წულუკიანი** გააკრიტიკა და თქვა: ველოდები, როდის მოიფიქრებენ ისეთ კანონს, რომელიმე უწყებას დაგვაქვემდებარონო. მან, სავარაუდოდ, იგულისხმა შევარდნაძის პერიოდის პროკურატურა და სასამართლო, კონსტიტუციაში ერთ უწყებად რომ ითვლებოდა იუსტიციის სამინისტროში. წულუკიანი რომ დაინიშნა იუსტიციის მინისტრად, მახსოვს, იმ ხანებში თქვა: სამინისტროში ვნახე კომპიუტერები, რომლის საშუალებითაც მოსამართლეებს პირდაპირ აკონტროლებდა ადეიშვილიო — სამინისტროში ადეიშვილს შეეძლო ჩაერთო კომპიუტერი და პირდაპირ ეყურებინა მოსამართლისთვის პროცესზე, თუ იმ საქმის პოლიტიკური ინტერესი არსებობდა. დაწყებული სასამართლო რეფორმა მეტად უნდა დაიხვეწოს. მხოლოდ პროკურორებს არ უნდა მოეთხოვოს პასუხი, მოსამართლეებსაც უნდა მიხედონ, არ უნდა წაახალისონ წარსულში ჩადენილი გადაცდომების მქონე მოსამართლეები. კუბლაშვილის დროს რომელი მოსამართლეც კარგად ასრულებდა დავალებებს, მათი ნელ-ნელა გადანაცვლება მოხდა ზედა სააპელაციო ინსტანციებში. ზედა ინსტანცია კი დაწინაურებას ნიშნავს. ძირითადი სამუშაო და დატვირთვა მოდის პირველი ინსტანციის სასამართლოზე. სააკაშვილი, როგორც კი მოვიდა, დაჰკრა ნაჯახივით და გაყარა სამსახურებიდან ძველი კადრები. ვინც ვერ გააგდო, უჯრებიდან დოლარების შეკვრა ამოუღო და ამ მეთოდით მოიცილა თავიდან სამუდამოდ. რა თქმა უნდა, ეს არ არის მისაღები მეთოდი, მაგრამ რადიკალური ნაბიჯები აუცილებელია.



სააკაშვილისდროინდელი მოსამართლეები სახლებში უნდა გავუშვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლოს დასკვნების გაუზიარებლობა საბჭოს მიერ მოსამართლეების დანიშვნისას ქმნის რისკებს, გახშირდეს საჩივრების გაგზავნის ტენდენციები სტრასბურგის სასამართლოში როგორც ეს სააკაშვილის წლებში ხდებოდა, ხოლო ამჟამად ახლად დანიშნული მურუსიძის მიერ განხილული ახალი რომელიმე რიგითი საქმე მოქალაქემ სტრასბურგში რომ გაასაჩივროს და დაურთოს მურუსიძის საქმეებზე ძველი სტრასბურგის გადაწყვეტილებები, ალბათ, ევროპული სასამართლო დიდი ალბათობით ხელისუფლებას კვლავ გაამტყუნებს სტრასბურგის სასამართლოში, ოღონდ უკვე ქამელეონივით ფერშეცვლილ მურუსიძეს თუ მურუსიძეებს რა ბედი ელით, ეს უკვე დროის და მომავლის ფაქტორია.

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118

## ლევან ლორთქიფანიძე:

# ჩვენი პოლიტიკური სისტემის მდგრადობას ერთადერთი ადამიანის, ბიძინა ივანიშვილის, ავტორიტეტი განაპირობებს

გვესაუბრება თსუ-ის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების მაგისტრანტი, პოლიტოლოგი **ლევან ლორთქიფანიძე**:

**– ლევან, რით ახსნით, ირაკლი ღარიბაშვილის მოულოდნელ გადადგომას და ზოგადად, როგორ შეაფასებთ მის განვლილ მოღვაწეობას?**

– 2015 წლის მიწურულს პრემიერმა მუშაობის სამწლიანი ანგარიში ჩაგვაბარა. ანგარიშის წარდგენის დროს ირაკლი ღარიბაშვილის პათოსი საზეიმო გალხდათ. ყველას დარჩა შთაბეჭდილება, რომ იგი თავისი მუშაობით უკიდურესად კმაყოფილი გახლდათ. შესაბამისად, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ პრემიერი რამდენიმე დღეში, გადადგომის შესახებ, განცხადებას დაწერდა. ეს ძალიან მოულოდნელი ნაბიჯი გახლდათ.

ღარიბაშვილის შეცვლა შეიძლება იმით აიხსნას, რომ მან პროგრამა მაქსიმუმი შეასრულა. ბატონი ირაკლის კაბინეტმა ვიზალიბერალიზაციის მიზანს მიაღწია. სავარაუდოდ, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა იფიქრა, რომ ამ ეტაპზე ღარიბაშვილს უფრო გრანდიოზული მიზნის მიღწევა აღარ შეეძლო და მას წასვლა ურჩია. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია კიდევ რა უნდა გაეკეთებინა ღარიბაშვილს პრემიერობის დარჩენილ დროში? პრემიერის უცვლელად დატოვების შემთხვევაში გამყარდებოდა შთაბეჭდილება იმის შესახებ, რომ „ქართული ოცნება" თავის პოლიტიკას წინასაარჩევნო პერიოდშიც კი არ ცვლის და არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობას არავის აკისრებს. მსგავსი შთაბეჭდილება კი სასარგებლო ვერ იქნებოდა მმართველი გუნდისათვის.

**– თითქოს, კრიზისი არ შექმნილა, რბილად გადავდივართ ახალ ეტაპზე, მაგრამ რამდენად შეიძლება ეს ცვლილება სერიოზული პოლიტიკური რყევების საბაბი და მიზეზი გახდეს?**

– სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში, საჯარო ინსტიტუტები პოლიტიკური სტაბილურობის გარანტორის ფუნქციას საკუთარ თავზე ვერ იღებენ. ჩვენი პოლიტიკური სისტემის მდგრადობას ერთადერთი ადამიანის, ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი განაპირობებს. მასზე, მის სურვილზეა დამოკიდებული მთავრობის მხრიდან პოლიტიკური რყევების გამოწვევის საკითხი. ბიძინა ივანიშვილი კვლავ რჩება „ქართული ოცნების" დამფუძნებლად და საქართველოს მთავრობის მფარველად. ყველა სამთავრობო გადაადგილება, მეტ-ნაკლებად, მასთან არის შეთანხმებული. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სანამ ბატონი ივანიშვილი, ჩვენი ხელისუფლებისათვის, ერთადერთ და მთავარ ავტორიტეტად რჩება, მანამდე პრემიერების ცვლილება სერიოზული რყევების საბაბი ვერ გახდება. პრემიერის ცვლილებით, მართვის სტილი და ურთიერთობების კულტურა შეიცვალა, ცენტრალური ხაზი კი, ბიძინა ივანიშვილის წყალობით, უცვლელი რჩება.

ვფიქრობ, 2012 წლის შემდეგ, საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის მიმართულება, ჩვენი ქვეყნისათვის, ძალიან სასარგებლოა. ქვეყანა, ცალსახად, მხარს უჭერს სახელმწიფოს ევროპულ ინტეგრაციას და პარალელურად, რუსეთის მიმართ უკიდურესად ფრთხილი, მშვიდი პოზიციების გამოკვეთას ცდილობს. არამგონია, რომ ღარიბაშვილის გადადგომის შემდეგ, ეს პრაგმატული მიდგომა შეიცვალოს. დღევანდელ საქართველოში, მოსახლეობისა და პოლიტიკოსების აბსოლუტური უმრავლესობისათვის. „ნაციონალებთან" პოლიტიკური გარიგება ახალმა პრემიერმაც გამორიცხა. შესაბამისად, ღარიბაშვილის გადადგომის ერთადერთ მიზეზად მაინც მისი შესაძლებლობების ამოწურვასა და წინასაარჩევნოდ მისი ლიდერობის არახელსაყრელობას მივიჩნევ.



**– როგორც ზემოთ აღვნიშნე, თითქოს, ახალ ეტაპზე რბილად გადავედით, მაგრამ ეს გამოიწვევს თუ არა მაინც პოლიტიკურ დაფაზე სერიოზულ გადაადგილებებს, რა განლაგება შეიძლება მივიღოთ? აქვე გკითხავთ, საუბრობენ, რომ შესაძლოა ღარიბაშვილმა პარტია შექმნას, რა მოხდება ამ შემთხვევაში?**

– დღევანდელი პერსპექტივიდან ირაკლი ღარიბაშვილი, ალბათ, დროებით შეისვენებს. მას 2016 წლისათვის ყველა პოლიტიკური დივიდენდი ამოწურული აქვს. მის მიერ ცალკე პარტიის შექმნა, ამ ეტაპზე, ნაკლებად სავარაუდოა. იგი ბატონი ივანიშვილის ერთგულ თანამშრომლად დარჩება. შესაბამისად, ღარიბაშვილი, კულისებს მიღმა, ჩართული იქნება საარჩევნო კამპანიაში, მოაგვარებს ლოჯისტიკურ და სხვა საკითხებს, დაეხმარება პარტიას კახეთის მიმართულებით. მომავალში კი, როგორ წარიმართება პოლიტიკური პროცესი, კაცმა არ იცის. ბატონი ირაკლი ძალიან ახალგაზრდაა. შესაბამისად, მის სამუდამო გაჩუმებაზე საუბარი ძალიან არასერიოზული იქნება. როდის დადგება მისი კიდევ ერთხელ გააქტიურების დრო, ამის თქმა ძნელია.

რაც შეეხება პოლიტიკური ძალების განლაგებას, საარჩევნო წლის დასაწყისში რამდენიმე გარემოებაა მკვეთრად გამოკვეთილი. დავიწყოთ ოპოზიციური ფლანგით – ფაქტია, რომ საქართველოს ყოფილ მმართველ პარტიას თავისი მხარდამჭერები ჰყავს. მათი ერთგული და დისციპლინირებული ამომრჩევლები საარჩევნო ურნებთან მივლენ. ამ პარტიას ბარიერის გადალახვის პრობლემა არ ექნება. თუმცა, ისინი დღევანდელთან შედარებით, საქართველოს პარლამენტში, მრავალჯერ უფრო სუსტად იქნებიან წარმოდგენილნი. სამაგიეროდ, მათ ნაცვლად, პარლამენტში ადგილების მოპოვების, მანდატების სოლიდური რაოდენობის ხელში ჩაგდების შანსი აქვთ ნატოში გაწევრიანების მოწინააღმდეგე ძალებს: ბურჯანაძის ბლოკსა და პატრიოტთა ალიანსს. ისინი პარლამენტში ანგარიშგასაწევ ფრაქციებს შექმნიან. ბარიერის გადალახვისთვის ბროლა მოუწევთ ლეიბორისტებსა და „თავისუფალ დემოკრატებს".

ორიოდე სიტყვა შეგვიძლია ვთქვათ ახლაგამოჩენილ პოლიტიკურ მოთამაშეებზე. თუ პაატა ბურჭულაძემ არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა, მას ნამდვილად შეუძლია სახლში დარჩენისთვის განწირული და ოცნებაზე გაბრაზებული ამომრჩევლების მობილიზება. მას მთავარი ოპოზიციური ცენტრის შექმნის შანსიც აქვს. რაც შეეხება ლეონიდ ჩერნოვეცკის, აქ ყველაფერი ნათელია. ადამიანი საკუთარი ქონების დაცვის მიზნით პოლიტიკურ ალიბს ეძებს. მას პარლამენტის წევრობა გარანტიებისთვის სჭირდება. თუ ძალიან ბევრ ფულს დახარჯავს, კიევის ყოფილი მერი პარლამენტში აღმოჩნდება და სასურველი სტატუსიც ექნება. ოღონდ, მისი გავლენა მაინც მიზერული იქნება, მხოლოდ პერსონალური უსაფრთხოებისთვის საკმარისი.

რაც შეეხება მმართველ გუნდს. მმართველ გუნდს გამარჯვების სერიოზული შანსები აქვს. მათ აქვთ მაჟორიტარული სისტემით მანიპულირების შესაძლებლობა, საგარეჯოს მსგავსად მათ შეუძლიათ ადმინისტრაციული რესურსების ეფექტურად გამოყენება და რაც მთავარია, ოცნებას თავისი ავტორიტეტითა და ფულით კვლავ ზურგს უმაგრებს ბიძინა ივანიშვილი.

აქედან გამომდინარე, ერთი რამ ცხადია, ახალი პოლიტიკური განლაგება ორპოლუსიანობას საბოლოოდ აღმოფხვრის. ჩვენ წინ მრავალფეროვნების ეპოქა გველოდება. 2016 წლის არჩევნების მთავარი ინტრიგა კი იქნება შემდეგი: „ქართული ოცნება" მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტებას დამოუკიდებლად შეძლებს, თუ მას მთავრობის შესაქმნელად ახალ პარლამენტში ახალი პარტნიორის ძიება მოუწევს? თუ ოცნება დამოუკიდებლად ვერ ჩამოაყალიბებს მთავრობას, მაშინ უკვე ჩნდება კითხვა: ვინ იქნება მისი პარტნიორი?

ამასთანავე, არ უნდა გამოგვრჩეს ხალხის ფაქტორი. 2016 წლის არჩევნებზე შეიძლება ძალიან ცოტა ადამიანი გამოცხადდეს, რადგან მოქალაქეთა ნაწილი არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ვენდობით. არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა კი ოპოზიციური პარტიების შანსს ზრდის, რადგან მათ ნაკლებად ნიჰილისტური და განაწყენებული, უფრო მობილიზებული ამომრჩეველი ჰყავთ.

**– მოკლედ, 2016 წელი საარჩევნო წელია, ეს რამდენად ზრდის სერიოზული რყევების საფრთხეს?**

– როდესაც ადამიანებს პურს ვერ სთავაზობ, მაშინ სანახაობა მაინც უნდა დადგა. შესაბამისად, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში უამრავი რყევები გველის. ხელისუფლება მაქსიმალურად შეეცდება ოპოზიციის დისკრედიტაციას და თავისთვის მნიშვნელოვანი თემების წინ წამოწევას. ამასთანავე, შესანიშნავად მოგეხსენებათ, რომ ნაციონალური მოძრაობა ავანტიურისტული ნაბიჯების გადადგმაში, დესტაბილიზაციის გამოწვევის მცდელობებში კარგად დახელოვნებული ძალაა. მათ საზღვარგარეთიდან მსოფლიო რანგის პროვოკატორები უმაგრებენ ზურგს. გავიხსენოთ ჩვენი წარსულიც, ვიდეოჩანაწერები და ა.შ. როდის, ვინ და საიდან, რა ტიპის და რა შინაარსის ვიდეოს შემოაგდებს, ჩვენს საზოგადოებაში, არავინ იცის. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ წინასაარჩევნოდ ჩვენ, ბევრი თავგადასავალი და ექსცესი გველოდება.

**– ლევან, რაც შეეხება ახალ პრემიერს, კვირიკაშვილის გაპრემიერება შეფასდა როგორც „ქართული ოცნების" „მაშველი რგოლი". დაანონსდა სამთავრობო ცვლილებებიც. რას უნდა ველოდოთ ამ კუთხით?**

– არჩევნების მოახლოვებასთან ერთად ლოგიკურად უნდა ველოდეთ არაპოპულარული მინისტრების გათავისუფლებას. არაპოპულარულ მინისტრებს შორის მოწინავე პროფესორი ხადური გახლავთ. საყოველთაოდ მიუღებელ პერსონად ჩამოყალიბდა განათლების მინისტრი თამარ სანიკიძეც, რომელმაც პატივისცემა განათლებისა და მეცნიერების სისტემის ვერც ერთ სეგმენტში ვერ მოიპოვა. ვფიქრობ, მთავარი საფრთხე ამ ორ მინისტრს უნდა ემუქრებოდეს. ამასთანავე, შეიძლება იმ მინისტრების საკითხიც დაისვას, რომლებიც ღარიბაშვილის გუნდს წარმოადგენენ და მხოლოდ მისდამი ერთგულების ნიშნით იყვნენ შერჩეულნი.

**– თავად, ახალ პრემიერს აქტიურ პოლიტიკოსად არ მიიჩნევენ. შესაძლოა, რეალურად, პოლიტიკის წარმართვას სხვები შეეცადნონ. წინასაარჩევნოდ კოალიციის რომელმა ჯგუფმა შეიძლება აიღოს ეს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე და**





**რა როლს შეასრულებს ივანიშვილი?**

— დღეს, საქართველოს სამთავრობო კოალიცია ორი ძირითადი ცენტრისგან შედგება. პირველ ცენტრს პარტია „ქართული ოცნება“ და პრემიერ-მინისტრი ქმნიან, მეორე ცენტრი კი რესპუბლიკური პარტიის ირგვლივ არის გაერთიანებული. დანარჩენი ძალები კონსერვატორები, მრეწველები და ფორუმი მხოლოდ თანამდებობებისა და მანდატების მაძიებელ უწონო, უტყვ და გაზარმაცებულ სეგ-



მენტებად გადაიქცნენ. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ივანიშვილის შემდეგ, კოალიციაში, ამინდის განმსაზღვრელი პირები პრემიერი და რესპუბლიკელები არიან.

**—ივანიშვილმა განაცხადა, რომ საარჩევნო პროცესში და სიების შედგენაში აქტიურად ჩაერთვება. რამდენად უნდა ველოდოთ კოალიციის გადახალისებას? რა გადაჯგუფებები შეიძლება მივიღოთ?**

— კოალიციის გადახალისება გარდაუვალია. კოალიციამ უნდა დაამტკიცოს, რომ ის ღიაა ცვლილებებისათვის. საზოგადოებაში ადეკვატურობის შესანარჩუნებლად „ოცნებამ“ ახალ გამოწვევებს ახალი კადრებით უნდა უპასუხოს. სავარაუდოდ, ივანიშვილი სიის დაკომპლექტების დროს სამი კრიტერიუმით ისარგებლებს: 1. პროფესიონალიზმი 2. ლიდერისადმი მორჩილება 3. საზოგადოებრივი ავტორიტეტი. უკანასკნელი ორი თვისებით ერთდროულად აღჭურვილი პირების მოძიება საკმაოდ რთული იქნება. საბოლოოდ, გადამწყვეტი მნიშვნელობა, ალბათ, მაინც მორჩილების კომპონენტს მიენიჭება.

**— ლევან, ბოლოს კიდევ ერთ აქტუალურ საკითხზე მინდა გკითხოთ. ახლოვდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის არჩევის დრო. როგორია თქვენი პოზიცია?**

— ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრათ: დიდი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ ვინ იქნება ბანკის პრეზიდენტი. მთავარი გახლავთ ის, თუ რა ფუნქციები ეკისრება ეროვნულ ბანკს. სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების რეგულირების ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი წართმეული აქვს. კომერციული ბანკები უმოწყალოდ აღარიბებენ მოსახლეობასა და წარმოების რეალურ დარგებს, ეროვნული ბანკი კი ვერაფერს აკეთებს ხალხისა და ეროვნული ინდუსტრიის მხარდასაჭერად. მაშასადამე, სანამ ეროვნული ბანკი უფრო აქტიურად არ ჩაერევა პროცესებში, სანამ იგი რეალური მარეგულირებელი არ გახდება, მისი მმართველების ცვლილება მხოლოდ პარტიული ორიენტირების ცვლილებასთან იქნება ასოცირებული.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# „ნაციონალების“ მხუთავი „ოკუპაცია“

„გაზპრომთან“ მიმდინარე მოლაპარაკებები საქართველოში საჯილდაო ქვად იქცა. ჯერ იყო და, ერთ-ერთმა ამერიკელმა ექსპერტმა პირდაპირ გვითხრა, საქართველოში რუსული გაზი არ გჭირდებათ, ალტერნატიულ წყაროზე იფიქრეთო. ჩვენმა თუთიყუშმა ვაი-პოლიტიკოსებმაც (რომლებსაც სიტყვა „პოლიტტუტკა“ უფრო მიესადაგება) აიტაცეს ოკეანისგაღმელთა დირექტივა. დატრიალდა ვერსიების კორიანტელი, თუ რატომ არ სჭირდება ჩვენს ქვეყანას დამატებითი გაზი, თუნდაც რუსეთიდან შემოტანილი. ზოგიერთმა განაცხადა, რომ რუსეთი საქართველოში მონოპოლისტი გახდებაო, ზოგიერთი კი ძალიან შორს წავიდა და განაცხადეს, საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას (?!) საფრთხე ემუქრება და ალტერნატიული წყაროები უნდა მოვიძიოთო.

უხსენებელი „ნაცმოძრაობის“ წევრების ზრახვები დიდი ხანია ნათლად ჩანს – ისინი ცდილობენ, ყველანაირი საშუალებით, ტყუილით თუ ცილისწამებით ჩრდილი მიაყენონ მოქმედი ხელისუფლების ქვეყნისა და ხალხისთვის გაკეთებულ თუნდაც კარგ საქმეს. აქვე ვიტყვით, რომ მთავრობის შეცდომებს ჩვენს კარგად ვხედავთ და ხმამაღლაც ვამბობთ. ამასთან, არც ბრმად ვეთანხმებით ყველაფერში და, ზოგიერთებისგან განსხვავებით, არც ხელისუფლების მზე დაგვიფიცია. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ მავანმა უპირობო და ბრმა მხარდამჭერებად არ აღგვიქვას.

დიახ, „ნაცმოძრაობის“ მიზანია, როგორმე მოახდინოს ხალხის თვალში რეაბილიტაცია და კვლავ მობრუნდნენ ხელისუფლებაში. იქამდეც მივიდნენ, რომ თავიანთი გაკეთებულ შავ-ბნელ საქმეებს დღევანდელ ხელისუფლებას აბრალებენ. გავიხსენოთ თუნდაც ახლახან გამართული აქცია, სადაც სტადიონ „ოლიმპის“ გასხვისებას და იმ ადგილზე კორპუსების აშენებას აპროტესტებდნენ. სხვისი რა გითხრათ, მაგრამ პირადად მე შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი, როდესაც იმ აქციაზე „ნაცმოძრაობის“ წევრები დავინახე. ურცხვად იდგნენ და სიტყვითაც გამოვიდნენ. რატომღაც მათთვის არავის უკითხავს თუ ვინ გაასხვისა ის სტადიონი. ჩვენი გაზეთი არაერთხელ წერდა „ნაცმოძრაობის“ მიერ გასხვისებულ და განადგურებულ სხვა ნაგებობებზე, მაგრამ მაშინ რატომღაც ყურადღება არავინ მიაქცია მათ დანაშაულს. ახლა კი აქეთ გვევლინებიან ბრალმდებლებად და ნიანგის ცრემლებსაც აღვარღვარებენ. „ნაცმოძრაობას“ მხარდამჭერებიც გამოუჩნდნენ, ის პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობოები, რომლებიც მათ ბაგაზე იყვნენ და ახლაც არიან მიბმულები.

საქართველოს დღეს ბუნებრივ აირს ძირითადად აზერბაიჯანის მხარე აწვდის. აღარავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყანა ზამთრის პერიოდში იგივე გაზს დამატებით რუსეთისგან ყიდულობს. ამის მიზეზი მარტივი გახლავთ – ჯერ ერთი, წიაღისეულის მარაგი ბევრი არ გააჩნიათ, ამასთან, მოპოვებაც უჭირთ. გავიხსენოთ თუნდაც შარშან შემოდგომაზე კასპიის ზღვაში ნავთობმომპოვებელ საბადოზე მომხდარი ავარია, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა. თუ ერთპიროვნულად მხოლოდ აზერბაიჯანიდან შემოვიტანთ გაზს, ძალაუნებურად ენერგოგიგანტ მონოპოლისტებად იქცევიან ქართულ ენერგობაზარზე. ჩვენს ქვეყანას კი გაძვირებული ტარიგით მოუწევს ბუნებრივი აირის შეძენა, რადგან რუსულ გაზს აზერბაიჯანი იმ ფასად არ მოგვცემს, რომლითაც თავად შეიძენს „გაზპრომისგან“.

ბუნებრივი აირის მომწოდებლად ჩვენს ქვეყანაში ირანსაც განიხილავენ. იდეა თავისთავად კარგია, მაგრამ გასათვალისწინებელია უამრავი ფაქტორი. თავი დავანებოთ ტექნიკურ მხარეს, რომელიც, ფაქტობრივად, ასაშენებელია. ერთ-ერთი მთავარი საკითხი ის გარემოება გახლავთ, რომ ირანს უკვე მოუხსნეს ეკონომიკური სანქციები. მათი მიზანია, ნავთობის და გაზის მსოფლიოს დიდ ბაზარზე გატანა. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ წვრილმანებზე ისინი არ მოცდებიან. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ირან-რუსეთის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობები. რუსეთის ინტერესების გაუთვალისწინებლად ისინი არაფერს მოიმოქმედებენ.

შუა აზიის, კერძოდ, ყაზახეთის და თურქმენეთის გაზიც გადის საქართველოს ტერიტორიაზე. როგორც ცნობილი გახდა, ამ სადენიდან გაზის მისაღებად მილსადენის გადაიარაღება ყოფილა საჭირო. ამასთან, უცნობია, დაგვეთანხმებიან თუ არა ტექნიკურ ცვლილებებზე და იქნება თუ არა საკმარისი, იქიდან მიღებული გაზი საქართველოს დასაკმაყოფილებლად.

საქართველოში გაზის მოხმარება ყოველწლიურად იზრდება, იაფი ენერგომატარებლები კი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა. სწორედ ამისი ეშინიათ საქართველოს მტერ „ნაცმოძრაობას“ და მის სატელიტებს.




რა მოაქვს მონოპოლიას, კარგად გამოჩნდა წინასაახალწლო დღეებში, როდესაც მწვანილი ასტრონომიულ ფასად იყიდებოდა. ესმაშინ, როდესაც თავზესაყრელი იყო ბაზარზე. მაგრამ მხოლოდ ერთი ქვეყნიდან იყო შემოტანილი. აქედან გამომდინარე, არც გაზის ტარიფის მომატება იქნება გამორიცხული აზერბაიჯანის მხრიდან, რადგან იქაური მანათი დოლართან მიმართებაში კატასტროფულად დაეცა.

დროა, ვიფიქროთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაზე. როდესმე ხომ უნდა ვისწავლოთ გათვლა თუ რა მოუტანს სიკეთეს ხალხს და ქვეყანას. ყველა საკითხის პოლიტიზირება, მით უფრო, ქართველი ხალხის, საქართველოს მტერი „ნაცმოძრაობის“ და მისი სატელიტების მხრიდან, უკვე გამაღიზიანებელია. საქართველოში უნდა იყოს აზერბაიჯანული, რუსული, ყაზახური თუ ირანული გაზი, რათა გვქონდეს არჩევანის საშუალება და, აქედან გამომდინარე, ფასზე ლავირებაც შეგვეძლოს. აქსიომაა, რომ იაფი ენერგომატარებლები ეკონომიკის განვითარების საწინდარია.

**გია ბურდული**

# პრობლემაა ისაა, რომ დღეს რუსეთს საქართველოსადმი არანაირი ინტერესი არ გააჩნია...

**გვესაუბრება ექსპერტი უშიშროების საკითხებში, ყოფილი უშიშროების მინისტრი ბატონი ვალერი ხაბურძანია**

— **რამდენიმე დღის წინ შევიტყვეთ, რომ ფონიჭალაში მუსულმანებს შორის დაპირისპირება მოხდა. ტრადიციული მუსულმანური სარწმუნოების მიმდევრები და ვაჰაბიზმის მომხრეები ერთმანეთს დაეტაკნენ.**

**რას ფიქრობთ, მოსალოდნელია თუ არა საქართველო თავისდაუნებურად მუსულმანური დაპირისპირების არეალში მოექცეს? მით უმეტეს, რომ გართულებულია ვითარება პანკისის ხეობაში, არასახარბიელო ვითარებაა მუსულმანური სარწმუნოების მიმდევრებით დასახლებულ სხვა რეგიონებშიც.**

— საშიშროება არსებობს, რადგან, მოგეხსენებათ, ძლიერი შეტევა მიმდინარეობს საერთაშორისო კოალიციის მხრიდან ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ.

თუმცა პანკისის ხეობა მაინც ყველაზე მგრძნობიარე ადგილად მიმაჩნია იმ რეგიონებთან ერთად, სადაც მუსულმანი მოსახლეობა ცხოვრობს.

ახლახან ვნახეთ ფონიჭალის ინციდენტი და უნდა გითხრათ, რომ მსგავსი დაპირისპირებების საფრთხეები ადრეც არსებობდა, ოღონდ უფრო პანკისში. აზერბაიჯანული მოსახლეობა მაინც, ასე რომ ვთქვათ, წყნარი იყო. ახლა, როგორც ვნახეთ, აზერბაიჯანელებშიც შეიმჩნევა უთანხმოებების კერები და ამაზე სახელმწიფომ პრევენციული ზომები დროულად უნდა განახორციელოს.

ძალიან მიკვირს, რატომ პასიურობს სახელმწიფო ამ კუთხით, მით უფრო, რომ საერთაშორისო ფონზე, სამართლებრივი თვალსაზრისით, სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული მოქმედებებში, ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით და ა.შ.

მეორე ფაქტორია — შეიძლება შესაბამისი სამსახურები მუშაობენ და ჩვენ ვერ ვხედავთ შედეგებს, ჯერჯერობით... თუმცა, რამდენიმე დღის წინ პანკისის ხეობაში სამი მინისტრის ვერტმფრენით ჩასვლა, ჩემი აზრით, ყოველგვარ ადექვატურობას იყო მოკლებული. სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“ პანკისელი მოსახლეობა სარკაზმით აღნიშნავდა ხეობაში სამხედრო ვერტმფრენით მინისტრების ჩაფრენის ამბავს. თავის დროზე მე პანკისში ჩემი მანქანით დავდიოდი, საჭესთან თვითონ ვიჯექი. თავისუფლად შევდიოდი და გამოვდიოდი. რა საჭიროა ვერტმფრენები და მსგავსი არაადექვატური ფონების შექმნა?! არ არის იქ ისეთი გართულებული ვითარება. მაგრამ მარტო სპეცსამსახურების მოქმედებები არ არის საკმარისი. საჯარო ინსტიტუტებიც უნდა გააქტიურდნენ, იგივე ტრადიციული რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენლებთან და ლიდერებთან ახლო ურთიერთობები იქონიონ, მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს, ძირითადი აქცენტი ახალგაზრდობაზე უნდა გაკეთდეს. ისლამისტური სახელმწიფოების მხრიდან. ვერ უნდა მოხდეს მათი გადაბირება, მით უფრო ახლა, როცა მოსახლეობას ეკონომიურად უჭირს და ახალგაზრდების დაინტერესება შედარებით მცირედი ანაზღაურებითაც შეიძლება.



— **კვლავ მოსალოდნელი მუსულმანური აგრესიის საკითხზე რომ ვისაუბროთ, თურქეთის პოზიციებიც განვიხილოთ. გარკვეული პერიოდის წინ ახალციხეზეც აპირებდნენ თურქული დროშის აღმართავს, აჭარა ხომ ისედაც თავისად მიაჩნიათ, ახლა რიტორიკა შეცვალეს და რუსეთს ედავებიან მიწების მიტაცებაში, საქართველოსთან უვიზო რეჟიმის მოხსნის საკითხმაც გაიჟღერა...**

— ჩვენი მცდარი საგარეო პოლიტიკის გამო ხანდახან ვფარავთ და არ ვამბობთ, ან გვავიწყდება ზოგიერთი რამ.

გავიხსენოთ თუნდაც აფხაზური სეპარატიზმის საკითხი. თუ გვგონია, რომ აფხაზურ სეპარატიზმს მხარდაჭერა ჰქონდა მხოლოდ რუსეთიდან, დიდი შეცდომაა, უფრო მეტი მხარდაჭერა მას თურქეთიდან ჰქონდა. აფხაზეთში თურქეთიდან გემები შედიოდა 90-იან წლებში. თურქული ეკონომიკა ასაზრდოებდა აფხაზეთს. რუსეთიდან კი პოლიტიკური მხარდაჭერა ჰქონდა აფხაზეთს. თურქეთმა მაშინ, ასე ვთქვათ, ჭკუა იხმარა — გარეგნულად პატივს სცემდა ჩვენს ტერიტორიულ სუვერენიტეტს, მაგრამ აფხაზეთში ეკონომიკურად იკიდებდა ფეხს.

ბევრი მიზეზი არსებობს იმისა, რომ თურქეთი ვერ იქნება ჩვენი მხარდამჭერი და მოკავშირე მთელ რიგ საკითხებში, იგივე აფხაზეთთან დამოკიდებულებაში, რადგან აქ მკვეთრად ჩანს ინტერესთა კონფლიქტები. აფხაზური მოსახლეობის დიდი ნაწილი მუსულმანურია. თურქეთს აფხაზეთში ისტორიული, პატივმოყვარული ინტერესები ამოძრავებს. ყველას გვახსოვს, მაშინ, როცა რუსეთის იმპერია საქართველოში შემოდიოდა, სოხუმში თურქები იდგნენ. სოხუმს ერქვა სოხუმ-კალე, ფოთს — ფოთი-კალე.

კაპიტალის დიდი ნაწილი დღეს, ფაქტობრივად, აფხაზეთში თურქულია, რაზეც რუსეთს ბოლო ხანებში გაუჩნდა განსაკუთრებული აგრესია. ამ ფონზე „გაახსენდა“ ერდოღანს, რომ რუსეთი შემოჭრილია საქართველოში, თუმცა არ გახსენებია, რომ თურქეთიც შემოჭრილია საქართველოში. მშვიდობიანად არიან შემოჭრილნი აჭარაში, ლატენტურად — აფხაზეთში.

— **თურქეთი აქტიურობს და ეტყობა გამოკვეთილი ინტერესი საქართველოს მიმართ. ჩვენ გვყავს ე. წ. სტრატეგიული პარტნიორებიც, საქართველოს მომავლით თითქოსდა დაინტერესებულნი, მაგრამ რუსეთს, რომელმაც, ასე ვთქვათ, მიიერთა აფხაზეთი და სამაჩაბლო, დანარჩენი საქართველო ცალ ჩექმაზე ჰკიდია?**



— წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ერთგვარი ტენდენცია და მოდა, პოლიტიკურმა ელიტამ სამოქმედო გეგმად აიღო პროდასავლურობა და ყველაფერი, რაც ამ ე. წ. გეგმის საწინააღმდეგოდ ეჩვენებათ, არქმევენ მოღალატის, რუსეთუმეს, ოკუპანტის მომხრის სახელს.

საინტერესო ისაა, რომ ამ აზრს ატარებენ ე. წ. ლიბერალები, რომლებიც სახელმწიფოს, ტერიტორიას, პატრიოტიზმს არსებით კატეგორიებად არ განიხილავენ, მაგრამ ზუსტად ამაზე თამაშობენ და სახელმწიფო ჩინოვნიკი, რომელიც რეალობას ხედავს და ნაბიჯი უნდა გადადგას, არის შიშში, ერთგვარი შანტაჟის ქვეშ, ლიბერალებმა რაიმე მათთვის უხერხული იარლიყი არ მიაკერონ.

კვირიკაშვილი ახალდანიშნული იყო, რომ ჰკითხეს: თქვენ ხედავთ საქართველოში რუსულ პროპაგანდას? ბატონი კვირიკაშვილი დაეთანხმა, რომ ხედავს. მაგრამ სად არის ეს რუსული პროპაგანდა საქართველოში, კაციშვილმა არ იცის. პროპაგანდა რომ იყოს და რომ გაძლიერდეს, ამაში ფული უნდა დაიხარჯოს.

— **მაგრამ, ფაქტია, რუსეთი საქართველოში პროპაგანდაში ფულს არ ხარჯავს.**

— მე შემიძლია აგიხსნათ, რატომ ხდება ეს, იქ ვცხოვრობ და ვიცი, ამ კუთხით რაც ხდება.

ნურავის ჰგონია, რომ რუსეთის პრეზიდენტი დილით რომ იღვიძებს, საქართველოზე ანგარიშებს აბარებენ. არავის ჰქონდეს ილუზია, რომ ალაფურშეტზე ხაჭაპური თუ იყო, საქართველოს ეფერებიან ამით და ა.შ. ხაჭაპური, უბრალოდ, მენიუს ნაწილია და ყველა დამეთანხმება ამაში, ვინც კი იქ ალაფურშეტზე ყოფილა მიწვეული. სხვათა შორის, მოსკოვში „ასეტინსკიე პერაგისაც“ აცხობენ ალაფურშეტისთვის.

რაც ეხება კონკრეტულად რუსეთის ინტერესს საქართველოსადმი. საქართველო რუსეთში არავის აინტერესებს. სამწუხაროა, რომ დღესდღეობით სრულიად არის დაკარგული ქართული ლობი. არ მუშაობს სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფები, რომლებიც ქართულ ინტერესებს გაატარებენ რუსეთში.

რუსეთის სახელმწიფო ჩინოვნიკური აპარატი სივრცობრივადაც ძალიან დიდია და თქვენ გეხსომებათ, პუტინმა ორი წლის წინ განაცხადა სავიზო რეჟიმის გამარტივების შესაძლებლობის შესახებ, თუმცა პოლიტიკურ პროცესებში მაშინ ჩაიკარგა ეს განცხადება. ასეა ყველგან, ამერიკაშიც კი, ობამას ყველა განცხადება დაუყოვნებლივ არ და ვერ სრულდება.

რუსეთს დღეს სხვა პრობლემები და სხვა ინტერესები აქვს და არ აინტერესებს საქართველო.

მოდი, ისტორია გავიხსენოთ. რატომ წამოვიდა რუსეთი კავკასიაში?! ვინც ისტორიას თავისებურად კითხულობს, ან საერთოდ არ კითხულობს, იტყვის, რუსეთი საქართველოს დასაპყრობად წამოვიდაო. სინამდვილე კი ისაა, რომ სომხურმა ლობმა იაქტიურა მაშინ, რადგან სომხური სახელმწიფო იმ პერიოდში კრიზისში იყო და საქართვე-





ლოსაც ძალიან უჭირდა, მოხდა ინტერესთა თანხვედრა. მანამდე ვახტანგ VI ამალით იმყოფებოდა რუსეთში და ცდილობდა რუსული ჩინოვნიკური აპარატის დარწმუნებას, მაგრამ ვერ მოახერხა, მერე ნელ-ნელა, სომხური ლობის და ქართველების პერმანენტული მცდელობებით წამოვიდა რუსეთი კავკასიაში.

წარმოიდგინეთ და, ისევ იგივე სიტუაციაში ვართ. ჩვენ ხელახლა უნდა გავაღვივოთ ინტერესი რუსეთის სახელმწიფოსთვის.

— **ვიზალიბერალიზაცია ხომ მივიღეთ ევროკავშირისგან...**

— თქვენ გგონიათ, ე. წ. დავალებები შევასრულეთ და ამიტომ მოგვცეს თანხმობა ვიზალიბერალიზაციაზე? არავითარ შემთხვევაში. ეს იყო იძულებითი ნაბიჯი სირიელი და ჩრდილო აფრიკული მიგრანტების გააქტიურების გამო.

ჩვენ გვაკლია დიპლომატია. მეტიც, სიმართლე თუ გინდათ, საერთოდ არ გვაქვს დიპლომატია. ქართული დიპლომატიის მოღვაწეობის შედეგი აბსოლუტურად ნულია. არ გაგვაჩნია პოლიტიკური, ასე ვთქვათ, ვაჭრობის უნარი და ტერმინოლოგია. ვერ „ვვაჭრობთ“ რუსეთთან, იგივე, ვთქვათ, სომხეთთან ან აზერბაიჯანთან. ამ უკანასკნელს აბსოლუტურად მონოპოლური სიტუაცია ჰქონდა საქართველოში, მაგრამ ნავთობის ფასი დავარდა და ამან შექმნა პრობლემები. ახლა რუსული გაზის შემოსვლაზე ატყდა ერთი ამბავი.

— **თქვენ ბრძანეთ, რომ ჩვენ არ თუ აღარ ვართ საინტერესო რუსეთისთვის. მაგრამ, საინტერესო ვხდებით მაშინ, როცა ნატო და აშშ-ი ჩვენს ტერიტორიაზე აქტიურობებს იწყებს, მაგალითად, ნატოს სასწავლო ბაზის გახსნა რუსეთისთვის სახარბიელო არ არის...**

— არ ვიცი, ამ სასწავლო ცენტრს რა მნიშვნელობა ექნება, მაგრამ რუსეთი ამით დაინტერესდება მაშინ, თუ ეს საკითხი რუსული სახელმწიფოს პრობლემათა ათეულში მაინც მოხვდება. როგორც ზემოთაც ვთქვი, რუსეთს სხვა პრობლემები აქვს, ჩვენით არ იძინებს და იღვიძებს. რუსეთისთვის ჩვენ პრობლემების ათეულში კი არა ოცეულშიც კი არ ვართ.

რუსეთს რაც სურდა, მიაღწია. ორი სამხედრო ბაზა აქვს საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთსა და ცხინვალში და კიდევ თუ რამე დასჭირდება, ალბათ, უკან არ დაიხევს.

საქმე იმაშია, რომ საქართველოს უფრო სჭირდება დღეს რუსეთი, ვიდრე რუსეთს საქართველო. როგორც ვთქვი, საქართველოსადმი ინტერესი რუსეთში მინიმალურია და ამაში გარკვეული წვლილი რუსეთში ქართულ დიასპორასაც ეკუთვნის. პირდაპირ ვიტყვი, რუსეთში ქართველების ძირითადი ნაწილი ე. წ. მიშისტია. არადა, არ შეიძლება ცხოვრობდე რუსეთში და იყო სააკაშვილის გულშემატკივარი.

ესაა უბრალო უმადურობა.

თუ არ მოსწონთ რუსეთი და იქაური ცხოვრება, თავს სცენ პატივი და წავიდნენ. მაგრამ უთავმოყვარეო როცაა ადამიანი, იმას არაფრის არ რცხვენია, ყველაფრის შემგუებელი და ყველაფერზე წამსვლელია. ამიტომაც, იგივე იმ რუსს, ქართველობაზე წარმოდგენა ეკარგება. რუსეთში ვცხოვრობ და ვიცი, რაზეც ვლაპარაკობ.

— **ამ სიტუაციაში, ჯერჯერობით კულუარულად, აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთს შორის ახალ ალიანსზე მიმდინარეობს საუბრები.**

— დღეს ისეთი სიტუაციაა, ამ ალიანსს არაფერი რომ არ უშლიდეს ხელს, აზერბაიჯანი ჩაშლის სავარაუდო შეთანხმებას.

ჯერ ერთი, მოსკოვში ყოველი მეათე აზერბაიჯანელი ცხოვრობს.

აზერბაიჯანს პრობლემები აქვს საწვავის ფასებთან დაკავშირებით და შეიძლება, თურქეთთან აქტიური კავშირებიც აინტერესებდეს, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ, რომ არ ჩანს და, ეტყობა, არც არავინ იცის, ეს არის სავალალო. აზერბაიჯანს თურქეთთან ისედაც აქვს კავშირები, მაგრამ გამორიცხულია ბოლომდე გაჰყვეს თქვენს მიერ ზემოთ ნახსენებ ე. წ. ალიანსის თემას. აზერბაიჯანმა მშვენივრად იცის, რომ ამ ფონზე მას უამრავი პრობლემა შეექმნება.

ვეკითხები თავდაცვის მინისტრს: ქალბატონო თინიკო, რა უნდა გამოვადნოთ ამ კავშირიდან?!

სომხების გაბუტვა და ახალი პრობლემები რუსეთთან? ან ორივე ერთად ხომ არა?

და საერთოდ, რომ ჩქმალავენ, გაგვაგებინონ, რა ალიანსზეა საუბარი და რა საჭიროა ყოველივე ამის გასაიდუმლოება?!

— **თქვენი აზრით, რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ამ ალიანსის შექმნის იდეა?**




— მარტივად გეტყვით, ეს არის ქართული კუდაბზიკობა და მატრაკვეცობა და სხვა არაფერი.

თავდაცვის სამინისტრო საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, წესით, საერთოდ არ უნდა აქტიურობდეს.

ნებისმიერი ალიანსი დღეს ისეთი მყიფეა, რომ ამაზე საუბარიც კი არ ღირს.

ისე სწრაფად იცვლება პოლიტიკური ვითარებები მსოფლიოში, რომ ალიანსებზე საერთოდ არც უნდა ვფიქრობდეთ. და თუ, მაგალითად, ასეთი ალიანსი შეიქმნა, საქართველოში დაიწყება რაღაც ტიპის წვრთნები, არეულობები, უბედურებები და შედეგად მივიღებთ იმას, რომ კიდევ უფრო გავანაწყენებთ რუსეთს, გავანაწყენებთ სომხეთსაც, აზერბაიჯანი თავს დაიძვრენს, თურქეთი და რუსეთი შეთანხმებას მოახერხებენ და ჩვენ დავრჩებით კუდამოძუებული და სასტიკად დაზარალებული.

— **ჩვენი პოლიტიკური დაბნეულობა და მიეთმოეთი ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი სახელმწიფოებრივი ხედვა ჩვენი სახელმწიფოს მმართველებს შორის?**

— არაერთხელ მითქვამს და კვლავ გავიმეორებ – უნდა ვეცადოთ, რომ ვიცხოვროთ მშვიდობიანად.

აი, დღეს ყველგან ისმის, რომ სსრკ-ს დროს იყო უბედურებები, კლავდნენ და თრგუნავდნენ ადამიანებს, იჩაგრებოდნენ ერები და ა.შ.

იმ სისტემამ იდეოლოგიური მარცხი განიცადა, თუმცა, პირდაპირ ვიტყვი, რომ საბჭოთა კავშირმა გამოასწორა მსოფლიო. შედეგი მიიღო იგივე იმ მსოფლიომ, ყოფილი საბჭოთა ჩინოვნიკების ცოდვებმა კი მთლიანად სისტემა დაღუპა.

დასავლეთსა და აშშ-ს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მშვიდობა არ აწყობთ.

სამწუხაროა, თუმცა ფაქტია, რომ დასავლეთს აწყობს აქ ქაოტური სივრცე და კიდევაც რომ მოინდომონ, სიტუაციას ვეღარ დაალაგებენ. რჩება ერთადერთი გზა – საკუთარ თავს თვითონ უნდა ვუშველოთ. სომხეთმა, აზერბაიჯანმა, აფხაზებმა, ოსებმა, ამიერკავკასიელებმა ერთიანი ეკონომიკური სივრცე უნდა შევქმნათ. ეს, შემდეგ, სხვა ტიპის პოლიტიკას თავისთავად მოითხოვს.

ასე რომ, რაც უფრო მალე დაგვანებებენ თავს, მით უფრო მალე მივალთ იმ დასკვნამდე, რომ კავკასიაში მშვიდობის დარეგულირება არის ჩვენი მიზანი და უკეთესად ცხოვრების, თუ გნებავთ, გადარჩენის მთავარი ფორმულაც.

— **ანუ თქვენ რომ იყოთ ხელისუფლებაში, პირველ ნაბიჯებს ამ მიმართულებით გადადგამდით?**

— ხელისუფლებაში რომ ვიყო, ამას მაინც ვერ მოვახერხებდი, რადგან დღევანდელ პოლიტიკურ ელიტას უკაცრავად და, ტვინი აქვს გადაბრუნებული. თუმცა იმედი მაქვს, ოდესმე მიხვდებიან, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. იყოს ასე – თუ დაბადებამდე ცხრა თვე ჩვილი დედის მუცელში უნდა იყოს, როგორც ჩანს, ჩვენს სახელმწიფოსაც გონივრული ნაბიჯების გადადგმამდე კოსმიური ვადა და დრო სჭირდება ჭკუის სასწავლებლად.

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118

## პროკურატურის განცხადება ბიძინა კუჭავას საქმესთან დაკავშირებით

საქართველოს მთავარი პროკურატურა ბიძინა კუჭავას საქმესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

„პროკურატურა გამოთქვამს მზადყოფნას, ბიძინა კუჭავას საქმეზე მიმდინარე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის პროცესში, ოფიციალურად ჩართოს და მონაწილეობა მიაღებინოს ბიძინა კუჭავას ოჯახის მიერ მოწვეულ დამოუკიდებელ ექსპერტს მაია ნიკოლეიშვილს. აღნიშნული მათ შესაძლებლობას მისცემს, გამოძიების დასრულებამდე, უშუალოდ გაერ-



კვნენ საქმის ვითარებაში და დარწმუნდნენ მიმდინარე გამოძიების ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში.

პროკურატურა აპირებს აქტიურ თანამშრომლობას, როგორც ბიძინა კუჭავას ოჯახთან და ადვოკატთან ასევე ვახტანგ ქირიას ოჯახთან, რათა დეტალურად იყვნენ ინფორმირებულები გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ“, - ნათქვამია განცხადებაში.

## დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, H1N1 მთელ საქართველოში გავრცელებული

სპეციალისტები H1N1 ვირუსის გავრცელების ინტენსივობას მომავალი კვირიდან ელიან. მათივე თქმით, ვირუსის ინტენსივობა შემცირდება 5-8 კვირის შემდეგ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ცნობით, განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგინენ ქრონიკული დაა-




ვადებების მქონე ადამიანები, ორსულები და ბავშვები. ცენტრის რეკომენდაციით, მაღალი რისკის ჯგუფში შემავალი ადამიანები უნდა მოერიდონ ხალხმრავალ ადგილებს და ვირუსის სიმპტომების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართონ ექიმს.

**მედიანიუსი**




# TI AMO, ITALIA!

## მილანის ცენტრში პუტინის ნაჩუქარი ცოცხალი ნაძვის ხე დგას, რომელსაც იტალიელები თვალისჩინივით უვლიან

**რთული სათქმელია, როგორი იქნება 2016 წელი საქართველოსთვის, რადგან სოციალურ-პოლიტიკური ვითარება იმდენად მძიმეა, იმდენად უპროგნოზო, რომ ყველაფერია მოსალოდნელი, კარგის გარდა! რიგითი მოქალაქეების შემოსავალი დღითიდღე კლებულობს, ძვირდება პროდუქტები, უმუშევართა რაოდენობა იზრდება, ლუკმა-პურის საშოვნელად ქვეყნიდან ასობით მოქალაქე გადის. კერძო ბანკები კვლავაც განაგრძობენ მოსახლეობის ძარცვას და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი უბედურება სჭირს ქვეყანას, რომელიც ევროკავშირის წევრობას აპირებს?!**

სულ მალე, საქართველოს მოქალაქეებს ევროპის 28 ქვეყანაში, ანუ შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლას ჰპირდებიან და ეს მაშინ, როდესაც საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და სხვა პოლიტიკოსები – ღიად აცხადებენ, რომ შენგენის ზონა უცხოელი მიგრანტებისთვის საერთოდ უნდა ჩაიკეტოს, რადგან ევროპა, შესაძლოა, კატასტროფის ცენტრი გახდესო! არადა, თუ კარგად ჩავიხედავთ ევროპელების საშინაო ცხოვრებაში, მათი შეშფოთება არცთუ უადგილოა, მეტიც – ამოდენა პოსტსაბჭოური სივრციდან თუ აზიიდან დაძრული მილიონობით მიგრანტი, რომელთაც საკუთარი მენტალობა, კულტურა და რელიგია გააჩნიათ, მართლაც შესაძლოა, გახდეს საშიში იმ ევროპისათვის, რომელიც სიმშვიდეს, პოლიტიკურ სტაბილურობას და მატერიალურ სიკეთეებს აგრერიგად მიეჩვია!

ამ ორიოდე თვის წინ საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში განხორციელებულმა შემზარავმა ტერაქტმაც ცხადჰყო, რომ ევროპის საზღვრები, ევროპული ჰუმანიტარული მიდგომები უცხოელი მიგრანტების მიმართ ნამდვილად გადასახედია და მათი მხრიდან ამ ყველაფრის დასტურია ის, რომ არნახულად გამკაცრებულია ევროპაში შესასვლელი ოფიციალური გზები, როგორიცაა, აეროპორტები და საგზაო-სარკინიგზო მიმოსვლების სადგურ-სასაზღვრო პუნქტები.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტიც საგანგებო რეჟიმშია და მგზავრთა საბარგო თუ საპასპორტო კონტროლი აქაც გამკაცრებულია... აი, თურქეთის საერთაშორისო აეროპორტებში კი, როგორიცაა, „ათათურქის“ სახელობის აეროპორტი და „საბიხ გიოქჩენის“ სახელობის აეროპორტი, აქ მგზავრთა კონტროლის უპრეცედენტო ზომებია შემოღებული დაწყებული ბარგის ჩაბარებიდან, დამთავრებული სხეულისა თუ ხელბარგის უმკაცრესი ჩხრეკით დამთავრებული. ერთი კია, თურქეთის ორივე საერთაშორისო აეროპორტში, რომლებიც მგზავრთა დიდი ნაკადის გამო ხშირად პარალიზებულიც კი მინახავს, დღეის მდგომარეობით თითქმის ცარიელია, რადგან, როგორც ერთ-ერთმა თანამშრომელმა მითხრა, რუსები აღარ ჩამოდიან თურქეთში, არც სამუშაოდ და აღარც დასვენება-საშოპინგოდ! თურქები რუს ტურისტებს, მათ მიერ დახარჯულ და თურქეთში დატოვებულ მილიარდობით დოლარებს მისტირიან და იტალიელები კი წინასწარ ლაღობენ – აწი რუსები ჩვენთან, ჩვენს კურორტებზე ივლიან დასასვენებლად და ეკონომიურად უფრო მოვმძლავრდებითო... პარადოქსია, არა?! თურქეთის სახელმწიფო და რუსეთის ფედერაცია წარსულში ძმურ, მეგობრულ ხელშეკრულებებს სახელმწიფო დონეზე ოფიციალურად აფორმებდნენ და ახლა შუაგული ევროპის ქვეყანა იფშვნეტს ხელებს რუსი ტურისტების მისაღებად, ხომ?!

ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ზუსტად ვიცი, რომ მთელი რიგი არასამთავრობო თუ სამთავრობო, ოპოზიციური თუ „პოზიციური“ ოპონენტი გამოყოფს გრძელ ენას და დაიწყებენ გნიასს – ასე არ არის, ეს საგაზეთო პუბლიკაცია სრული დეზინფორმაციაა და შეფარული რუსული პროპაგანდაო. მაგრამ, ბატონებო, დაოკდით, ყველაფერი ჯერ კიდევ არ მითქვამს და მერწმუნეთ, რასაც დავწერ, ისეთივე სრული სიმართლეა, როგორც ის, რომ 26 დეკემბრიდან მოყოლებული 16 იანვრამდე თბილისი-ისტამბული-მილანის რეისით იტალიაში გავფრინდი და როგორც ჩვენს ემიგრანტებთან, ისე იტალიელებთან სწორედაც რომ პოლიტიკაზე ვსაუბრობდი!

აკი მოგახსენეთ, უსაფრთხოების გამკაცრებული ზომებია ყველა საჰაერო თუ სახმელეთო ჭიშკართან-თქო? ჩემს წინ რიგში მდგარი თურქი ეროვნების ქალბატონი მილანის „მალპენზას“ აეროპორტში, რომ იტყვიან, ბოლომდე „დაფერთხეს“, უბრძანეს, მოეხსნა თავსაბურავი, გაეხადა ქუსლიანი ფეხსაცმელი ისევე, როგორც გახადეს, რისი გახდაც სხვების თანდასწრებით იყო შესაძლებელი და ბოლოს „პირად ჩხრეკაზეც“ წაიყვანეს, რადგან ზედაპირული ჩხრეკით ვერაფერი აღმოუჩინეს... აეროპორტში „კარაბინერების“ და პოლიციელების სიმრავლე თვალშისაცემად იყო გაზრდილი, მაგრამ ევროპელებს ტერორიზმის საფრთხის გარდა თურმე ეკოლოგიური კატასტროფისაც ძალიან შინებიათ და როდესაც ჩემმა შვილმა ამიხსნა, რატომ არ ჩანდა ქალაქში უამრავი სატრანსპორტო საშუალება, მართალი გითხრათ, პასუხით სასიამოვნოდ გავოგნდი... სადღესასწაულო დღეებში მილანის მუნიციპალიტეტის განკარგულებით, დილის 10 საათიდან 17 საათამდე კერძო ტრანსპორტით გადაადგილება აიკრძალა და აიკრძალა იმიტომ, რომ 3 თვის განმავლობაში ბუნებრივი ნალექის რაოდენობა ნულს გაუტოლდა, ფაბრიკებიდან, ქარხნებიდან, გათბობის სისტემებიდან გამონაბოლქვი კი ეკოლოგიურ კატასტროფას უქმნიდა ქალაქს და იმდენად შესამჩნევი იყო ეს გამონაბოლქვი, გეგონებოდა, ნაცრისფერი ნისლი შემოხვევია ამ უძველეს და ულამაზეს ქალაქსო... შარშან აგვისტოშიც გახლდით იტალიაში და 45 გრადუსი სიცხე-პაპანაქების დროსაც განმაცვიფრა მილანის მუნიციპალიტეტმა, ანუ ქალაქის მერიამ... იმიტომ, რომ ქალაქის გამწვანებისა თუ კერძო სექტორში დარგულ ხეებს, მარადმწვანე ბუჩქებს და ყვავილ-გაზონებს გახმობის საფრთხე არ დამუქრებოდა, მილანის მუნიციპალიტეტის საგანგებო განკარგულებით, 2 კვირით მოიხსნა წყლის გადასახადი და მთელი მილანი, ვინც კი ქალაქიდან არ იყო გასული დილა-საღამოს რწყავდნენ იქაურობას და თურმე მაშინაც თითქმის სამი თვე ციდან წვეთი არ დაცემულა ქალაქის თავზე... აი, ბატონო დავით ნარმანიავ! ისწავლეთ, როგორ უნდა მოაგვაროთ თუნდაც ეკოლოგიური პრობლემები, რომ აღარაფერი ვთქვა სხვა იმ სიკეთეებზე, რაც ამ სამი კვირის განმავლობაში ვნახე, უშუალოდ მივიღე მონაწილეობა და აღვფრთოვანდი მილანის მუნიციპალიტეტის ნამდვილად ეროვნული, მაღალი კულტურის მატარებელი და საზოგადოებისადმი პატივისცემის, თანადგომის თვალსაზრისით!

24 დეკემბრიდან 10 იანვრის ჩათვლით გრანდიოზული საგამოფენო დარბაზები ბუმბერაზი იტალიელი მხატვრების ტილოებით დამშვენდა და ეს გამოფენები, როგორც არ უნდა გაუკვირდეს ვინმეს – მილანის მუნიციპალიტეტისა და რამდენიმე ცნობილი იტალიური ბანკის ერთობლივი დაფინანსებით განხორციელდა! ანუ მოსახლეობისთვის – რუბენსის, ლეონარდო და ვინჩის და ჰაიეზის შედევრების ნახვა სრულიად უფასოდ იყო შესაძლებელი და აკი იმ სადღესასწაულო დღეებში ამ სიკეთით არა მხოლოდ იტალიელებმა, არამედ ჩვენ – სტუმრად ჩასულმა უამრავმა ადამიანმაც ვისარგებლეთ! ანტონიო რუბენსის „იესოს დაბადება“ მილანის მუნიციპალიტეტის დიდ დარბაზში იყო გამოფენილი და სპეციალურად დამონტაჟებული განათებით ისეთი ფონი იყო შექმნილი, თითქოს იესოს დაბადების თვითმხილველი, სიხარულის გამზიარებელი და შემდეგომ მისი ჯვარზე გაკვრის თანამონაწილე ხდებოდი... შინაგანად გაზრდილი, სავსე და ამაღლებული განწყობით ტოვებდა ამ გამოფენების თითოეული მნახველი იქაურობას ისევე, როგორც მე და ამ ემოციებს როგორც შეგვეძლო, ისე ვუზიარებდით ერთმანეთს...

„დუომოს“ მილანის მოედანი თავისი გრანდიოზული კათოლიკური ეკლესიით, თაღოვანი „პიაცით“ და ლეონარდოს მიერ მოხატული ჭერით არა მხოლოდ წინასაახალწლო, არამედ ზოგადსაკაცობრიო სიხარულის მორევში გაგდებს, მაგრამ ჩემს გაკვირვებას საზღვარი თურმე ჯერ არ გადაელახა და წინ იმაზე მეტი განცვიფრება მელოდა, ვიდრე წარმომედგინა... მილანის მთავარ მოედანზე უზარმაზარი ცოცხალი, ვეებერთელა ნაძვის ხე იწონებდა თავს ძვირფასი სათამაშოებითა და ორიგინალური განათებით... 31 დეკემბერს, კათოლიკური შობის, ანუ როგორც მას იტალიელები ეძახიან „ნატალობის“ შემდეგ, სწორედ ამ ნაძვის ხესთან, ამ მოედანზე იყრიან თავს იტალიელები, მათი სტუმრები და ტურისტები, ჰოდა, ისევე, როგორც ჩვენთან, ისვრიან, აფეთქებენ, მხიარულობენ და მიირთმევენ იმ ნუგბარს, რომელიც გარშემო მდგარ კაფე-რესტორნებში ასე უხვად არის წარმოდგენილი...

ჩემი შვილის იტალიელ მეზობელ ანტონიოს, იგივე ტონის ვკითხე – ეს ნაძვის ხე ამ შუაგულ პიაცაზე ახალი წლის სიმბოლოდ დადგეს და შემდეგ საგულდაგულოდ უვლიან, რომ გაიზარდოს და არ გახმეს-თქო? ანტონიომ იცის, რომ ჟურნალისტი ვარ და უკვირს – რატომ არ ვიცი მოედანზე მდგარი ამ ერთადერთი ნაძვის ხის ისტორია? ისეთი ეშმაკური, მხოლოდ იტალიელებს რომ აქვთ, გამოხედვით მიყურებს, სახეზე აწერია – რაღაც ძალიან საინტერესოს, აი, ინტრიგნულს და მრავლისმეტყველ „რაღაცას“ რომ მიმალავს და ბოლოს ჩემი შვილის თარგმანის წყალობით ვიგებ, რას?

რას, და?.. თურმე შარშანწინ, შობის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს სპეციალური რეისით ქალაქ მილანისთვის საჩუქრად გაუგზავნია 7 მეტრის სიმაღლის ცოცხალი ნაძვის ხე ნიშნად მეგობრობისა და წინასადღესასწაულო საჩუქრის სახით! თანაც შეუთვლია: აბა, ვნახოთ, როგორ გაუფრთხილდებით, მოუვლით და კიდევ რამდენ შობა-ახალ წელს მორთავთ ჩვენი მეგობრობის დამადასტურებელ სიმბოლოსო?! ვიმეორებ – პუტინის ნაჩუქარი ცოცხალი ნაძვის ხე მილანის შუაგულ ცენტრში „დუომოზე“ დგას იქ, სადაც მილანის მუნიციპალიტეტი (მერია), ლა სკალას თეატრი, ვეებერთელა არქიტექტურული შედევრი კათოლიკური ეკლესია, თაღოვანი პიაცა და მსოფლიო ბრენდებისა და საბანკო გიგანტების შენობებია განთავსებული, ანუ მილანის გულია თავისი ძველისძველი, ისტორიული ნაგებობებითა და ასევე ხელშეუხებელი ძველისძველი ქვაფენილით წარმოდგენილი! იმიტომ, რომ ისტორიული მემკვიდრეობაა მთლიანად ეს ტერიტორია და მილანელები ძალიანაც უფრთხილდებიან თითოეულ აქ წარმოდგენილ შენობასა თუ ქვას, თითქმის წარმოუდგენლად მიაჩნიათ არათუ ახალი შენობის აშენება, არამედ თუნდაც ერთი გაბზარული ქვის შეცვლა, ჰოდა... ეს ჩვენი ანტონიო – მეზობელი, გაკვირვებისგან ხელებს შლიდა, როგორ მოხდაო ის, რომ – ვლადიმირ პუტინის ნაძვის ხის დასარგავად მილანის მუნიციპალიტეტმა ამოდენა ფილები ამოჰყარა და ეს ხე აქ დარგოო?!! უფრო მეტი განცვიფრებით კი მიყვებოდა იმას, რომ 20 დეკემბრიდან 18 იანვარს სპეცტექნიკით ეს ნაძვის ხე ამ მოედანზე უკვე 2 წელია, ჯერ ირგვება, შემდეგ ითხრება და მაინც არ ხმება მოტანა-წაღების დროსოოო...


ვლადიმერ პუტინის ნაჩუქარი ნაძვის ხე მილანის ცენტრში

„მამა მია“, – ასრულებს „პუტინის ნაძვის ხის“ ისტორიას. იქვე ისიც დასძინა, რომ რუსეთის პრეზიდენტის პოზიცია, ტერორიზმთან ბრძოლის თვალსაზრისით, ძალიან მოსწონს, თუმცა არ მოეწონა ის, რომ 2009 წელს საქართველოში და შემდეგ უკრაინაში რუსეთმა ადამიანები დახოცა! ანტონიოს გლობალური პოლიტიკის, რასაკვირველია, არაფერი გაეგება იმიტომ, რომ ჩვეულებრივი რიგითი იტალიელია, რომელსაც თავისი პრობლემებიც თავზესაყრელი აქვს, მაგრამ, მოდით, თავი დავანებოთ მას და კარგად გავიხსენოთ, შარშანწინ, დეკემბერში რა ხდებოდა ევროპაში ისეთი, რასაც, წესით, ხელი უნდა შეეშალა თუნდაც პუტინის ნაძვის ხის მოგზაურობისა და იტალიაში დამკვიდრებისთვის?!

2015 წლის დეკემბერში – უკრაინაში კიევის მაიდანი იცლებოდა სისხლისგან, მეგობრებო!!! ევროპის წამყვანი ქვეყნები ვლადიმირ პუტინს ცხვირწინ თითებს უქნევდნენ, სანქციებით ემუქრებოდნენ და მსოფლიო მედიის საშუალებით ღიად ემუქრებოდნენ, რომ, ომის ესკალაციის შემთხვევაში, არათუ რაკეტებს განალაგებდნენ უკრაინაში, არამედ რუსეთის დასაშლელად რეალურ ნაბიჯებს გადადგამდნენ! გაგახსენდათ, ხომ ეს გამონათქვამები? აკი, სანქციებიც დაუწესეს ევროპელებმა რუსეთს, მაგრამ საერთო ჯამში ვინ იზარალა? იზარალა იტალიამ, გერმანიამ, საფრანგეთმა და იმ ქვეყნებმა, რომლებიც ევროკავშირის წევრები არიან და რომელთა ნაწარმი (როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე მსუბუქი თუ მძიმე მრეწველობის) პროდუქციაც რუსეთის ბაზარზე შედიოდა. ანუ სანქციები „ეგრე არ უნდაო“ და... პუტინის განკარგულებით ვერც რუსეთში შეიტანეს თავისი საქონელი ევროპელებმა და მხოლოდ იტალიის მაგალითს თუ მოვიყვან – ზარალმა 2015-16 წლებში დაახლოებით 28 მილიარდს გადააჭარბა მარტო ხილ-ბოსტნეულის ექსპორტის კუთხით! მეტიც, თავში აღვნიშნე, რომ გასული წლის აგვისტოშიც გახლდით იტალიაში და ახლავე მოგახსენებთ, რას გადმოსცემდნენ ადგილობრივი ტელევიზიები... ფერმერები, რომლებმაც საკუთარი, მაღალი სტანდარტის ჭირნახული ევროსაბჭოს სანქციების წყალობით რუსეთის ბაზარზე ვერ შეიტანეს, ქუჩებში გამოეფინენ და თავიანთ მუშახელთან ერთად საპროტესტო აქციებს მართავდნენ. აქციებზე კი იტალიის ხელისუფლებას მოუწოდებდნენ – იტალიის ინტერესებიდან გამომდინარე, გადაეხედათ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკისათვის და თუ იტალიის სახელმწიფო ინტერესებს დასჭირდებოდა ევროზონაზე უარიც კი ეთქვათ! უფრო მეტიც, იტალიელები დაუფარავად და დღემდე აგინებენ გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს როგორც რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ინიციატორს და დასცინიან ბერძნებს იმისთვის, რომ – ევროკავშირისგან მიღებული გრანტის სანაცვლოდ ქრისტიანულმა საბერძნეთმა ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონა. შარშან ზაფხულში თუკი საბერძნეთი ევროკავშირს გამოეყოფოდა, რიგში იტალიელები იდგნენ და ამას არც საჯაროდ მალავდნენ. მე საშუალება მქონდა, ტელევიზიით მომესმინა ევროსაბჭოს იტალიელი დეპუტატის მატეო სალვინის გამოსვლისთვის, რომელმაც ბრძანა: „მე „მადლობელი“ ვარ





ალექსის ციპრასის (საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი) იმიტომ, რომ მან დაგვანახა, როგორ აღარ შეიძლება ცხოვრება! მე „მადლობელი“ ვარ მისი კიდევ იმიტომ, რომ მან დაგვანახა, როგორი არ უნდა იყოს პოლიტიკოსი და „მადლობელი“ ვარ ევროსაბჭოსი, იმიტომ, რომ მან მხარი სწორედ ასეთ „პოლიტიკოსს“ დაუჭირა!!! მე „მადლობელი“ ვარ ევროკავშირის იმიტომ, რომ რუსეთთან სანქციების მეშვეობით 3 მილიონი იტალიელი უმუშევარი დაგვიტოვა და „მადლობას“ ვუხდი ევროკავშირს იმ „გონივრული ჰუმანიტარული“ შტურმისთვის, რომელიც მან იტალიაში აზიიდან მიგრანტების შემოტევით განახორციელა.“

დიახ, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ამ სიტყვებს ამბობს იტალიელი მემარჯვენე პოლიტიკოსი ევროსაბჭოს სხდომაზე და დარბაზი მის სიტყვებს აპლოდისმენტებით ხვდება. თუკი ვინმეს ეჭვი ეპარება ამ ფაქტის ნამდვილობაში,







კი, ბატონო – მე მაქვს ეს ჩანაწერი, თარგმნონ ქართულად და რომელი ტელევიზიაც გაბედავს, აჩვენოს მოსახლეობას, რეალურად რა ხდება ევროსაბჭოს სხდომებზე და იგივე ანგელა მერკელს რას ეუბნებიან რუსეთთან მიმართებით ახალგაზრდა გერმანელი პოლიტიკოსები.

ისე, რომ არ მიმავიწყდეს, მოდით, ახლა „გაზპრომზე“ და იტალიაში მიწოდებულ რუსულ გაზზეც გეტყვით ორიოდ სიტყვას...

საერთოდ, ჩემმა შვილმა და რამდენიმე ნაცნობმა ემიგრანტმა მკაცრად გამაფრთხილეს – რუსეთზე შენი შეხედულება ღიად არ თქვაო, რადგან იტალიაში კიდევ ბევრი კომუნისტია და ზოგადად რუსებს უმადლიან ფაშისტებს თავი რომ დააღწიესო! მოკლედ, გადასწევ გაზქურის ჩამრთავს და იმ წამს ისეთი სუნი დგება, ფანჯარა თუ არ გამოაღე, შეგაწუხებს... აანთებ და ცისფერი ალი ენთება, ერთი ჭიქა ყავა ჯეზვეში (ყოველთვის თან დამაქვს) ზუსტად 35 წამში დუღდება (დრო დავინიშნე), 2-ლიტრიანი ჩაიდანი 9-10 წუთში ადუღდა და ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ – მაღალი კალორიის გაზს აწვდის რუსეთი ევროპას, რითაც მიმწოდებელიც და მომხმარებელიც ძალიან კმაყოფილია ფინანსური თვალსაზრისით!!! აი, ჩემი გათბობისა და ყავის ადუღების ხარისხზე კი რა მოგახსენოთ... გარეთ ყინვაა, სახლი 2 დღეა ვერაფრისდიდებით ვერ გავათბე, რადგან წითელია აქაური აირი და სიწითლეს ვინ დაეძებს, არც წნევა ესინჯება მომაკვდავივით. ახლა ვეკითხები მათ, ვინც მუშტებს იბრაგუნებს გულზე – ბატონებო! იტალიელებმა საგარეო ვექტორი შეიცვალეს რუსული გაზის სანაცვლოდ?!! „სოჩიკი“ კი ტრიალებს, ტრიალებს და თვეში იმოდენა გადასახადი მომდის, ევროპელებმა რომ იცოდნენ, გადაირეოდნენ, როგორ, რა შემოსავლით იხდი ასეთი ღარიბი ქვეყნის მოქალაქეო?

იტალიაში რიგითი იტალიელის შემოსავალი იმდენია, რამდენიც კარგად კვებაში, გადასახადების გადახდაში, დაზღვევასა და საპენსიო ფონდში შესატანი თანხისა და პირადი დანაზოგისთვის არის საკმარისი. სწორედ ამიტომაცაა, რომ იტალიაში შიმშილით სიკვდილი, ანდა უბრალოდ შიმშილი – წარმოუდგენელია! იმისთვის, რომ მოსახლეობას უკიდურესი სიდუხჭირე არ დაემუქროს, მთელი რიგი ინსტიტუტები – სოციალური სამსახურები, ეკლესია, არასამთავრობო სექტორი და შეძლებული იტალიელები, ისევე, როგორც ფერმერები და ბიზნესმენები ერთ მუშტად არიან შეკრულები და ეხმარებიან დანარჩენებს პრობლემების მოგვარებაში! გარდა ამისა, ცუდ ტონად ითვლება რაიმე კიდევ გამოსაყენებელი ნივთისა თუ ტანსაცმლის ნაგავში გადაყრა, ჰოდა, ვისაც ამ მხრივ პრობლემები აქვს, მიდის ეკლესიებში, სადაც არჩევანი დიდია დაწყებული ავეჯით, საყოფაცხოვრებო ტექნიკითა თუ ჩასაცმელ-დასახურით დამთავრებული! ცალკე აღნიშვნის ღირსია ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის მიტანა შეწირულობის სახით და ამ სიკეთით არა მხოლოდ იტალიელები სარგებლობენ, არამედ ჩვენი ემიგრანტებიც, რომლებიც ჩასვლიდან საწყის ეტაპზე სწორედ ეკლესიიდან წამოღებული ზეთით, კარაქით, მაკარონით, კარტოფილითა თუ ხილით ითქვამენ სულს უცხო მიწაზე!!! ქვეყანაში, სადაც ახალთახალი ხორცის, ყველის, რძის ნაწარმის და ხილის ფასი დღესასწაულებზე 80%-ით იაფდება, რათა მოსახლეობამ შეძლოს მისი ყიდვა. კომენტარები საჭიროა?!

იტალიაში გენდერული ბალანსი ქალების სასარგებლოდ იმდენად აშკარაა, გამიკვირდა კიდეც, თუმცა გასაკვირი არც არაფერია, რადგან ადრეულ იტალიურ ფილმებშიც ჩანდა ეს ყველაფერი... იტალიელი ქალები ლამაზები და აქტიურები არიან, მაგრამ მათი საზოგადოებრივი აქტიურობის მუხრუჭის საიდუმლოება თურმე რამდენიმე წლის წინ იმაში მდგომარეობდა, რომ ოჯახზე მზრუნველობას დიდი დრო მიჰქონდა და ქვეყნის საკეთილდღეო საქმეებში აქტიურ მონაწილეობას ვეღარ ახერხებდნენ. ამ რამდენიმე დღის წინ იტალიის პარლამენტის დეპუტატი ქალბატონი (სახელი და გვარი აღარ მახსოვს) შობა-ახალ წელს ულოცავდა თავის ქვეყანას და რაოდენ გამოკვირდა ამ მოლოცვის ტექსტში სიტყვა „ჯორჯიანო“-ს რომ მოვკარი ყური...

– რაო? ჩვენზე ამბობს რამესმეთქი? – ვკითხე ჩემს შვილს, რომელმაც არცთუ ხალისიანად გადამითარგმნა დეპუტატი ქალბატონის სიტყვები: „გილოცავთ ყველას“, ვულოცავ მათაც, იმ ქალბატონებს, ვისაც თავისი ქვეყანა და ოჯახები აქვთ მიტოვებული იმისთვის, რომ გადაარჩინონ სიცოცხლე. ვულოცავ ინდოელებს, რუსებს, უკრაინელებს, ქართველ და სამხრეთ ამერიკელ ქალბატონებს შობა-ახალ წელს! თქვენ ჩვენი „ყავარჯნები“ ხართ, იტალიელი ქალბატონების დამხმარე ხელები და სწორედ თქვენი დამსახურებაა ის, რომ ჩვენ დღეს ოჯახური საქმეებისგან თავისუფალნი, საზოგადოებრივ საქმიანობაში რეალიზებულები ვართ! მადლობა თითოეულ თქვენგანს ამისთვის“.

მდაა... ჩვენი „ყავარჯნების“ ისტორიები მართლაც ისეთია, ბოლომდე რომ დაიწეროს, წაიშლება – იმდენი ცრემლით იქნება გაჟღენთილი... ალბათ, დავწერ კიდეც, მაგრამ ის, რაც „ყავარჯნებმა“ დამაბარეს, ის იყო, რომ: „ჩვენი ოჯახების გარდა არაფერიღა გვაინტერესებს და ჩვენი იმედი არცერთ პარტიას აღარ ჰქონდესო!“

ჰო, მართლა... იტალიაში რომის პაპის შემდეგ ყველაზე პოპულარული ადამიანის ისტორია არ გამომრჩეს... იმ მილანელი ბიჭის ისტორიის მოყოლა არ დამავიწყდეს, რომელიც 7 იანვარს 78 წლის გახდა და რომელსაც მთელი იტალია ლამისაა ყვირილით ულოცავდა: „ადრიანო, ადრიოანო, ა მორე“... დიახ, ადრიანო ჩელენტანოს დაბადების დღეს მისი უამრავი თაყვანისმცემელი მის სახლთან მივიდა და როგორც წესი, ანთებული სანთლებით ხელში დიდხანს სიცოცხლეს უსურვებდნენ! რამდენიმე წლის წინ მილანელებს ხელმოწერებიც კი შეუგროვებიათ და უთხოვიათ საყვარელი მსახიობისთვის – მილანის მერად აგირჩევთო, მაგრამ ჩელენტანომ უარი სტკიცა და, ალბათ, ხვდებით, რატომაც – „მე რომ მილანის მერი გავხდე, თქვენ სიყვარულს დავკარგავო!“ – უთქვამს და მართალიც იყო...

მე მიყვარს ადრიანო ჩელენტანო, რომელიც მხოლოდ ფილმში თამაშობს ბლეფს და გულწრფელია მაშინ, როცა რეალურ სამყაროშია!!!

**და ბოლოს. ულრმესი მადლობა მინდა გადავუხადო იტალიის საელჩოსა და საკონსულოს იმისთვის, რომ ჩემი გამგზავრება უმოკლეს დროში უზრუნველყო!**

**გრაციე მილე!**

**ᲘᲠᲘᲜᲔ ᲒᲝᲒᲝᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
მილანი-თბილისი
555 25 43 35

# საინფორმაციო „გავნავოზი“ „ნაცმოძრაობის“ ავტოპარკიდან

ერთმა კაცმა სოკრატესთან საუბარი წამოიწყო: – იცი, რა მითხრა შენზე შენმა მეგობარმა?

– შეჩერდი! სანამ რამეს მეტყოდე, სამ საცერში გაცერი და ისე მითხარი! – შეაჩერა სოკრატემ.

– სამ საცერში? – დაიბნა მოსაუბრე.

– დიახ, სამ საცერში. პირველი საცერი – ეს არის სიმართლის საცერი. დარწმუნებული ხარ, რომ ის, რის თქმასაც აპირებ, სიმართლეა?

– არა, უბრალოდ, რაც მოვისმინე იმის თქმას ვაპირებ...

– მაშასადამე, შენ არ იცი, სიმართლეა თუ არა ის, რაც უნდა მითხრა. კეთილი. ახლა მეორე საცერში გავცრათ შენი სათქმელი – ეს არის სიკეთის საცერი. მიპასუხე, ის, რაც უნდა მითხრა, კარგია?

– არა, პირიქით.

– მაშასადამე, უნდა მითხრა რაღაც ცუდი და თანაც არ იცი, სიმართლეა თუ არა. კეთილი. ახლა მესამე საცერზე გადავიდეთ – ეს არის სარგებელი. შენი აზრით, რამდენად სასარგებლო იქნება ჩემთვის ის, რისი თქმაც გინდა?

– ვფიქრობ, არანაირ სარგებელს არ მოგიტანს...



– მაშ ასე, თუ ინფორმაციაში, რომელიც უნდა გადმომცე, არ არის არაფერი არც კარგი, არც მართალი და არც სასარგებლო, რატომ მაწვდი, რა აზრი აქვს მის თქმას? – გაიღიმა სოკრატემ და ზურგი აქცია საჭოროდ შემართულ კაცს...

ჩათავდა 2015 წელი, ტოტალური ცილისწამებებისა და ლანძღვა-გინებების უსარგებლო ერთი წელი და დაიწყო 2016 წელი, რომელიც ყოველგვარი მკითხაობის გარეშეც ნათელია, რომ ბევრად ბინძური ნააზრევნაკეთების გამომზეურების წელი იქნება, რადგან საარჩევნო მარათონის დაწყება და მიმდინარეობა საქართველოში სხვაგვარად, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

ხალხი შობა-ახალი წლის ნაბახუსევიდან ხეირიანად გამოფხიზლებული არ იყო, რომ ახალ-ახალი დაუსაბუთებელი ბრალდებების, ლანძღვა-გინებების, ფოტოშოპით დამუშავებული შეურაცხყოფების, მავანთა პირადი ცხოვრების შეთხზული თუ რეალური უხამსი ისტორიების გადატყორცნა-გადმოტყორცნა და მსგავსი „ტრიუკების“ ცვენა ატყდა.

სხვათაშორის, მასმედიას თუ არ გაუსწრო, არც არაფრით ჩამორჩება სოციალური ქსელებიც, რომელიც ისეთივე უკონტროლოა, როგორც საერთოდ ყველაფერი – არავის აქვს ნაფიქრი იმაზე, რომ სიტყვა ტელევიზიით ითქმება, პრესაში დაიბეჭდება, ხეზე ამოიტვიფრება, ქვაზე თუ სოციალურ ქსელში აიკრიფება გასავრცელებლად, ერთი და იმავე ინტერესის, დანიშნულებისა და ძალა-მუხტი-განწყობის შექმნის მატარებელია.

და მოდის ნებისმიერი პიროვნების შეურაცხმყოფელი ნიაღვარი, რომელიც საკუთარ მორევშივე მოიცავს ცილისწამებასაც, უხამსობასაც, სიბილწესაც და საერთოდ ყველაფერს, რასაც ადამიანის მოთხრა ჰქვია, გამკითხავი კი არავინაა.

გვარ-სახელებისა და კონკრეტული „თემების“ დასახელებისგან თავი შევიკავოთ, რადგან საუბარი პრობლემაზეა და არა კონკრეტული პირების შეძენილ თუ თანდაყოლილ ავკაცობა-ავქალობაზე – რატომ ხდება ასე, რისი ბრალია რომ ასე დაბინძურდა საინფორმაციო სივრცე?

რა თქმა უნდა, ბეჭვდური თუ ელექტრონული მედიის ამგვარად დამახინჯება-დასნეულება არც უეცრად და არც ერთ დღეში, ერთ თვესა თუ ერთ წელში არ მომხდარა, „ვიღაცის“ მიერ ჯერ გაითვალა სვლები და შემდეგ კანონის ფარქვეშ მოაქციეს იმ ე.წ „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“, თავდაპირველად „მოქკავშირელები“ რომ იყვნენ, შემდეგ კი „ნაციონალები“. მოკლედ რომ ვთქვათ, შესაბამისი მუხლები, რომელიც ეხება და ეხებოდა ინფორმაციის თავისუფლებასა და ცენზურის დაუშვებლობას, ისე გადაკეთდ-გადმოკეთდა ან სულაც გაქრა, რომ აიშვა მედია-ალვირი, ვისაც რისი თქმა და დაჯღაპვნა მოუნდება, იმას არაკუნებს.

რომელი ენიდან არის შემოსული სიტყვა „ჩათლახი“ საქართველოში და რა არის მისი პირდაპირი მნიშვნელობა, გვერდზე გადავდოთ, საინტერესო ის არის, რომ ეს სიტყვა ერთნაირად მოერგო ქალსაც და კაცსაც როგორც ფიზიკურ, ისე პიროვნულ მახასიათებლად; როგორც არსებით სახელად, ისე ზედსართავ სახელად...

თავის დროზე ამ გულისამრევი ე.წ „თავისუფალი მედიის“ აღვირამხსნელი იმ აღვირახსნილი სააკაშვილის ბანდა-გუნდი იყო, რომელსაც მედია-კანონში ხვრელები შევარდნაძის ხელისუფლების დასაქცევ-დასამირებლად უნდოდა, განსაკუთრებულად კი კონკრეტული პიროვნებების ცოცხლად დასამარხად, თუმცა იმდენად საფუძვლიანად იყო გათვლილი, რომ დღესაც ადგებათ.

„სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია“ – ეს ფრაზაც კი აუტანელი გახდა. ქვეყანა თუ ხარ, სახელმწიფო, ხელისუფალი, კანონმდებელი და ა.შ ის, ვინც წუხხარ რაღაც ფაქტის გამო, რატომ არ მიიღე საჭირო ზომები იმისათვის, რომ საწუხარი ფაქტის წინაშე არ დამდგარიყავი? ჰოდა, ახლა ვიძახოთ მრავალ ხმაში, რომ სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია ის, რომ ე.წ თავისუფალი მედია კარგა ხანია მავანთათვის ფულის საჭრელ საამქროდ იქცა, მათთვის, ვინც გარკვეული ანაზღაურების ფასად სიხარულით გაიწყვიტა ყველაფერი, უპირველესად კი შუბლის ძარღვი.

„კანონები ბუნდოვანია“, „კანონებში ხვრელებია დატოვებული“... – თქვე კაი დედმამიშვილებო, იურისტობაზე რომ დებთ თავს, იმდენი მაინც ხომ უნდა გათვალოთ, რომ იმ ხვრელში არ ჩავარდეთ და არ ჩააგდოთ სხვაც, თანაც რამდენჯერმე და უსასრულოდ...

თქვე კარგო ადამიანებო და კარგო იურისტებო, სახედარი ერთხელ რომ ჩავარდება ტალახში, მეორედ იმ გზაზე, თუნდაც რომ მშრალი იყოს, აღარ გაივლის მათრახის რტყმევის ქვეშაც კი და თქვენ რა გჭირთ, რატომ არ გინდათ ის წუმპე დააშროთ, რომელშიც ხვალ თუ არა ზეგ, აუცილებლად თქვენც ჩავარდებით თუ თქვენზე ძლიერმა (ან გაქნილმა) მოისურვა და ამისათვის გვარიანად გადაიხადა?

მედიის გაჩათლახებას ობიექტური მიზეზები აქვს, მათ შორის, შინაგანი, თვითნაბადი მოთხოვნილება ჩათლახობების ჩადენისა.

ჩათლახური ფორმულა, „შენ დააბრალე და მან იმართლოს თავი“, სააკაშვილის ხელისუფლებას არ მოუგონია, კანონით გაასწორეს წელში და წარმატებით იყენებენ დღემდე. მუხლები, რომლებიც ეხება ცილისწამებას; შეურაცხყოფას; საიდუმლოების გახმაურებას; ჟურნალისტის მოწმედ დაკითხვის დაუშვებლობას ინფორმაციის მიმცემი წყაროს ვინაობასთან დაკავშირებით; ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას (ანუ გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს ინფორმაციის გავრცელებისგან), ცენზურას და ა.შ გამიზნულად ისეა გადაზელილ-გადათქვეფილი, კარგად რომ ჩაუღრმავდე, შესაძლოა, შეუზღუდავი უფლებების მქონე მმართველადაც კი წარმოიდგინოს ჟურნალისტმა თავი. თუმცა, შესაძლოა კი არა, სწორედ ასეა და სწორედ ამიტომაც დაკარგა ბეჭვდურმა მედიამ მკითხველი და ტელევიზიამ – სახე.

გავცრათ სოკრატეს საცერში – არაფერი კარგი, არავითარი სიმართლე და არანაირი სასარგებლო, მაშ, რა საჭიროა ასეთი ე.წ თავისუფალი მედია?

სულიერად და მატერიალურად გაღლეტილ საქართველოში მედიის თავისუფლება ის შეთხზული ლეგენდაა, რომლის მიღმა გაცხოველებული აღებმიცემობაა გაჩაღებული. მედია-საქმეში ჩახედული ადამიანი არ სჭირდება იმის გაშიფვრას, რა და რატომ იწერება რომელიმე გამოცემაში, ან რატომ და რისთვის მომზადდა კონკრეტული სატელევიზიო სიუჟეტი. ხალხი იმდენადაა პოლიტიზირებული, იმდენი რამ ნახა უკვე, მოისმინა და გადაიტანა საკუთარ ზურგზე, რომ უშეცდომოდ ხვდება რატომ ბეჭდავს ესა თუ ის გაზეთი ამა თუ იმ პიროვნებაზე „მამხილებელი “ წერილების ციკლს, ანუ ვინ დგას ამ წერილების უკან და რა ინტერესისთვის იხდის ფულს.

ჯანდაბასო, იტყვის კაცი, წერონ და თვითონვე იკითხონო; გადაიღონ და თვითონვე უყურონო, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლების გაჩათლახებული მედია რომ დღემდე არ ერიდება შანტაჟს, არც დეზინფორმაციის გავრცელებას და არც პროვოკაციებს? იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა თანამდებობის პირის (ან უბრალოდ, მნიშვნელოვანი სამსახურის პასუხისმგებელი პირი) თანამდებობიდან წასვლას რომ მედია აანონსებდა, მანამდე კი ყოველ ღონეს ხმარობდა უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად და პირადად თუ ვერაფერს უძებნიდა, მიზანში ამოღებული შეკვეთილი პირების სანათესაოზე იწყებოდა ბეწვისოდენა კომპრომატების-მაგვარი არაფრიდან აქლემის გამოძერწვა, ხომ საკითხავია, რატომ? თუმცა, რაღა საკითხავია, რაგინდ ქატონაჭამი იყოს, ღორი არ მოეშვება სიბინძურის თქვლეფას და მადააშვებული მარადიული მშიერები შეწყვეტენ სიბინძურის შეთხზვა-გამოფენას?

ბავშვს ჰკითხეს, რა გატირებს წამდაუწუმო? – გამდის და ვტირიო. ასეა ამ მედიის გაჩათლახების ამბავიც, გასდის და ჩათლახობს... იმის ნაცვლად, რომ მანკიერება წარმოეჩინა და სარკის ფუნქცია შეესრულებინა, საკუთარი სურვილით წაუწვა ყველას, ვინც გადაუხადა და ხელს სხვისკენ იშვერს, მეძალადებაო...

ამაზრზენია, როცა რომელიღაც ნამუსგარეცხილი ტელევიზიიდან ტელევიზიაში გადარბის, გაზეთიდან გაზეთში და სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების უშიშარი დამცველის მანტიის მორგებას ცდილობს; ან მართლისმთქმელის, უშიშარის და პირუთვნელის ნიღაბს ებღაუჭება, აღმასრულებელ თანამზრახველებად კი, რა თქმა უნდა, ჟურნალისტები ჰყავს (თუ თვითონაც ჟურნალისტი არ არის ან სულაც, არის), სინამდვილეში



კი, ორმაგ პიარზეა მუშაობა, ამ პირის გასაპიარებლად შეკვეთილი პიარი და ვიღაცის „შავი პიარია“ ანუ სახეზე გვყავს ჟურნალისტ-ქილერების დასტა, რომლებიც მზად არიან სათანადო ჰონორარის ფასად გაუსწორდნენ ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერ უწყებას, ნებისმიერ ღირებულებას.

გასერიალებულია ჩვენი ყოფა-ცხოვრება ამდენი იდიოტური სერიალის გადამკიდე და უკვე მართლაც დაემსგავსა იდიოტური სიუჟეტის დაუსრულებელ სერიალს, რადგან ერთ სრულმეტრაჟიან ფილმში ყოველდღიურად ჩნდებიან ახალ-ახალი სერიები ნაირ-ნაირი სენსაციურ-სკანდალური სათაურებით, რომელიც რეალურად ისეთივე ცარიელი და ფუყეა, როგორც ცუანა სოკო. შურისმაძიებლური შინაარსის მქონე მდარე სერიალად გვიქცია ცხოვრება თვითმარქვია ჟურნალისტების პლეადამ და მის მდარე პერსონაჟებად გვაქცევს ვიღაც მათი ხელით, ხმის ამოღება კი მიუღებელია, თავისუფალ მედიაზე თავდასხმად არ მონათლონ გაღმიდან – ეშინიათ!..

სამართლებრივ სახელმწიფოში, საქციელი, როცა სახეზე იქნებოდა ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ საკუთარი პოლიტიკური თუ ფინანსური ინტერესების განხორციელების მიზნით სხვა პიროვნების მიზანმიმართული, ორგანიზებული დევნა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით, მკაცრად დაისჯებოდა, მაგრამ ჩვენთან არა! მოიუსურვებს ვიღაც და ვიღაცაზე ისეთს იტყვის, ასე მომივიდა ხმაო, მტრის კარს! კანონი არ ავალდებულებს ხმის გამავრცელებლის დასახელებას და „ეჭვმიტანილი“ იწყებს იმის მტკიცებას, რომ სიცრუეა რაც მას დააბრალეს – ეს ნორმალურია? საბოლოოდ და როდესმე გაირკვევა, რომ კონკრეტული მსხვერპლი უდანაშაულო იყო იმ საკითხში, რაც დააბრალეს, მაგრამ დამნაშავე არავინ აღმოჩნდება, გარემოების მსხვერპლი კი ადამიანთა მეხსიერებაში ეჭვიტანილად დაილექება, ანუ კამპანია, რომელიც ამ ადამიანის წინააღმდეგ დაიწყო, წარმატებულად დამთავრებულია, მისი სახელი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია შელახულია. გადახედეთ სულხან-საბას იგავიდან დღემდე სიტყვით მოკლულებისა თუ მორალურად განადგურებულების რიცხვს და ვინაობას, ერთი კაცი მაინც თუ არის დასჯილი სასიკვდილო ტყვიად ნასროლი სიტყვისთვის? – არა!

დასაწყისშივე აღვნიშნე, კონკრეტულ პირებზე და მედიასაშუალებებზე არ ვისაუბროთ, პრობლემაა საწუხარიო, მაგრამ მხოლოდ ამ ერთ, განსაკუთრებულ შემთხვევას დავუშვებ გამონაკლისის სახით, რადგან საქმე სამშობლოს მოღალატეებს ეხება. მაყურებელს არც გამოძიების მასალები უნახავს, არც სასამართლო სხდომებს დასწრებია, არც რაიმე მტკიცებულებისთვის მოუკრავს თვალი და ყური, მაგრამ ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ ეთერით გამობრძანდა ბატონი ნიკა გვარამია და სულ სათითაოდ ჩამოგვიკაკლა უცხო ქვეყნის ჯაშუშების ვინაობა. შემდეგ რა მოხდა, აღარავინ ჩაძიებია, რატომ არ დააკავეს ეს ჯაშუშებიც დანარჩენი, უკვე დაკავებული ჯაშუშების მსგავსად, მაგრამ ჩვენ სხვა რამ ვიკითხოთ: იმ ადამიანებმა, რომელთაც ბრალი დასდეს სხვა ქვეყნების ჯაშუშობაში, როგორ უნდა იმართლონ თავი რომ იმ ქვეყნის ჯაშუშები არ იყვნენ, ასეთ ცნობას იძლევიან რომელიმე ქვეყნის რომელიმე უწყებაში? ბრალდების მხარეს მტკიცებულება არ დაუდევს, მხოლოდ გაუპატიურების თუ სხვა სახის მუქარისა და ზეწოლის ქვეშ მიცემული აღიარებითი ჩვენებების საფუძ-







ველზე „გაიხსნა“ მათი ჯაშუშობის ამბავი. როგორ უნდა დაამტკიცოს, ვთქვათ, ვახტანგ მაისაიამ ფაქტობრივად, დამტკიცებული ამბავი, რომ იგი არ იყო ბუნებაში არარსებული ორგანიზაციის ჯაშუში? მაგრამ მაყურებელს ხომ ჩარჩენილი აქვს მეხსიერებაში სიტყვა „ჯაშუში“ რაც უსიამოვნო ემოციას ტოვებს და არც მათ შთამომავლობაზე წამოძახება ფანტაზიის სფერო. პასუხი მოეთხოვა ვინმეს? – არა! რა თქმა უნდა, „რუსთავი-2“ სიამოვნებით დაუთმობდა საეთერო დროს ამგვარ სკანდალურ ინფორმაციას, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხის შერქმეული „მიშავიზია“ იყო და არის, არამედ იმიტომ, რომ „რუსთავი-2-მა“ დაიწყო მედიის გარყვნა და გარყვნა კიდეც ბოლომდე, გამოჩეკა ქილერი მედია-წიწილები და მიმოაბნია, მათ კი სხვები დაიმგვანეს – ვაჭარ და ქილერ ჟურნალისტთა გილდია შეიქმნა...

გაიხსნა ერთი ტელევიზია, მეორე, მესამე – კი, ბატონო, ვიცით, რომ მათ მფლობელებს ფული თავს გადასდიოდათ და გადასდით, მაგრამ ტელევიზიის გასახსნელ-ასამუშავებლად მართლაც ცალკალოშიანი რომ გამოდგება და გამოაცხადებს, ტელევიზიას ვხსნიო, ვიღაც მაინც არ უნდა დაინტერესდეს კანონის ჩარჩოში, ჩემო იმანო, ვინ გაძლევს ტელევიზიის გასახსნელ თანხასო? ან, ისედაც ჯოჯოხეთურად დანაგვიანებულ ეთერს შენღა აკლდი ბოლო მაშხალად, რა უნდა გააკეთო იმ ტელევიზიაში ასეთი საჩქარო და აუცილებელიო? ხალხს დადასტურებული ეჭვი აქვს რაც უნდა გააკეთოს, მაგრამ საინტერესოა, რატომ არის ასე ყურმიდებული ხელისუფლება, როცა ერთ სიტყვას შეუძლია მოშალოს სახელმწიფო სტრუქტურები და სულაც, ასეთი ბწკენა-ბწკენებით იწყება ხელისუფლების დამხობა.

განა ვინმესთვის საიდუმლოა, რომ „ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის“, „ევროატლანტიკური კურსის“, „დასავლური ღირებულებების“ და ა.შ მყვირალა სიტყვების უკან მხოლოდ ცალკეულ პირთა კეთილდღეობის ინტერესებია ჩადებული და რეალურად დიდი ბრძოლა-თამაში მიმდინარეობს, რომელშიც დაინტერესებულ პირებსა და მხარეებს აქტიურად ჰყავთ ჩართული მოსყიდული ჟურნალისტები მოსყიდულ ტელეკომპანიებსა და გაზეთებში მოსყიდულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად? – ყოველ შემთხვევაში, ხალხი ასე ფიქრობს და როგორც იტყვიან ხოლმე, ხალხი არ ცდება!

„ჩვენს საქმეში, შენ რომ იაღლიში მოგივიდა, ეგეთი იაღლიშები არ მოდის“, – ვინ ვის ეტყვის ბოლოს ამ შინაარსის შემცველ ფრაზას, ცხადია, ვნახავთ, მაგრამ ჩვენთვის, „უბრალო მოკვდავებისთვის“ ჯერჯერობით კვლავ გაუგებარი დარჩა რას გვერჩის ან ხელისუფლება, ან ოპოზიცია, ან ორივე ერთად კაცს გაზეთი რომ ველარ უყიდია და ტელევიზორი ვერ ჩაურთავს...

**...ძველებურად დახრიგინებს საქართველოში „ნაცმოძრაობის“ ავტოპარკის კუთვნილი საინფორმაციო „გავნავოზი“ და ფეკალიებით სვრის და თხვრის მთელ ქვეყანას.**

**გიორგი ჩხეიძე**

გვესაუბრება პარტია ნეიტრალური ევრაზიული საქართველოს თავმჯდომარე არჩილ ჭყოიძე



# არ მინდა ბიძინა ივანიშვილს ქართველებმა ზურგი ისე შეაქციონ, როგორც „ღმერთი-სკოლარს“ ბრაზილიელებმა...




**— არჩილ, რამდენადაც ვიცი, თქვენი პარტია მოლაპარაკებებს მართავს სხვა პოლიტიკურ ძალებთან, კერძოდ, რაზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები და რას აპირებთ უახლოეს ხანებში?**

— დიახ, გაზაფხულისთვის ვგეგმავთ რამდენიმე პოლიტიკური პარტია გავერთიანდეთ. ჯერჯერობით არ გეტყვით, რომელ პარტიებთან ვაწარმოებთ შეხვედრებს. ოღონდ მიგანიშნებთ: მოლაპარაკებები გვაქვს ისეთ პარტიებთან, რომლებიც საქართველოს ნეიტრალიტეტს და რუსეთთან და დასავლეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას უჭერენ მხარს.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენ დღეს ნორმალური ურთიერთობები გვაქვს დასავლეთთან, ძალიან ცდება. ევროპასთან ბატონყმურ ურთიერთობაში ვართ, სადაც, ცხადია, ყმებად ჩვენ მოვიაზრებით.

**— თქვენ იტვირთეთ საქართველოს გათავისუფლება?!**

— თქვენ გეღიმებათ, მაგრამ ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა მოიპოვოს საქართველომ და მეტად თავისუფალი იყოს ჩვენი ხელისუფლება სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების დროს.

**— წეღან პარტიებთან მოლაპარაკებებზე საუბრობდით. ეჭვი მაქვს, ერთ-ერთ თანამოაზრედ ჯონდი ბაღათურია გეყოლებათ.**

— ჯერჯერობით არ დავასახელებ, ვისთან გვაქვს შეხვედრები. თუმცა, მიგანიშნებთ, რომ საკმაოდ ცნობილი ადამიანები არიან, ქართული საზოგადოება მათ პატივს სცემს.

**— სოციალური ქსელით ლეონიდ ჩერნოვეცკის მიმართეთ: წაი, ბიძია, სახლში, შეგვეშვიო...**

— მიზეზი ის არის, რომ, უბრალოდ, საქართველოში თუ ვინმე უცხოელს უნდა, მოვიდეს ხელისუფლებაში, ყველაზე მცირე რამ უნდა გააკეთოს, ქართული ენა უნდა იცოდეს. ადამიანი, რომელიც რამდენიმე წელიწადია საქართველოში ცხოვრობს, არის საქართველოს მოქალაქე და ამბობს, რომ უყვარს საქართველო და ამ ქვეყნისთვის სიკეთე უნდა, შეეძლო ქართული ენა ესწავლა და ამით ამ ქვეყნისთვის და ხალხისთვის ეცა პატივი.

მე ვფიქრობ, ვინც უნდა იყოს, ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც სურს პარლამენტში მოხვედრა და ქვეყნის მმართველობაში მონაწილეობის მიღება, მან ქართულად წერა-კითხვა უნდა იცოდეს.

წარმოიდგინეთ, ამერიკის სენატორი ან კონგრესმენი, რომელმაც სახელმწიფო ენა ინგლისური არ იცის?!

**— რა დროს ჩერნოვეცკია, არჩილ, ჩვენი მმართველი პარტია 2016 წლისთვის საარჩევნო სიებს ადგენს უკვე.**

— ის, რომ 2012 წლის შემდეგ, რეალურად, ყველაზე დიდი მიღწევა, რაც ამ ხელისუფლებას ჰქონდა და აქვს, ეს არის თავისუფალი სიტყვა. ხალხს შეუძლია თავისუფლად გამოთქვას საკუთარი მოსაზრება ნებისმიერ საკითხზე. ეს ბიძინა ივანიშვილის მთავარ წარმატებად მიმაჩნია, მაგრამ ის დანაპირები, რაც ჰქონდა ბატონ ბიძინას და „ქართულ ოცნებას“, არ სრულდება, არის ამ გუნდის ნაწილის ბრალია და, სხვათა შორის, არცთუ ისე პატარა ნაწილის, რომლებიც ძალიან ხშირად, ყოვლად უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებს.

ამას წინათ მოვისმინე სოსო ჯაჭვლიანის განცხადება. მან თქვა: ჩემი ნებით კი არ ვზივარ პარლამენტში, მთხოვეს და დავთანხმდიო.

ქალბატონი გუგული მაღრაძის განცხადებები გავიხსენოთ. მან თქვა, რომ საქართველოში სამსახურის შოვნა პრობლემას არ წარმოადგენს.

გავიხსენოთ მეჭიაურის სიტყვებიც — ვინც იხდის ფულს, მუსიკასაც ის უკვეთსო.



ქვეყანა დუქანი არ არის და იმას, რასაც მე მეჭიაურზე, მაღრაძეზე, ჯაჭვლიანზე და სხვებზე ვლაპარაკობ, ჩასაფრებულის პოზიციიდან არ ვლაპარაკობ. თუ არ იქნა ჯანსაღი კრიტიკა და თუ ამ ხალხს არ შევახსენეთ, რომ არსებობს სამოქალაქო საზოგადოება და ვალდებულნი არიან, მოუსმინონ საზოგადოებას. კვლავ იმ ჭაობში ჩავრჩებით, რაშიც ვიყავით წლების განმავლობაში.

გავიხსენოთ, საქართველოში ბოლო 25 წლის განმავლობაში, პრეზიდენტს ირჩევდნენ 90-100%-ით, შემდეგ 100 თუ არა 90% იმაზე ფიქრობდა, როგორ გადაეგდო მის მიერ არჩეული პრეზიდენტი პოსტიდან. საზოგადოებამ კრიტიკის ქარ-ცეცხლში უნდა გაატაროს ნებისმიერი ხელისუფლება. ოღონდ კრიტიკა და ზრდილობა მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ. კრიტიკა შეურაცხყოფაში არ უნდა გადაdიოდეს.

**მე ვარ ის ადამიანი, რომელმაც რეალურად დავინახე, როგორი დიდი საქმე გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა. მან დაამარცხა და მსოფლიოს დაანახა მიხეილ სააკაშვილის რეალური სახე. სააკაშვილი ამ დამარცხებით იმდენად გამწარდა, რომ უსაზღვროდ არაადექვატური გახდა.**

ბიძინა ივანიშვილმა შეძლო და სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გაათავისუფლა ბიზნესი წნეხისგან, არ მინდა, რომ ამ ულირსი პირების გამო, რომლებიც ყველანაირად ბლოკავენ საზოგადოების ხმას, რომ ის ბიძინა ივანიშვილამდე არ მივიდეს, საბოლოოდ შედეგი იქნება ის, რომ ივანიშვილის მიმართაც ხალხს პროტესტის გრძნობა გაუჩნდება.

ბრაზილიელებს 2002 წელს ჰყავდათ უდიდესი საფეხბურთო მწვრთნელი ლუის ფილიპე სკოლარი, რომელმაც მოაგებინა ბრაზილიას მსოფლიო ჩემპიონატი. სკოლარს ბრაზილიაში ეძახდნენ „ღმერთი-ფილიპი“. 2014 წელს, როდესაც მხოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა, ცოლმა უთხრა: ფილიპ, შენ ღმერთს გეძახიან, ნუ იქნები მთავარი მწვრთნელი, რადგან ამიერიდან ერთი მატჩიც რომ წააგო, ყველა ძველი დამსახურებები წყალში ჩაგეყრებაო.

სკოლარიმ არ დაუჯერა და შვიდით ერთი წააგო ბრაზილიამ გერმანიის ნაკრებთან. დღეს მისი სახელი სალანძღავია ბრაზილიაში. სკოლარი ქუჩაშიც ვერ გამოდის და შერცხვენილია თავისი ხალხის წინაშე, არადა, „ღმერთი-სკოლარის“ ეძახდნენ.

ამიტომ ვამბობ, ბიძინა ივანიშვილმა აუცილებლად გაიგოს და მოისმინოს საზოგადოების ხმა.

კიდევ ერთხელ ვამბობ, ბატონ ბიძინა ივანიშვილს უდიდესი დამსახურება აქვს ქართველი საზოგადოების წინაშე და დიდი ცოდვა იქნება, მას უკან ცუდად შემოუტრიალდეს ეს დიდი დამსახურება.

ირანდა კალანდაძე
593 561 118

# „ჩემი პატრიარქი გაიყინა“...

**პოეტუკები, მწერლუკები, ექსპერტუკები თუ უბრალოდ, „ტაკიტუკები“ ისე მოუმრავლდა ამ ქვეყანას, მალე ნამდვილის, ჯანმრთელი ფსიქიკის ბავშვის დაბადება შეიძლება გვეწყინოს კიდეც... ვისაც მე ვგულისხმობ, იმ ოჯახებში ნეტავ ახლა ბიჭი თუ იბადება – თოფს კიდევ ისვრიან? რა უბედურება გვჭირს ამ ქართველებს, ანდა ვინ დაგვწყევლა, გინდათ თუ არა – რატის, ტრაწის, ნინიას ბაღის და მათი დამქაშების ამბები ისმინეთ ყოველდღეო? ანდა ის რა უბედურებაა, „ეს ამის შვილია, ის იმის შვილი და შვილთაშვილია“ – აუგი არ გაბედოთო?**

**ერთი ქიზიყელი გლეხის, უფრო სწორად კი ხელოსნის შვილიშვილი ვარ (მამის მხრიდან) და იმ ხელოსნის წინაპრები კიდევ მღვდლები ყოფილან, ჰოდა, ამ ყველაფრით გაბრაზებულმა შაიძლება შამოგბედოთ, თქვე ჩემის გადანგრეულო ახალგაზრდა „ინწილიგენტებო? ძალიან თავს რომ გახვედით?!!**

ბოლშევიკი რომ შემოსულა, იმ ჩემი პაპის და ბაბოს მღვდელი მშობლები უკვე მიცვალებულები ყოფილან და ცოცხლები რომც ყოფილიყვნენ, ისეთი კერკეტი კაკლები ჰქონიათ – ვერ დაიმორჩილებდნენ! ჩემი ბაბო მარო კიდევ იმას მიყვებოდა, რომ ბოლშევიკის შამოსვლას დიდი სისხლისღვრა მოჰყოლია კახეთში და: „ქაა, იმდენი მკვდარი სალდათი ეყარა აი ამ მდინარის პირას, კიდევ კარგი ციოდა თორემ აყროლდებოდნენო... ტურა-მგელმაც ბევრი შაშჭამა, მაგრამ ვინც ვერ მაასწრეს არც იმის დასაფლავებას ჩქარობდა ვინმე და თუ ვიღაც მადლიანი მიაყრიდა მიწას, ის მიწადასაყრელები (ბოლშევიკებს გულისხმობდა – ი.გ.) იბარებდნენ – რათა ჰქენი, რა შენი საქმე იყოო?“

გაქანებულ კომუნისტურ ეპოქაში ვიზრდებოდით, მაგრამ ვინც მე მიცნობს ყველამ იცის, რომ ჩვენს ოჯახში – სანთელი და საკმეველი არ გამოლეულა. ჩვენი ეზოს ბოლოს მდგარ ეკლესიაშიც დავდიოდით და წითელი კვერცხის გამოჩენაც ჩვეულებრივი ამბავი იყო. ცხო-



ნებული ჩემი ბაბო – მარიამი, იმის სულს ვენაცვალე, პირდაპირი, მართალი ქალი იყო და რა გარემოებაც არ უნდა ყოფილიყო – სათქმელს გულში არ დაიტოვებდა! ერთი მეზობელი გვყავდა ბოლშევიკი დანიელ ივანოვი, რომელმაც თურმე ლადოდეხში ბოლშევიკური ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ყაზანის ღვთისმშობლის ეკლესიის გუმბათი საკუთარი ხელით გადმოაგდო... მაგრამ მოხდა ისე, რომ დანიელ ივანოვს იქვე „პარალიჩი“ დაემართა და რის ვაი-ვაგლახით ჩამოუყვანიათ იქიდან თანამებრძოლებს. ჰოდა, ამის გამო „დანიელა პაპას“ (ასე ვეძახდით) ეს ჩემი ბაბო მარუსა მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ ელაპარაკებოდა და როცა გაივლიდა ხოლმე, ქოქოლაას ხომ მიაყრიდა და მიაყრიდა, ზურგსუკან მიაფურთხებდა ხოლმე კიდეც.... დანიელას შვილები (3 ბიჭი) და ბებიაჩემის შვილები, ანუ მამაჩემი და ბიძაჩემები, როგორც იტყვიან, „ტრუსიკიდან“ ძმაკაცობდნენ, ბებიაჩემი შვილებიდან არ არჩევდა „დიადია იურას“ (დანიელას უმცროსი ვაჟი) და როდესაც იგი მოსკოვიდან ჩამოდიოდა ხოლმე (სადაც სამხედრო ექიმად მუშაობდა) ჩვენს სახლში დიდი პურობა იმართებოდა მისი ჩამოსვლის აღსანიშნავად! შვილებივით დაიტირა დანიელას შვილები ბებიაჩემმა, მაგრამ როდესაც თვითონ დანიელა მოკვდა და ლაგოდეხის რაიკომმა, ასევე ლაგოდეხში განთავსებულმა დერჟინსკის სახელობის ბატალიონმა ოფიციალური სამგლოვიარო რიტუალი ჩაატარეს ავტომატების გასროლით, აი მაშინ კი აფეთქდა ბებიაჩემი და თქვა: „ძლივს ძაღლი მიაკვდა სულში ქაა, და ეს რა ამბავი ატეხესო?“

ალბათ იმდროინდელ ბოლშევიკებსაც ეყოლებოდათ ისეთი მელექსეები, რომლებსაც წერა არ ეზარებოდათ დანიელა ივანოვისნაირ ბოლშევიკებზე, კომკავშირლებსა თუ პიონერებზე, ჰოდა, ნურც ჩვენ გვიკვირს, დღევანდელ ბოლშევიკებსაც რომ ჰყავთ თავიანთი ლაშა, ტლაშა, რატი და ნინია... ოღონდაც, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ადამიანები 2003 წელს შემოსეული „წითელი ეშმაკის“ მსახურები იყვნენ და ახლა მათ ქოქოლას სწორედაც რომ იმ მარუსას შვილიშვილი მიაყრის, რომელსაც ბებიამისის დარად სიმართლის დაფარვა არ შეუძლია...

მაშ ასე... 2004 წლის 6 მაისია, ბათუმში აბმედ მელაშვილის #11 ჩემი სახლი გამთენიისას დაწვეს... სააკაშვილის ბანდა აჭარის ძარცვას შეუდგა, მათზე ატორღიალებული არამზადები კი იმ ადამიანების დევნით ირთობდნენ თავს, ვისთვისაც საქართველო მარტო სიტყვას კი არა, მთელ სიცოცხლეს ნიშნავდა...

ღამის გასათენებელის მეტი რა იყო, ნებისმიერ ჩემს ნაცნობთან მივიდოდი და სახლდამწვარს ყველა შემიფარებდა, მაგრამ მე თვითონ, შეგნებულად არ დავაკაკუნე მათ კარზე, რადგან ამით ჩემს ახლობლებს დავაყენებდი დარტყმის ქვეშ და შესაძლოა, ისინი ჩემდამი გამოჩენილი გულმოწყალების გამო სერიოზულად დაეზარალებინა სააკაშვილის ბანდას...

2 ჩვილი ბავშვით ხელში ვიდექი და ვფიქრობდი, რა გზაზე წავსულიყავი, ვის მივდგომოდი ისეთს, ვისაც სააკაშვილი, უგულავა, ადეიშვილი და მერაბიშვილი-ჟვანიები ბუზს ვერ აუფრენდნენ?

ვიდრე აჭარაში ვითარება დაიძაბებოდა, რამდენიმე თვით ადრე ჭაბუა ამირეჯიბის საღამო გაიმართა და მე, როგორც ირაკლი ამირეჯიბის თანამებრძოლი ჟურნალისტი, როგორც ირაკლის სიცოცხლის უკანასკნელი წუთების მომსწრე და ფირზე დამფიქსირებელი, ბატონმა ჭაბუამ პირადად მიმიპატიჟა საღამოზე, რომელიც ინტურისტის საბანკეტო დარბაზში ვახშმით დასრულდა. ფოტოებიც გადავიღეთ, ჩემი სადღეგრძელოც დაილია და ბატონმა ჭაბუამ ავტოგრაფით გადმომცა საიუბილეო ტომეული ასეთი წარწერით: „ჩემი ირაკლის თვალების დამხუჭველს, გმირ ქალსა და მეგობარს ავტორისაგან“... ხელიც მოაწერა და ერთხანს ცრემლების მოწმენდით, გულზე მიმიკრა...

ბატონი ჭაბუას მთელი ოჯახი, ბიჭები – ქუცნა და ჩუკი, მეუღლე თამარ ჯავახიშვილი და და, ნათია ამირეჯიბიც თან ახლდნენ, სუფრას უბადლო და უნიჭიერესი ადამიანი, ნუგზარ ჯაფარიძე თამადობდა, ბათუმის ინტელიგენცია: პოეტები, მხატვრები, მწერლები და მუსიკოსებიც ესწრებოდნენ. ასლან აბაშიძეც უნდა დასწრებოდა ამ ყველაფერს, მაგრამ 2 დღით ადრე, მოულოდნელმა და დაუგეგმავმა გამგზავრებამ შეცვალა მისი გეგმები და მახსოვს, დაიბარა – აბა, თქვენ იცით, ბატონ ჭაბუას საკადრისი პატივი მიაგეთო!

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ვიდექი და უცბად გამიელვა თავში, იქნებ ამირეჯიბებთან დავრეკო, მათ ხომ ბათუმში, ბულვართან მამაპაპისეული სახლი აქვთ დაკეტილი, სადაც არავინ ცხოვრობს და თანაც ბატონ ჭაბუას ვინ რას გაუბედავს-მეთქი? დავრეკე... ნეტავ არ დამერეკა... ყურმილი ბატონმა ჭაბუამ აიღო (მაშინ ჯერ კიდევ ახერხებდა ლაპარაკს). მოკლედ ვუამბე ყველაფერი და ვთხოვე – იქნებ თქვენს სახლში გამათენებინოთ ღამე, თუკი მეზობელთან გაქვთ დატოვებული გასაღები-მეთქი? „კი, როგორ არა, ეს რა მითხარი, როგორ შეიძლებოდა ასე მოგქცეოდნენ?“ (ჩახლეჩილი ხმა უკანკალებდა) მოიცადე, ირინა, ახლავე დაგელაპარაკება თამრიკო და გეტყვის, როგორ მოიქცე“... მართლაც ქალბატონი თამარი დამელაპარაკა და მითხრა, რომ მათი ბათუმის სახლის გასაღები ბატონი ჭაბუას დას, ნათია ამირეჯიბს მიუბარებია მეზობლისთვის და ქალბატონი თამრიკო მეორე ტელეფონით დაუკავშირდა ნათიას თუ კონკრეტულად რომელ მეზობელთან შემეძლებოდა მისვლა გასაღების გამოსართმევად... არ ვიცი, რა საუბარი გაიმართა მათ შორის, მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, რომ ტელეფონში ბატონი ჭაბუას ხავილნარევი ხმა ჩამესმა: „კარგი რა? სირცხვილია“... ამის შემდეგ სადღაც შორიდან ქალბატონი თამარის თითქმის ტირილნარევი, განერვიულებული ხმა გავიგე: „ბოდიში, ირინა, ჩემმა მულმა მითხრა, აღარ მახსოვს, გასაღები ვის დავუტოვე, თანაც მაგან ჩვენთან ღამე რომ გაათენოს, ჩემს და თქვენ შვილებს საფრთხე დაემუქრებათო!“ დღესაც მახსოვს, რა შეგრძნება დამეუფლა მაშინ... სირცხვილის, ბრაზის, აბსოლუტური სასოწარკვეთის და იმავდროულად ძლიერი, უკიდეგანო შეურაცხყოფის განცდა... ფეხებს ვეღარ ვგრძნობდი, თითქოს ჰაერში ვიყავი ჩამოკიდებული და ალბათ, ვიღაცას გიჟიც ვეგონე ჭაბუასავით რომ ამოვიხრიალე – კარგით, რა? – სირცხვილია!

რა საფრთხე უნდა დამუქრებოდათ ნათია ამირეჯიბის შვილებს ნინია და ირაკლი კაკაბაძეებს, ვერ გეტყვით, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ორივე და-ძმა სააკაშვილის უკანალს ლოკავდნენ მაშინ და მე თუ რამეს ვამატებ – იმ არქივმა ილაპარაკოს, რომელიც 2003 წლის ნოემბრამდე და ნოემბერშიც უამრავი ტელევიზიებისა თუ რადიოსათვის იწერებოდა და შთამომავლობისთვის ინახება!!!



ძვირფასო მკითხველო, მომიტევეთ, მაგრამ რატომღაც ეს ისტორია გამახსენდა მაშინ, როდესაც ნინია კაკაბაძემ დედამისის „ანდერძი“ გაუმჟღავნა საზოგადოებას და ამცნო ის, რომ „პატრიარქი მეშჩანია, უყვარს ძვირფასი ნივთები და ა.შ.“... ეეეჰ, რას იზამ... ვიღაცას ძვირფასი ნივთები უყვარს და ვიღაცას კიდევ ჟანგიანი, ძველი გასაღები...

ერთი კია... ვიდრე ნინიას ბაღი საბოლოოდ გაფურჩქნულა და რატი-ტრაწის სიმყრალის სუნიც სამუდამოდ ჩაგუბებულა, უნდა დავფიქრდეთ – ზოგი პოეტი, რომელიც პოეტად ვიღაცამ დანიშნა, მართლაც პოეტია თუ „პროსტა“ ტრაწია?! რომელიღაც მომღერალი მართლა მომღერალია თუ „ვიღაცას“ ძალიან უნდა, რომ მომღერლად შეასაღოს საზოგადოებას? და, საერთოდ... ამ ქვეყანაში აღარ უნდა დამთავრდეს შთამომავლობითი ინდულგენციების ეპოქა და ძახილი იმისა, რომ „ეს იმის შვილია, ის იმის შვილიშვილია“ და ასე შემდეგ?

მე რასაც ვუყურებ, ვხედავ და მესმის – სწორედ ამ ინდულგენციების მსხვერპლი გახდა საქართველო და სრულებითაც არ მიკვირს ის, რომ გუშინ დამსმენების, ჯალათების, ქვემძრომებისა და მოღალატეების შთამომავლებით კომპლექტდებოდა და კომპლექტდება ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები, ვიდრე ქვედა რგოლებამდე, რომ აღარაფერი ვთქვა სახელოვნებო სფეროში მოკალათებულ საშუალო ნიჭის მქონე შთამომავლებზე.

რო-დემ-დე?!!

გილოცავთ მაიმუნის წელის დადგომას, ქართველებო, აბა, დავირაზმოთ, არ გვაჯობოს მანჭიამ.

**ირინე გოგოსაშვილი**

# მიმართვა ქართველი ერისადმი

## მამა ბასილი ანათემას გადასცემს მართლმადიდებლობის დაუძინებელ მტრებს

**ჩემო ქვირფასო ქართველო მართლმადიდებელნო!**

გილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს შობას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ახალ 2016 წელს! გისურვებთ მართლმადიდებლურ საქართველოში ცხოვრებას.

მე, როგორც ჭეშმარიტი სარწმუნოების – ქრისტიანობის აღმსარებელი მოძღვარი, შეშფოთებული ვარ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ყოფიერებით.

მსოფლიოს ანტიქრისტიანულმა ბნელმა ძალებმა ვაიქართველთა მეშვეობით დიდი ბრძოლა გამოუცხადეს მართლმადიდებლობას. რამდენჯერ ვცადე საზოგადოებისთვის ტელევიზიით მემცნო ჩემი ერის გასაჭირი, გულისტკივილი, მაგრამ ამაოდ... გარკვეული მიზეზების გამო ამის საშუალება არ მომეცა, ხოლო რაც შეეხება პრესას, იქაც ბოლომდე არ მათქმევინებენ სათქმელს. მოღალატე პიროვნებების მკაცრი მხილების გამო მიჭრიან ინტერვიუებს.

დღეს თითქმის ყველა ტელევიზია მართულია საზღვარგარეთიდან, სოროსის ფონდიდან შემოსული აურაცხელი გრანტების საფასურად. მათი უშუალო დაკვეთა არს ამოძირკვონ ოცსაუკუნოვან, ქრისტიანულ ერში ყოველგვარი მართლმადიდებლური და შეაერთონ მსოფლიოს ერთიან, მასონურ, ეკუმენურ გაერთიანებას, რამეთუ მსოფლიოს მართვის მიზნით მასონობის უდიდესი დაბრკოლება მხოლოდ მართლმადიდებლობაა, რომელსაც ღვთის განგებით და ყოვლადწმიდა დედის მეოხებით ვერარას აკლებენ.

ქრისტიანობის მტრების ძირითადი რუპორი ტელევიზიებია.

ყველამ უწყის ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის სახე, უშუალოდ როგორც ნაცმოძრაობის ტელევიზია; თვით ბოკერიას და მისი მეუღლის ტელევიზია „ტაბულა“, საიდანაც მხოლოდ ღვარძლი მოედინება, ორივე ცოლქმარი ყოველნაირად ცდილობენ ხალხი ერთმანეთს გადაკიდონ, დაშალონ, რათა ევროპიდან მიღებული „გაკვეთილები“ პირნათლად ჩააბარონ; ტელეკომპანია „კავკასია“, საიდანაც ალეკო ელისაშვილის აქტიურობით 5 მართლმადიდებელი ციხეში გამოამწყვდიეს; ტელეკომპანია „ობიექტივი“, უფრო სწორედ ე.წ. „ ობიექტივი“, რამეთუ იქიდან მხოლოდ ლამაზი, ლიტონი, სატყუარა სიტყვები ისმის საქმითგან განშორებული. „სიტყვა საქმის გარეშე მტყუარ არს“.

სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ სამჯერ „დამიბლოკეს“ ტელეეთერი, რათა ჩემი მართალი სიტყვის გამო გარკვეული პიროვნებები არ გაენაწყენებინათ. ასევე სიამართლის თქმისთვის სხვა ტელევიზიის კარებიც დახშულია ჩემთვის.

მეტად გასაოცარი კი ის არის, რომ გარეშე თუ შინაური მტრების მცდელობას მართლმადიდებლობის აღმოსაფხვრელად, ქართული ეკლესიის მესვეურთა ინერტულობა მოღალატეთა წისქვილზე ასხამს წყალს.



**მე ვისარგებლებ მსოფლიო კრებების დადგენილი დიდი სჯულის კანონით და ანათემას გადავცემ სარწმუნოების მოღალატეებს: წყეულ და შეჩვენებულ იქმნეს ბოკერია მეუღლით, გიგი თევზაძე, ირაკლი დეისაძე, ნინია კაკაბაძე, თეა თუთბერიძე, ზაზა ბურჭულაძე, ლაშა ბუღაძე, ზურაბ ქარუმიძე**

მივმართავ საპატრიარქოს თბილ სავარძლებში, ჯიპებში მოკალათებულ სასულიერო პირთ – რატომ გაქვთ პირში წყალი ჩაგუბებული. „ობიექტივი“-ს ეთერში თითქმის ყოველდღე ზიხართ, რატომ არ ფიქრობთ იმაზე, როგორ გვიგინებენ მართლმადიდებლობას, თვით უფალს და ყველა საეკლესიო დღესასწაულებს, რატომ არ მიაგებთ სამაგიეროს სამშობლოს მოღალატეებს: ნინია, ირაკლი კაკაბაძეებს (ნინია კაკაბაძე მორწმუნეებს ექსტრემისტებს და კერპთთაყვანისმცემლებს უწოდებს), დეისაძეს, გიგი თევზაძეს, ლაშა ბუღაძეს, რატი ამაღლობელს, ბოკერიასა და მის მეუღლეს. ესენი და უამრავი სხვები ხომ ქართულ ეკლესიას, სარწმუნოებას ებრძვიან. ხალხი თქვენ შემოგყურებთ, რათა პასუხი მიაგოთ მათ უკიდეგანო აღვირახსნილობას. გარკვეული კომპრომატების გამო დუმხართ, რაც ღალატის ტოლფასია.

რატომ არ ფიქრობთ იმაზე, რომ პარლამენტის 80%, მეტი თუ არა, სარწმუნოების მტრები არიან. ისინი თითქმის ყველა ამერიკის ყურმოჭრილი მონები არიან. ადვილი მოსალოდნელია მხარი დაუჭირონ ერთსქესიანთა ქორწინებას. ამისთვის მათ ნიადაგი მოამზადეს, როცა მართლმადიდებლობას სექტები გაუტოლეს, მაშინ თქვენ დუმდით, ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს, მაშინაც არ იმოქმედეთ ისე როგორც თქვენგან ითხოვდა ღმერთი. შერეკილი სააკაშვილის 9 წლიანი რეჟიმის დროს ხელისუფლებასთან ჰარმონიულად მოქმედებდით, უფრო მეტიც – სააკაშვილს სასახელო პრეზიდენტად მოიხსენებდით.

ეხლა რაღას ელოდებით ფაქტობრივი ხელისუფლების იმ წარმომადგენელთაგან, ვინც შეურაცხყოფს დედა ღმრთისმშობელს, გვიგინებენ ილიას, აკაკის, ვაჟას. ის ვინც ქართველებს ქაჯებად მოგვიხსენიებს, ან ვინც ღიად აცხადებს: „ ილაპარაკონ მათ, ჩვენ რაც გვინდა ის ვაკეთოთ“, მაშინ როცა, სწორედ, იმ ადამიანთა მეშვეობით მოხვდნენ იქ (პარლამენტში), რაზედაც ვერც იოცნებებდნენ, სარწმუნოებას არად დაგვიდებენ, პირიქით, ხოტბას ასხამენ იმ სასულიერო პირთ, ვინც მათ დაკრულზე თამაშობს.

პოლიტიკურ პარტიებზე ხომ საუბარი ზედმეტია. არც ერთ პარტიას ენდობა ქართველი ერი, ისე იქცევიან, ვერ გაიგებ ვისი დაკვეთით მოქმედებენ. ერთი კი ფაქტია, რომ ისინი არიან პირადი, დროებითი ცხოვრების მოწყობით დაკავებულნი, სარწმუნოება საერთოდ არ აინტერესებთ. ფაქტი სახეზეა, რომ სახელმწიფოს მართავს ათეისტი პარტია რესპუბლიკელების სახით.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ღია ომი გამოუცხადეს მართლმადიდებლობას, ერის ტრადიციებს, წინაპართა ნამოღვაწარს.

ვაფრთხილებ ყველას, ნუ მიეცემით თვითდამშვიდებას, თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაშინ, როცა უფსკრულის პირას ვდგავართ. თუ არ გამოვფხიზლდით, დიდ სასჯელს მივიღებთ. მეტის მოთმენა მართლაც არ შეიძლება, საპატრიარქოს ზღვარს გადასული დუმილი, ხელისუფლების წარმომადგენელთა უპასუხისმგებლობა იძულებულს ხდის ჭეშმარიტ მორწმუნეს გადადგას ის ნაბიჯი, რასაც იმსახურებენ ერის მოღალატენი, რამეთუ თითოეული ჩუენთაგანი რომ წარვდგებით საშინელ სამსჯავროზე, უფალი პასუხს მოგვთხოვს. როცა ქვეყანა იღუპებოდა, დუმდით, რატომ? რამეთუ დუმილით ღმერთს ვღალატობთ. წმ. მამები ბრძანებენ:„გიყვარდეს მტერი შენი, ებრძოდე მტერს მამულისას, გძაგდეს მტერი უფლისა“. იქედან გამომდინარე, რომ ზემოდჩამოთვლილმა პიროვნებებმა საშინელი ღალატი ჩაიდინეს ერისა თუ სარწმუნოების წინაშე, გვიგინებენ ჩვენს უფალს და მის მცნებებს, მე როგორც სასულიერო პირი, ვერ გავჩუმდები.

ეფესოს III მსოფლიო კრების მე-7 კანონი გვამცნობს: „...ის, ვინც წინ აღუდგება ნიკეის I მსოფლიო კრების დადგენილებას და ებრძვის მართლმადიდებლობას, ერისკაცნი შეჩვენებულ იქმნეს.“

მე ვისარგებლებ მსოფლიო კრებების დადგენილი დიდი სჯულის კანონით და ანათემას გადავცემ სარწმუნოების მოღალატეებს: წყეულ და შეჩვენებულ იქმნეს ბოკერია მეუღლით, გიგი თევზაძე, ირაკლი დეისაძე, ნინია კაკაბაძე, თეა თუთბერიძე, ზაზა ბურჭულაძე, ლაშა ბუღაძე, ზურაბ ქარუმიძე და ყველა ის პიროვნება, ვინც ებრძვის მართლმადიდებლობას. ანათემა ძალაშია 2016 წლის 14 იანვრიდან, სანამ პირადად არ მოვლენ ეს პიროვნებები ჩემთან და არ მოინანიებენ თავიანთ ცოდვებს (რათა მომავალ თაობაზე არ გადავიდეს).

მათ ქმედებას დიდი ხანია ვაკვირდები, იმდენად უსაზღვრო და უკიდეგანოა მათი ზიზღი ქართველ მართლმადიდებლებისადმი, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გათავისუფლდეს ჩვენი ბედკრული ქვეყანა ამ სულიწმიდის მგმობელებისაგან.

გთხოვთ, ვისაც გული შეგტკივათ სამშობლოზე, სარწმუნოებაზე, წინაპართა ხსოვნაზე, რომელმაც დღემდე გვატარა, ეს ტექსტი გაავრცელოთ, რათა სრულიად საქართველომ გაიგოს, რას უმზადებს მსოფლიო მასონობა დედა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას.

**ღმერთმა დაგლოცოთ!**

**გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილი (მკალავიშვილი).**

# რატომ არ ითვლებიან ომში დაღუპულებად აფხაზეთის ომში დაღუპული პარტიზანები?

## თენგო ზარანდიას გმირობის დღემდე უცნობი დეტალები

აქამდე გასაიდუმლოებული იყო 2003 წლის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების აფხაზეთის მაშინდელი განყოფილების „ოპერაცია" კოდური სახელწოდებით „ვარდისფერი დედოფლის გადარჩენა", რომლის დასრულების შემდეგ დაიღუპა ჯგუფის მეთაური **თენგიზ ზარანდია**, ხოლო უნიკალური „ვარდისფერი მარმარილოს" კარიერი აფხაზეთის მთებში თითქმის 10 წელი უცხო თვალისა და ხელისგან საიმედოდ იყო დაცული.

2012 წლის 26 მარტს „ინტერპრესნიუსის" მიერ გავრცელდა ინფორმაცია სათაურით: „აფხაზეთში ვარდისფერი მარმარილოს მოპოვება დაიწყეს". ელდანაცემი სანამ რამეს ვიღონებდი, ინფორმაციის საჯაროობის დროც ამოიწურა და მიუხედავად დიდი მცდელობისა, სხვა ინფორმაცია ვერ მოვიპოვე. ახლა, როცა მწვავედ დგას საკითხი, ე.წ. „პარტიზანული ომის" მცირერიცხოვანი მონაწილეები რატომ არ ითვლებიან „ომში დაღუპულებად", თემამ აქტუალობა კვლავ შეიძინა, მით უმეტეს, არ არის ცნობილი, თუ რა ბედი ეწია „სისხლის ფასად" შენარჩუნებული „ვარდისფერი მარმარილოს" აფხაზეთის კარიერს, დავიწყე თენგო ზარანდიას პარტიზანული ჯგუფის წევრების ძიება, რათა ე.წ. „პარტიზანული მოძრაობის" იმ გასაიდუმლოებული „მისიის" შესახებ იმაზე მეტი შემეტყო, რაც ვიცოდი: თენგო ზარანდიასთვის იმ ჭიუხებში „ვარდისფერი მარმარილოს" კარიერისკენ მიმავალი გზის „გაუქმება" და ამით უნიკალური ამ წიაღისეულის დაცვა" უკანასკნელი ოპერაცია აღმოჩნდა.

**როლანდ ჩხიკვაძე**: აფხაზეთის მთების ვარდისფერი მარმარილოს ქვა აგებულებით და დანიშნულებით უნიკალურია. ამ ქვის კარიერის მოპოვება აფხაზეთში საბჭოთა კავშირის დროს დაიწყო და სრულიად გასაიდუმლოებულად იქნა შესწავლილი ადგილობრივი და საზღვარგარეთელი ექსპერტების მიერ და აღიარებული, როგორც მსოფლიოში ანალოგის არმქონე. მთებში ჩაკარგულ ღრმა კანიონებში კარიერამდე მისასვლელად ხელსაყრელი ადგილები მრავალჯერადი აფეთქებებით გაიკვალა. ინგლისიდან საგანგებოდ შემოიტანეს მთიანი ადგილებში ნედლეულის მოსაპოვებელი ტექნიკა, კიბეებით, ე.წ. ლიფტებით ჩასასვლელები მოაწყვეს და ქვის მოპოვებაც დაიწყო. უზარმაზარი ინვესტიციების პერსპექტივა გაჩნდა. საბჭოთა კავშირს ხელსაყრელი გარიგებები უკვე გაფორმებული ჰქონდა, როცა აფხაზეთში ომი დაიწყო და „ვარდისფერი კარიერიც", თითქოს დავიწყებას მიეცა".

**მამუკა კ. – თენგიზ ზარანდიას თანამებრძოლი:** ჩვენ „პარტიზანები" გვერქვა, რადგან ასე გვსურდა ყოფნა, თუმცა ოფიციალურად არავის ვუღიარებივართ. არც ერთს არ გვიყვარს ამ თემაზე საუბარი. თენგოს ზოგიერთ დავალებაზე ჩვენ არ ვახლდით. ვიცოდით, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოფნისას საკუთარ სახლ-კარსაც მალულად ნახულობდა, ხოლმე. წარმოიდგინეთ ზუგდიდიდან გულრიფშამდე სულ ცოტა 60-80 კილომეტრის ფეხით გავლა, ღამე ტყე-ტყე სიარული საგანგებო დავალების შესრულება და შემდეგ კიდევ საკუთარი სახლის მალულად ნახვა: იმ დროს თენგო 44-45 წელს იყო.

**ჯიმშერ კ. – ყოფილი „პარტიზანი":** თენგო ზარანდიას ჩემს გარდა არავისთვის გაუმხელია, რომ ჯერ კიდევ აფხაზეთის ომამდე საგანგებო დავალებით იყო ნამყოფი კავკასიის მთაგრეხილის ერთ-ერთ მწვერვალზე, რომელსაც „ანარხუ" ჰქვია, რაც ადიღეური წარმოშობისაა და ქართულად „მოუხელთებელს" ნიშნავს. თენგო ზარანდია ძალიან ხშირად ახსენებდა ამ სიტყვას და „ანარხუ" მისი ზედმეტსახელი გახდა, მით უმეტეს, მოგვიანებით, ამ „მოუხელთებლის" ხელში ჩასაგდებად სეპარატისტებს სოლიდური თანხა ჰქონდათ დაწესებული.



**გიორგი კ. – უშიშროების გადამდგარი ოფიცერი:** როგორც კი აფხაზეთი „დამოუკიდებელი გახდა", „ვარდისფერი მარმარილოს" მოსაპოველად მოძრაობა განახლდა. აწ განსვენებულმა თამაზ ნადარეიშვილმა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელი უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ ამის შეტყობისთანავე გადაწყვიტა უნიკალური ქვის კარიერი არ დაეკარგა ქვეყნისთვის და საქმეში ჩაგვრია.

ის დავალება ასეთი იყო: „ვარდისფერ კარიერთან" მისასვლელი გზა ჩაეხერგათ და ნედლეულის მოპოვება შეუძლებელი გაეხადათ. ხუთი საიმედო ვაჟკაცი თენგიზ ზარანდიას მეთაურობით მთების და ტყის გავლით, რომლის ყველა ბილიკს შესანიშნავად იცნობდნენ, გალის რაიონის ქვედა ზონიდან ზემოსკენ ფრთხილად უცხო თვალისგან მალულად გამყოლის გარეშე წავიდნენ.

**ნიკა თ. – თენგოს თანამებრძოლი:** ოქტომბრის თბილი დღეები დაემთხვა. როცა გალის რაიონის სოფელ დიხაზურგას გავცდით. ბიჭებმა გავიხსენეთ, გალიოჩამჩირის გასაყართან ერთ-ერთ სახლში შეიარაღებული „ბოევიკები" რომ გვეგულებოდა და არავინ დაგვხვდა, მაგრამ დიდძალი იარაღი ვნახეთ და ცეცხლს მივეცით იქაურობა და უკან შემოვბრუნდით თუ არა, პატარების ტირილი მოგესმა. თენგომ ფარაჯა შემოიხვია და აალებულ, თითქმის ცეცხლის მიერ შთანთქმულ სახლში ისე შევარდა, თანამებრძოლებმა თვალის შევლება ვერ მოვასწარით... შემდეგ ჩვენს საყვედურზე ასე გვიპასუხა: შინ დატოვებული ჩემი პატარები გამახსენდა, წარმოვიდგინე, რომ ჩემი მაიკო და დიტო ტიროდნენ. სწორედ ისინი გადავარჩინე. რა მნიშვნელობა აქვს ვისი შვილები არიან, ბავშვი ბავშვიაო.

დაღლილ-დაქანცულები კვლავ გალის რაიონის სოფელ დიხაზურგას განაპირას ვიყავით, როცა ადგილობრივმა ინფორმატორმა გვაცნობა, სეპარატისტი „ბოევიკები" სადამსჯელო ოპერაციის განსახორციელებლად ავტომანქანა „ვოლგით" მოემართებიან და სოფლის დაცვაა ნაბრძანებიო... დრო არ ითმენდა. საავტომობილო გზის სავალი ნაწილი დავნაღმეთ, მაგრამ მაგრამ შორს წასვლა ვერ მოვასწარით, მოკლე ხანში გამაყრუებელი აფეთქების ხმა და ადამიანების განწირული ღრიალი მოგვწვდა. კბილებამდე შეიარაღებული ექვსი „ბოევიკი" სასიკვდილოდ იყო დაჭრილი. ერთადერთმა ხელყუმბარისთვის „ბეჭდის" მოხსნა მოასწრო, აფეთქების ხმა და ერთ-ერთი ჩვენი თანამებრძოლის ბახვა კოპალიანის განწირული ყვირილის გაგონებასთან ერთდროულად მის მუხლს ზემოთ მოწყვეტილ ფეხს მოვკარით თვალი... იმ „ბოევიკის" ავტომატის ჯერით ჩაცხრილვას ჩვენთვის შვება არ მოუტანია... ბახვას ფეხზე არტაშანი დაუყოვნებლივ დავადეთ. ხელი ჩავავლეთ და იქიდან გამოსასვლელ გზას დავადექით. ვჩქარობდით. ტყე-ღრეში სიარული გვიჭირდა. ბახვა გმირულად იტანდა ტკივილს. გმინავდა, თან გვეხვეწებოდა, ცოცხალი მაინც ვერ გადავრჩები, დამტოვეთო. დატოვებას არ ვაპირებდით. საფრთხე მატულობდა. ჩვენს ბედს წამები წყვეტდა... კატეგორიული იყო „ანარხუს" ბრძანება: წადით სოფელში და ცხენი, ან ურემი მოგვაშველეთ. მე დაჭრილთან დავრჩები და ზურგიდან დაგიცავთ. რაც შეიძლება ჩქარა დაბრუნდითო. გაშეშებულებს რომ შეგვხედა, იარაღი შემართა: „გიბრძანებთ, შეასრულეთ ბრძანება"... სოფლისკენ სირბილით გავიქეცით.

სოფლიდან მაშველების მოყვანა მხოლოდ საბაბი იყო, რათა ჩვენ მაინც მოგვესწრო სამშვიდობოს გასვლა. „ანარხუმ" დაჭრილი მეგობარი არ მიატოვა და კიდევ ერთხელ გვაჩვენა გმირობის მაგალითი.

**იური კვარაცხელია**:

სეპარატისტები არათუ გმირი მებრძოლების, არამედ ნებისმიერი ქართველის ნეშტებს გამოსასყიდის გარეშე არავის უთმობდნენ,



ამიტომ მათი ნეშტის გადმოსვენება უშუალოდ პრეზიდენტ შევარდნაძის დავალებით აწ გარდაცვლილი ავთანდილ იოსელიანის – აფხაზეთის უშიშროების ყოფილი უფროსის, მაშინ კონტრდაზვერვის უფროსის ჩარევის და აფხაზეთის თვითმარქვია მთავრობისთვის რუსეთიდან გაცემული განკარგულებით მოხდა. თენგო ზარანდიას და ბახვა კოპალიანის უკვე უსულო სხეული ავტომატებით იყო დაცხრილული.

**დიანა ციბაძის (აწ გარდაცვლილი სამხედრო ჟურნალისტის ჩანაწერებიდან):** თენგო ზარანდიას მის მიერ არჩეული ცხოვრების გზა „სისუსტეების-თვის" ადგილს არ ტოვებდა, ამიტომ მსგავსი საქციელი მისი შინაგანი ბუნების მაჩვენებელი და სულიერი სიღრმის საზომი იყო... რამდენიმეჯერ მძიმედ დაიჭრა, კვლავ პარტიზანებს დაუბრუნდა, ბიჭებს ვერ ვუღალატებო. – მითხრა ბოლო შეხვედრაზე.

**კაკო ზ. – თენგო ზარანდიას მეგობარი:** თენგოს თავგანწირვა სრულიად ამაოდ ჩათავდა. თურმე, ნუ იტყვით და ომში არ დაღუპულა. ნეტავი ვის თავში იბადება აზრი, რომ ქვეყნის უშიშროების მუშაკი, თუნდაც „პარტიზანი" უწოდონ, გნებავთ სხვა რამ, თითქოს, ომში არ იღუპება.

**ვერიკო პიტავა-ზარანდია – თენგო ზარანდიას მეუღლე:** თენგო ზარანდია აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე ჩაეწერა მეომრად და აფხაზეთის დაკარგვის შემდეგაც არ დაბრუნებულა შინ. ომი მისთვის მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ დასრულდა. ჩვენი შვილები პატარები იყვნენ, როცა მამა დაეღუპათ. მის მიერ ჩადენილ გმირობაზე არაფერი მეტყველებს. მეტიც, ომში დაღუპულადაც არ ითვლება მებრძოლი, რომელიც სიკვდილამდე იმას წუხდა: რომ წამოიზრდებიან, რა ვუპასუხო შვილებს, როცა მკითხავენ, აფხაზეთი რატომ დაკაგრეთო.

**ჟენია ზარანდია – თენგო ზარანდიას დედა:** საბრძოლო ოპერაციაზე წასულს რომ შეაგვიანდებოდა, მობილურით დამირეკავდა და სიცილით მამშვიდებდა: არ ინერვიულო, რესტორანში ვქეიფობო. ვიცოდი, მისი რესტორანი ტყე რომ იყო და მის გვერდით მასავით სამშობლოსთვის თავდადებული ვაჟკაცები იყვნენ... სამშობლოსთვის შეწირული შვილი ცინკის კუბოთი ჩამომიყვანეს. ისღა მქონდა სანუგეშოდ, რომ გმირი შვილი შევწირე სამშობლოს. უცებ აღმოჩნდა, რომ თურმე „მხოლოდ პარტიზანი" ყოფილა და ომში არ დაღუპულა. „პარტიზანი" თვითონ დაარქვეს, რათა მის ოჯახს კომპენსაცია არ გადაუხადონ, თორემ ჩემს შვილს არც „ვარდისფერი მარმარილოს კარიერი" და, მით უმეტეს, გალის რაიონის სოფლის დაწიოკების შესახებ ინფორმაცია არ დაესიზმრებოდა. მისი თავგანწირული ბრძოლა სამტკიცებელი გამიხდა მე – მის დედას. სამართლიანობის აღსადგენად არ დარჩენილა ინსტანცია, რომელსაც არ მივმართე, მაგრამ ვერავინ გამარკვია, თუ რატომ არ არის „ომში დაღუპული" აფხაზეთის მთავრობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, დახმარების ნაცვლად, მისაყვედურა, „დავალების შესასრულებლად" რატომ გაუშვიო. ბოლოს მითხრეს, თურმე, კანონი მზადდება და აუცილებლად მიენიჭება „ომში დაღუპულის" სტატუსი, მაგრამ როდის უცნობია, მანამდე სამშობლოსთვის თავგანწირული თენგო ზარანდია - „პარტიზანია", რომელიც ომში არ დაღუპულა. ამიტომაც მისმა შვილებმა და შვილიშვილებმა არც იციან, რომ გმირის შთამომავლები არიან და შეუძლიათ კანონიერად იამაყონ სამშობლოსთვის თავდადებული თენგო ზარანდიას გამო.

**„პარტიზანებად" წოდებული უშიშროების სამსახურის „ომის ვეტერანი" თანამშრომლები თუ არა საომარ მოქმედებებში, სად დაიღუპნენ და მუშავდება თუ არა კანონი, რომელიც აფხაზეთის ომის შემდეგ „პარტიზანულ" ომში დაღუპულებს ცნობს „ომში დაღუპულად" – შეკითხვა რევაზ კორინთელს – ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს ვერა და ვერ „ჩამოვუყალიბე" ისე, რომ გაეგო, რა მქონდა მხედველობაში. რასაც მიხვდა, იმაზე პასუხი ასეთია: „2003 თუ ომის წლად იქნა" აღიარებული, მაშინ 2003 წელს დაღუპულებიც მიიღებენ „ომის მონაწილის" სტატუსს. ამ ლოგიკით, ვშიშობ, დოკუმენტებს გმირულად დაღუპულ ე.წ. „პარტიზანებს" მოთხოვენ და „იქ" მათ სულებს, „აქ" ჭირისუფლებს – სრულიად დაუმსახურებელ უკვე არაერთხელ მიყენებულ ტკივილს კიდევ ერთხელ მიაყენებენ.**

**ქეთევან ჩემია**

# „ანანერბე“

(გაგრძელება)

როდესაც ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მიწაზე მდებარე ტევტობურგის ტყეში მოხვდებით, რომელიც ვეზერის მთების ტყებითაა გარემოცული და გერმანიის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს, შეიძლება დაუვიწყარი სანახაობის მომსწრე გახდეთ.

ზეცის ფონზე ეფექტურად იხატება ექსტერნშტაინის ხუთი კლდე: ოცდაათმეტრიანი უსწორმასწორო კოლონებისგან შემდგარი ბუნების ძეგლი, რომელიც მღვიმეებითა და გვირაბებით არის დასერილი.

ეს კლდეები, რომლებიც ზღაპრულ პეიზაჟს წააგავენ, კიდევ უფრო მეტ ხიბლს სძენენ ამ ადგილს.



ექსტერშტაინის კომპლექსი

ექსტერშტაინის კომპლექსი განლაგებულია ტერიტორიაზე, რომელიც ძველი, საკულტო ნაგეგობებით არის ცნობილი. ყველა მათგანი ძველი მისტიკითა და ლეგენდებითაა გარემოცული. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, ანუ ხალხური გადმოცემის თანახმად, ეს ქვები ერთ ღამეში აღიმართა, შემდეგ კი ეშმაკმა გადაადნო.

პოპულარობის მიხედვით, ამ ადგილს გერმანელებისთვის იგივე მნიშვნელობა გააჩნია, რაც სტოუნჰენჯს ინგლისელებისთვის. როგორც უკვე ითქვა, ამ განმარტოებულ ძეგლთან მრავალი საიდუმლოა დაკავშირებული. მაგრამ, ალბათ, ყველაზე მთავარი მათგან უფრო ძველგერმანული ღმერთის, ვოტანის (ოდინის) ჯვარცმის ისტორიაა.

ერთ-ერთი მეცნიერული ვერსიის მიხედვით, აქ განლაგებული იყო ქვის საუკუნის საკულტო-სარიტუალო, შემდეგ კი ძველი გერმანელების რელიგიური ცენტრები. შუასაუკუნეობრივი ლეგენდები, რომლებიც ექსტერნშტაინზე გვიამბობენ და სხვა უფრო მნიშვნელოვან ინფორმაციასაც შეიცავენ. აქ იზრდებოდა წმიდა ხე ირმინსული.

მას თაყვანს სცემდნენ საქსები და ხერუსკების სხვა შთამომავლები, მაგრამ კარლოს დიდმა, რომელსაც წარმართობის ამოძირკვა სურდა, საკერპე დაანგრია, ხე ირმინსული კი მოჭრა...

როდესაც დაახლოებით 722 წელს წარმართობა გერმანიაში საბოლოოდ შეცვალა ქრისტიანობამ, ეს ძველი საკულტო ადგილებიც ახალმა რელიგიამ დაისაკუთრა.

ახალ სარწმუნოებაზე გადასვლა არ ყოფილა ისე მარტივი, როგორც ამას საეკლესიო ისტორიკოსები წერენ. ტევტონბურგის ტყის საკერპეებში არაერთხელ მომხდარა სასტიკი შეტაკებები წარმართბსა და ცისტერციანული ორდენის პირველ ბერებს შორის.

ცისტერციანელები, ანუ თეთრი ბერები, ბერნარდინელები – კათოლიკურ- მონაზვნური ორდენია, რომელიც XI საუკუნეში გამოეყო ბენედიქტიანელთა ორდენს. ცისტერციანელი ბერები, როგორც წესი, დაყუდებულად ცხოვრობდნენ, მათ სულიერ ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობდა ასკეტური პრაქტიკა და მჭვრეტელობითი ბერული ცხოვრება. ცისტერციანული ეკლესიებისთვის დამახასიათებელია ძვირფასი ჭურჭლის, ფერწერისა და მდიდრული ინტერიერის უარყოფა.

ამ ადგილებში დაფუძნებულმა ცისტერციანელმა ბერებმა, ახალი რელიგიისკენ ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზიდად, გადააკეთეს წარმართულ საკერპეთა კომპლექსები და მათ ადგილას იერუსალიმის წმიდა ადგილების იმიტაცია შექმნეს. გამოიყენეს ის ფაქტი, რომ ქრისტე ჯვარს აცვეს გოლგოთაზე, ხოლო ძველგერმანული ღმერთი ვოტანი ექსტერნშტაინის კლდეზე. დაბოლოს, კონტროლი სამუდამო რომ ყოფილიყო, იმ შუასაკუნეობრივ დროებაში ექსტერნშტაინი ქრისტიანულ ბერთა სადგომად გამოიყენეს.

ასე მიდიოდა დრო. გერმანელები სულ უფრო და უფრო ივიწყებდნენ თავიანთ წარმართულ სარწმუნოებას. მაგრამ გერმანული რომანტიზმის, როგორც ფილოსოფიურ-კულტურული მოვლენის ზრდასთან ერთად, ესტერნშტაინის კომპლექსმა კვლავ მიიზიდა მრავალი ჯურის მოგვ-შარლატანები და ისტორიული კვლევის მოყვარული დილეტანტები.

მკვლევარები გერმანული „ხალხოსნებიდან“, ეთაყვანებოდნენ ამ კლდეებს, მათ შექმნეს განსაზღვრული ძველგერმანული კულტი, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წარმოუდგენელი გავრცელება ჰპოვა. ის ეფუძნებოდა განსხვავებულ მოტივებს: რომანტიზმს, ნაციონალიზმს, რასობრივ იდეებს და გერმანულ იდეალიზმს. ექსტერშტაინის ძირითადი მკვლევარი გახდა მოყვარული-ისტორიკოსი ვილჰელმ ტოიდტი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა იმ მასალების დამუშავებაზე, რომელიც დაკავშირებული იყოს კომპლექსის ისტორიასთან. ტოიდტი დაიბადა 1860 წელს. თავიდან ის ევანგელისტი მღვდელი იყო ქ. შაუმბერგეში, და მისი შიდასაეკლესიო კარიერა საკმაოდ წარმატებულიც გახლდათ.

დროთა განმავლობაში ტოიდტმა შეცვალა შეხედულებები ცხოვრებაზე, რამაც გამოიწვია ის, რომ 1908 წელს მან დატოვა ეკლესია და „ბუნების შემეცნების კავშირში“ გაწევრიანდა. 1920 წელს ის დემტოლდში გადასახლდა და მთლიანად ჩაეფლო გერმანელთა ძველი ისტორიის საკითხებში, რვა წლის შემდეგ კი შექმნა საკუთარი ორგანიზაცია „გერმანიის წინარეისტორიის მეგობართა გაერთიანება“. 1929 წელს ტოიდტმა გამოსცა წიგნი „წმინდა გერმანული იდეები“, რომელიც წარმოადგენდა მის შეხედულებას გერმანელი ხალხის წარსულზე.

წიგნი პოპულარული გახდა და 1930-იანი წლების დასაწყისში ტოიდტმა მრავალი მომხრეც გაიჩინა. ამის შემდეგ ექსტერშტაინი უბრალო ბუნებრივი ძეგლიდან თანდათანობით ყველა გერმანელი ნაციონალისტის მომლოცველობის ადგილად იქცა. თავის იმავე გამოკვლევაში ტოიდტმა მიუთითა, რომ ექსტერშტაინი მდებარეობს „წმინდა ხაზების“ გადაკვეთაზე, რომელიც თითქოსდა მან აღმოაჩინა გერმანიის ჩრდილოეთში. ტოიდტი მიიჩნევდა, რომ ეს ხაზები, რომლებიც ზუსტად ემთხვეოდა სხვა მკვლევარის მიერ აღმოჩენილ ხაზებს, ექსტერშტაინს სხვა ძველ რელიგიურ ნაგებობებთან აკავშირებდა, მათ შორის მეზობელ ბად-მაინბერგეს ქვის წრესთან.



მსოფლიო ხე

ყველაზე ღირსშესანიშნავი ადგილი მთელ ექსტერნშტაინში – პატარა სალოცავია, რომელიც გამოჭრილია ერთ-ერთი კლდოვანი სვეტის მწვერვალთან ახლოს.

იქ მოხვედრა არცთუ ისე ადვილია: იქამდე მისვლა შესაძლებელია მხოლოდ ქვაში გამოჭრილი კიბეებით და მყიფე საცალფეხო ხიდით. სალოცავს სახურავი არა აქვს, ხოლო მის აღმოსავლეთ მხარეს იმყოფება გუმბათოვანი ნიში სვეტის ფორმის საკურთხევლით. უშუალოდ საკურთხევლის თავზე მდებარეობს მრგვალი ფანჯარა, რომლის სიგანე 50 სანტიმეტრია. სიძველეთა ევროპელმა მკვლევარებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შენიშნეს, რომ ის ერთდროულად მიმართულია ზაფხულის ბუნიობისა და თვით მთვარის ამოსვლის ყველაზე ჩრდილოეთი წერტილისკენ – ეს არის ორი მნიშვნელოვანი ასტრონომიული კოორდინატი, რომელიც მრავალ ქვის წრეზე და პრეისტორიული ეპოქის მრავალ ანალოგიურ ნაგებობაზეა აღნიშნული.

როგორც ჩანს, სამლოცველო მიწიდან ასე მაღლა იმიტომ იყო აშენებული, რათა უფრო მოხერხებულად დაკვირვებოდნენ მზესა და მთვარეს. რადგან ექსტერნშტაინი დაახლოებით იმავე განედზე მდებარეობს, რომელზეც სტოუნჰენდჯი, ეს ფაქტი კომპლექსის მნიშვნელობაზე მიუთითებს, როგორც ევროპელი ასტრონომებისთვის, ასევე სხვა მოგვებისთვისაც. ტოიდტიც ამტკიცებდა, რომ „სალოცავის“ ადგილზე, ოდესღაც ძველი ხის ნაგებობები იყო აღმართული, რომლებიც მზის, მთვარის და ვარსკვლავების დაკვირვებისთვის გამოიყენებოდნენ. ის ამტკიცებდა, რომ ექსტერნშტაინი მთვარის ძველი კულტის ცენტრს წარმოადგენდა.

გვიანდელმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს მისი ჰიპოთეზა, რომლის შესაბამისადაც, სახურავის არარსებობა სალოცავ-ობსერვატორიაში – ბერების შეგნებული ვანდალიზმის შედეგი უნდა ყოფილიყო. ტოიდტმა ასევე დაამტკიცა, რომ ქვის სვეტის საძირკველში მდებარე 50-ტონიანი ფილა ადრე სამლოცველოს კედელი იყო. ბერებმა სალოცავი დაანგრიეს, რათა გაეწმინდათ ის წარმართული პრეისტორიისგან და ქრისტიანული ღვთისმსახურებისთვის გამოსადეგი ყოფილიყო.

ამგვარად, ტოიდტის მიერ ძველი წარმართული საკერპის ისტორიის აღდგენითი სამუშაოები 1933 წლის შემდეგ ნაცისტების თვალსაწიერში მოხვდა. და ამას ხელი შეუწყო თვით ტოიდტმა. ის საკუთარი იდეების კარგი მარკეტოლოგი და პოპულარიზატორი აღმოჩნდა. საკუთარი წიგნი მან ჰიტლერის მთავრობის ყველა მინისტრს დაუგზავნა. ყოველ შემთხვევაში, ტოიდტმა წიგნებს თან დაურთო წერილები, რომლებშიც აქცენტს ამა თუ იმ მინისტრის სამსახურებრივ საქმიანობაზე აკეთებდა.

ასე, მაგალითად, რუსტს მან მისწერა სკოლებში ძველი გერმანული ისტორიის შესწავლის აუცილებლობაზე, ხოლო ჰებელსს აუწყა მის უდიდეს მნიშვნელობაზე ერის გამთლიანების საქმეში.

ტოიდტი და მისი თანამოაზრენი ყოველმხრივ ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ „გერმანული პრაისტორიის მეგობართა გაერთიანებას“ და ნაციონალ-სოციალისტებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. ძალიან მალე თამაშში ჩაერთო ჰენრიხ ჰიმლერიც, რომელმაც ტოიდტი საკუთარი მფარველობის ქვეშ აიყვანა. რეიხსფიურერის დახმარებით ექსტერნშტაინის კომპლექსი ახალი გერმანული რელიგიის სიწმიდე გახდა. მაგრამ თვით ძეგლი უფრო პროფესიონალურ შესწავლას საჭიროებდა. რადგან ესმოდა, რომ იმპერიის აღზრდის მინისტრი ბერნჰარდტ რუსტი ვერ შესძლებდა ტოიდტის საჭირო კადრებით უზრუნველყოფას, ჰიმლერმა გადაწყვიტა ექსტერნშტაინი დროებით კერძო მკვლევარებისთვის გადაეცა.

ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ მეგალითური ძეგლის განმარტება, თუმც კი ატარებდა ნაციონალისტურ ხასიათს, SS-ს ბოლომდე მაინც არ აწყობდა. ამ სიტუაციის გამოსასწორებლად, 1936 წლის შემოდგომით, ჰ. ჰიმლერმა ტოიდტის სტრუქტურა SS-ის ინსტიტუტ „ანენერბეს“ მიუერთა. ამ დროიდან ისტორიული და ბუნებრივი ძეგლი SS-ის

შავი ორდენის სიწმიდე უნდა გამხდარიყო, სადაც „ანენერბე-ში“ აღდგენილი ძველგერმანული ჩვეულებები ჩატარდებოდა.

ჰიმლერმა გასცა განკარგულება ექსტერნშტაინეში მომუშავე არქეოლოგებისთვის გადაეცათ SS-ის 72-ე შემადგენლობის ორი რაზმი. იქვე ჰიმლერმა დაუფარავი ინტერესით დაათვალიერა ექსტერნშტაინის გროტები და გათხრები, რომელიც იქვე, კლდეების გვერდით მიმდინარეობდა. რაიხსფიურერმა ექსტერნშტაინეში სულ ოთხი საათი დაჰყო. სხვათა შორის, ჰიმლერის ვიზიტი ექსტერნშტაინში (22 სექტემბერი) არ ყოფილა შემთხვევითი. ადგილობრივი ტრადიციით აქ ტარდებოდა წყალქვეშა ნავის U-9-ს ეკიპაჟის გახსენება, რომელიც ინგლისურ ფლოტთან უთანასწორო ბრძოლაში პირველი მსოფლიო ომის დროს დაიღუპა.

ნაცისტები თავიდანვე აღიქვამდნენ ექსტერნშტაინეს კლდეებს, როგორც საკულტო ნაგებობას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა მესამე რაიხის ნეოწარმართული რელიგიის შექმნის საქმეში. გერმანიის მთავრობა არ დაუშვებდა, რათა მსგავსი პროცესი, რომელსაც მართავდნენ „ანენერბეს“ ოკულტისტები თვითდინებით წასულიყო. მაგალითად, 1936 წ. ჰიმლერმა აკრძალა ექსტერნშტაინის ისტორიის არასანქცირებული გამოკვლევები. დროთა განმავლობაში „ანენერბემ“ გამოსცა რამოდენიმე წიგნი „მაგიურ კლდეებზე“, რომლებსაც გამოცემის წინ იწონებდა თვით რაიხსფიურერი.

მსგავსი „სახელმძღვანელოებით“ ამარაგებდნენ ყველა ესესელს – მათთვის ეს წიგნები სპეციფიკურ გზამკვლევს წარმოადგენდა ექსტერნშტაინის სტუმრობის დროს, რომელიც, პრაქტიკულად, სავალდებულო რიტუალად იქცა SS-ის ოფიცრებისთვის.

მაგრამ ყოველივე ეს იყო საცნობარო ხასიათის ზოგადი ინფორმაცია. სხვაგვარ ვერსიას, რომელიც შესაძლოა, სინამდვილესთანაც უფრო ახლოს იყოს და ნათელს ჰფენდეს, თუ რა გახდა მიზეზი 1933-1945 წლების გერმანიაში ექსტერნშტაინის კლდეების განსაკუთრებული პატივდებისა, 2007 წელს დაბეჭდა ჩილელმა მწერალმა სირანომ თავის წიგნში „ვოტანი და რუნები“.

სირანო ექსტერნშტაინეს კლდეებს „ღმერთ“ ვოტანის თაყვანისცემის უძველეს კულტს უკავშირებს.

ვინ არის ვოტანი? და რატომ მიაგებდნენ მას პატივს ძველგერმანელები და არა მარტო ისინი?

„ვოტანი“ (პრაგერმ.:*Wodanaz an *Wodinaz; an kidev odini Zv. isl. Óðinn) – უმაღლესი ღვთაება გერმანულ-სკანდინავიურ მითოლოგიაში, ასების მამა და წინამძღოლი. ბრძენი და შამანი, რუნებისა და საგების მცოდნე, მეფე-ჯადოქარი, თავადი (კონუნგ) და მოგვი (ვიელუს), მაგრამ ამავე დროს ომისა და გამარჯვების ღმერთი, სამხედრო არისტოკრატიის მფარველი, ვალჰალას ბატონი და ვალკირიის მბრძანებელი.

მითოლოგიაში სამყაროს ცენტრად, სადაც ცა და მიწა ერთად იყრიან თავს, მიიჩნეოდა ბერძნული ოლიმპის მსგავსი მთა, რომლის წვერზეც ღმერთები ბინადრობდნენ. სკანდინავიურ მითოლოგიაში ცა და მიწა, ხიდ-ცისარტყელასთან ერთად აერთიანდებდა გიგანტურ ხეს – იგდრასილს.

ვიელვას მოგვები მას „ზომის ხეს“ უწოდებდნენ და იხსენებდნენ შესაქმის იმ დროს, როდესაც ის ჯერაც არ ამოსულიყო. მის გვერდით მდებარეობდა ასების უმთავრესი სალოცავიც. იგდრასილის შესახებ მოგვითხრობს გულვი თანაბრად მაღალი (იმავე სიმაღლის – Jafnhár): „ის იფანი ყველა სხვა ხეზე უფრო დიდი და მშვენიერია. მისი ტოტები მსოფლიოს გადმოჰფენია, ხოლო სიმაღლე ცას ასწვდენია“.



ძველი გერმანელი მებრძოლი

ხეს სამი ფესვი ამაგრებს და ეს ფესვები ფართოდ არიან გადგმულნი. ერთი ფესვი – ასებთან არის, მეორე ინეის ბუმბერაზებთან, იქ, სადაც ადრე იყო მსოფლიო უფსკრული. ხოლო მესამე ნიფლჰეიმისკენ მიიწევს, ფესვის ქვეშ მდებარეობს დინება, მოფუთფუთე ქვაბი, ქვემოდან კი ღრღნის ურჩხული ნიდხეგი“.

ეს ტექსტი საბოლოოდ დააბნევს მკითხველს, რომელსაც სურს გაერკვიოს სკანდინავიური მითოლოგიის კოსმოგონიაში, რადგან ცისკენ აზიდული ხის ფესვები ქვესკნელში უნდა იყოს. აქ კი გამოდის, რომ ერთი ერთსა და იმავე დროს ქვესკნელშიცაა და ენტუჰეიმშიც, ანუ ინეის ბუმბერაზთა ჩრდილოეთ ქვეყანაში, მეორე ფესვი კი საერთოდ ცისკენ მიიმართება, ანუ სამყაროს ცენტრისკენ, ასებისკენ.

„უფროსი ედას“ (ძვ. ისლანდიურ სიმღერათა კრებული – რედ.) ერთ-ერთ მითოლოგიურ პოემაში, რომელსაც „გრიმნირის ქადაგებები“ (Grímnismál) ეწოდება, ოდინი მოხუცის სახით გამოეცხადება იმ კონუნგს, რომელსაც მისი ცოლი ფრიგი სიძუნწეში სდებდა ბრალს, და იქ უყვება მითოლოგიური სამყაროსა და მსოფლიო ხის აგებულების შესახებ. მის აღწერაშიც იგდრასილის სამი ფესვი მხარეს მიემართება: ერთის ქვეშ საიქიო სამყაროა – ჰელის ქვესკნელი, მეორის ქვეშ ბინადრობენ ბუმბერაზები, ხოლო მესამის ქვეშ – ადამიანები. თუ ადამიანები მსოფლიო ხის ფესვის ქვეშ აღმოჩნდებიან, ეს ნიშნავს, რომ ხე საერთოდ პირქვეა გადმოყირავებული...

გადმოყირავებული ხის ამ სახეში არაფერია უჩვეულო – ხეს ასე იყენებდნენ სვეტების სახით, რომელიც საცხოვრებლის ჭერს ამაგრებდა (ასეთი ხე აღწერილია „ველსუნგის საგაში“, სკანდინავიური ეპოსის გმირების ისტორიაში). გაურკვეველი რჩება, როგორ აღწევენ ისინი ქვესკნელამდე. აქ უნდა გავიხსენოთ მითოლოგიური სიმბოლიკისა და ციფრ სამის მნიშვნელობა, ის ხშირად გვხვდება გერმანული ხალხების თქმულებებში, რომლის მიხედვითაც დედამიწა იყოფა სამ ნაწილად და სამი ბელადი მეთაურობს; ეს არის სამი ღმერთი – ოდინი, ვილი და ვე. სწორედ ისინი ქმნიან მთელ დედამიწას.

ძველი და შუასაუკუნეების გეოგრაფთა, მათ შორის სნორი სტურლუსონის (შნორრი Sturluson. 1178) წარმოდგენაში დედამიწა, სამ ნაწილად, სამ კონტინენტად იყოფა... დედამიწის ამ დაყოფას შეესაბამება სამყაროს მითოლოგიური დაყოფაც, სადაც ის მოიცავს ცას, მიწას და ქვესკნელს.

მითოლოგიური ცნობიერება ცდილობდა შეეთავსებინა ჰორიზონტალური დაყოფა ვერტიკალურთან – ეს აუცილებელი იყო, ღმერთებისა და ადამიანების სამყარო გაეერთიანებინა, რათა ღმერთები მიერ შექმნილი სამყარო არ დარღვეულიყო.

ამიტომაც იშლება ასე უცნაურად, თანამედროვე შეხედულებით, მსოფლიო ხის ფესვები, რათა მოიცვას სამყაროს ყველა კუთხე-კუნჭული, სკანდინავიური მითოლოგიის „ყველა სამყოფელი“.



ვილჰელმ ტოიდტი

მსოფლიო იფნის ფესვი, რომელიც ინეის ბუმბერაზებთან მიდის, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ღმერთებისა და ადამიანებისთვის.

ინეის ბუმბერაზები, ანუ გრიმტურსენები (ჰრímthurs), პირველი გონიერი ქმნილებებია, რომლებიც სამყაროში გაჩნდნენ, და მათთვის ხელმისაწვდომი იყო თავდაპირველი სიბრძნე – ცოდნა სამყაროს გაჩენის შესახებ. ამ სიბრძნეს ეძებს არა მარტო ცნობისმოყვარე გიულვი ტანგლერი, არამედ თვით ოდინიც.

თავდაპირველი სიბრძნე ჩაკეტილი იყო წყაროში, რომელიც მსოფლიო ხის ფესვიდან მომდინარეობდა ბუმბერაზთა მიწაზე და მათ ფლობდა. მათგან ყველაზე ბრძენი ბუმბერაზი სახელად მიმირი (Mímir). თვით „ყველას მამა“ ოდინი მივიდა მასთან და სთხოვა, მიეცა მისთვის წყაროდან დარწყულების საშუალება, მაგრამ ცოდნისთვის საფასურია გადასახდელი და მიმირიც მისგან წყაროდან დარწყულების (ანუ სიბრძნის მიღების) სანაცვლოდ ცალ თვალს ითხოვს. ბუმბერაზმა მიიღო ღმრთის ყოვლისმცოდნეობა – მან დამალა თვალი სიბრძნის წყაროში, ოდინი – პირველ არსებათა ყოვლისმცოდნეობაა.

ღირებულებათა ეს გაცვლა ღმერთებსა და ბუმბერაზებს შორის წითელ ზოლად გასდევს სკანდინავიურ მითოლოგიას და მსოფლიო ხის ფესვებივით აერთიანებს ყველა სამყაროს. მაგრამ ამ გაცვლაში უკვე იგრძნობა რაღაც საბედისწერო და „უწმინდური“.

საქმე იმაშია, რომ მსოფლიო ხალხების მითებში ცალთვალა არსებები, როგორც წესი არიან არა ღმერთები, არამედ ბოროტი დემონები, უწმინდური ძალები. ცხადია, თვით ოდინისთვის უცხო არ არის დემონური თვისებები – ის ქარბუქისა და ომის ღმერთია, რომელიც ვლინდება ბუნების ბობოქრობასა და ადამიანურ კონფლიქტებში.

მაგრამ ამ „ღმერთის“ სიმახინჯე იყო ამოსავალი ნაკლულევანების ნიშანი, იმ სამყაროს არასრულყოფილებისა, რომლის მეუფეც ის გახდა, როდესაც თავის ძმებთან ერთად მოკლა პირველი ბუმბერაზი. იასენ იგრდასილს ელოდა უბედურებები ქტონური მონსტრებისგან, რომლებიც ღრღნიდნენ მის ფესვებს, – ღმერთების სამყარო იმთავითვე არასტაბილური იყო, ის ექვემდებარებოდა ბედისწერას და ამის შესახებ ღმერთებს შეახსენებდა სხვა წყარო, რომელიც მსოფლიო ხის ფესვთან მოედინებოდა ზეცაში.

ამ წყაროს ეწოდებოდა ურდი – მისი სახელი ნიშნავს „ბედს“, „ბედისწერას“. ამ წყაროში ბინადრობს სამი ქალწული: პირველს იგივე სახელწოდება აქვს – ბედისწერა, მეორეს ჰქვია ბერდანდი და ნიშნავს „დადგომას“, ხოლო მესამეს ერქვა – სკულდი – „მოვალეობა“.

ამასთან მათი სახელები ნიშნავს დროის დინების გარდაუვალობას: ურდი უკვე აღსრულებულსა და წარსულ დროზე მიანიშნებს, ბერდანდი – აწმყოზე, ხოლო სკულდი – გარდაუვალ მომავალზე.

ესენი არიან ბედისწერის ქალწულები, ანუ ნორნები, რომლებიც რაღაცით ჰგვანან ბერძნულ მოირებს. მათი მსგავსია მრავალრიცხოვანი ქალღმერთები, ანუ სულები, რომლებიც ასევე ნორნები არიან და მიდიან ყოველ ახალშობილთან, რათა უბოძონ ბედისწერა – კეთილი ან ბოროტი, თვით ღვთაების ხასიათიდან გამომდინარე.

ისინი მომდინარეობენ სხვადასხვა მითოლოგიური არსებებისგან – ერთნი ღმერთებისგან, სხვები ჯუჯებისგან (კარლები, ცვერგები), მესამენი – ალვებისგან, ბუნების სულებისგან, რომელთა სახელწოდება ევროპული ზღაპრებისა და ლეგენდების ელფებს მოგვაგონებს.

მაგრამ მთავარი ნორნები მთელი სამყაროს ბედისწერას განაგებენ, ახორციელებენ მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს. მათი წარმომავლობა საიდუმლოებით არის მოცული, ისევე როგორც საიდუმლოა მრავალი, რაც დროთა დასაბამიდან იღებს სათავეს.

„უფროსი ედას“ ზოგიერთ პოემაში სამი ქალწული, რომლებიც სამყაროს თავზე დაფრინავენ, ბუმბერაზათაგან წარმოიშვნენ; რომელიღაც სამი მდედრი ბუმბერაზი მივიდა ღმერთებთან და ეს ოქროს ხანის დასასრულის მიზეზი გახდა, მაგრამ იყვნენ თუ არა ეს მდედრი ბუმბერაზები ნორნები – გაურკვეველია.

რაც შეეხება მსოფლიო ხეს, რომელიც ნორნების წყაროსთან იზრდება, არა მარტო აერთიანებს მთელს მსოფლიოს მითოლოგიურ სივრცეში, არამედ წარსულსა და მომავალსაც აკავშირებს.

მოამზადა
**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# ვახშამი ფოტოს სანაცვლოდ

29 წლის მხატვარმა სერგეი ბალოვინმა ფულის გარეშე ცხოვრების პირველი გამოცდილება შანხაიში მიიღო. რუსი მხატვარი ვორონეჟის ინსტიტუტში ასწავლიდა ხელოვნებას ჩინელ სტუდენტებს, რომლებიც გაცვლითი პროგრამით მოხვდნენ ვორონეჟში და რომლებიც დაეხმარნენ დამწყებ მხატვარს ჩინეთის ერთ-ერთ ქალაქში პერსონალური გამოფენის მოწყობაში. გამოფენა წარმატებული აღმოჩნდა. ჩინეთში აკვარელით შესრულებული ნახატები უფრო მოთხოვნადი იყო ვიდრე რუსეთში, ამიტომ მხატვარი საცხოვრებლად და სამუშაოდ გადავიდა შანხაიში, სადაც იქირავა ბინა, რომელშიც საერთოდ არ იდგა ავეჯი. ბელოვინმა რუსულად მოსაუბრე მეზობლებს შესთავაზა პორტრეტების დახატვა საყოფაცხოვრებო ნივთების და ავეჯის სანაცვლოდ. იგივე პირობები დადო ფორუმზეც, სადაც მალე მას უამრავი რუსი ემიგრანტი შეეხმიანა. მალე მას იმაზე მეტი ნივთი ჰქონდა, ვიდრე სჭირდებოდა, ამან მხატვარი დაარწმუნა რომ ბარტერი რეალურად მუშაობს და როცა შესთავაზეს ნოვოსიბირსკში გამოფენის ორგანიზება, მან გზის ხარჯები თავისი ნახატებით დაფარა, შემდეგ ნახატების გაცვლით იმოგზაურა ბალკანეთში, უკრაინაში, საბერძნეთში, ბელგიაში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთში. თურქეთში, ბელგიაში, სერბეთში, პოლონეთსა და ჩეხეთში, გერმანიაში, იტალიაში. მის ბლოგზე, რომელიც უკვე საკმაოდ პოპულარულია, განათავსა სპეციალური ბლანკი, რომელის შევსებითაც ადამიანებს შეუძლიათ მისი მიწვევა და უთითებენ ჯილდოსაც, მაგალითად, საუზმეს, ან სადილს.

ასე მოგზაურობას ის ერთი წლის მანძილზე გეგმავს, რის შემდეგაც აპირებს, ისევ შანხაიში დაბრუნდეს და მოაწყოს პორტრეტების ასლების გამოფენა. თითოეულ ნახატს ორ ეგზემპლარად ხატავს და ერთს თავისთვის იტოვებს.





# განუხორციელებელი ბარტერი

„ფილიპსის“ ფინანსური კონსულტანტი 25 წლის შანონ სიმონსი სამსახურიდან დაეთხოვა. მან გადაწყვიტა ფინანსური კონმსულტაცია ბარტერულად განეხორციელებინა და თავისი ცოდნა გამოეყენიებინა იმისათვის, რომ დახმარებოდა ადამიანებს ფულის გონივრულად დახარჯვაში, ამისათვის კი მას მხოლოდ ის მიეღო, რაც რეალურად სჭირდებოდა. სიმონსმა ეს გადაწყვეტილება ერთ საღამოს მიიღო: ის იჯდა კაფეში და ესმოდა ორი გოგონას საუბარი, რომლებიც წუხდნენ, რომ ფული ხელიდან უქრებოდათ. სიმონსი მივიდა მათთან და შესთავაზა დახმარება ბიუჯეტის დაგეგმვაში. გოგონები გამოუტყდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ კონსულტაციაში გადასახდელი ფული და მადლიერების ნიშნად მხოლოდ ის შეეძლოთ, რომ ლუდით გამასპინძლებოდნენ. მას შემდეგ სიმონსმა გადაწყვიტა ექსპერიმენტალურად გაეტარებინა ერთი წელი ფულის და ანაზღაურების გარეშე. ამ დროის მანძილზე მას გადაწყვეტილი ჰქონდა გაეცა რჩევები ნებისმიერი ჯილდოს სანაცვლოდ გარდა ფულისა, მაგრამ პროექტის შეწყვეტა რამდენიმე თვეში მოუწია. ფინანსისტმა აღიარა, რომ პრაქტიკაში მისი იდეის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა, მაგალითად მან ვერ შეძლო მოლაპარაკება ბინის არენდატორთან, მაგრამ ახალგაზრდა ფინანსისტი თვლის, რომ ექსპერიმენტმა მეტი ასწავლა ფულის ხარჯვის შესახებ, ვიდრე მისმა ფინანსურმა გამოცდილებამ.

# გაეცი და მიიღე

წარსულში შემდგარი ფსიქოთერაპევტი და პედაგოგი ჰაიდემარ შვერმერი წლებია ბარტერის საშუალებით ცხოვრობს. ის უკვე 71 წლისაა, თუმცა ექსპერიმენტის შეწყვეტას არ აპირებს.

1990-იან წლებში დორტმუნდში ფსიქოთერაპევტად მუშაობისას შვერმერმა შენიშნა, რომ მისი პაციენტების პრობლემები მეტწილად დაკავშირებული იყო ფულთან. მან დააარსა სოციალური ქსელი „გაეცი და მიიღე“, რომლის წევრებიც უწევდნენ ერთმანეთს დახმარებებს ბარტერის საშუალებით, მაგალითად სახურავის შეკეთება ძიძის სანაცვლოდ.

მოგზაურობს მსოფლიოს გარშემო და კითხულობს ლექციებს. მისი ავლადიდება ერთ ჩემოდანში ეტევა, ხოლო მისი ფინანსური ოპერაციები მხოლოდ ინტერნეტის საფასურით შემოიფარგლება. ის ბარტერის საშუალებიც ცხოვრობს. მაგალითად, მორიგეობს ღამით იმ სახლში, სადაც ბინას აძლევენ მოსასვენებლად და დასაძინებლად. ის ამტკიცებს რომ ბედნიერია, იმაზე ბევრად ბედნიერი, ვიდრე დორტმუნდში ფსიქოთერაპევტად მუშაობისას - „ბავშვებს ვუხსნი, რომ ფული იგივეა, რაც სკოლაში ნიშანი და შეფასება და არსებობენ სკოლები, სადაც არ არსებობს შეფასების სისტემა, მაგრამ ბავშვები იქ მაინც სწავლობენ, რადგან სწავლა მათ სიხარულს ანიჭებთ“, - ამბობს შვერმარი.

შვერმარზე გადაიღეს დოკუმენტური ფილმი. მან დაწერა ავტობიოგრაფიული წიგნი სათაურით - „ჩემი ცხოვრება ფულის გარეშე“.

# განდი და საკუთარი ხელით მოყვანილი ჩაი



34 წლის ირლანდიელი მარკ ბოილი უკვე წლებია ინგლისის ერთ-ერთ ფერმაში ბუნების ხარჯზე ცხოვრობს. ის ინგლისში 2002 წელს გადავიდა საცხოვრებლად ჩრდილოეთ ირლანდიიდან. მარკი ყოველთვის გამოირჩეოდა ფულთან უარყოფითი დამოკიდებულებით. თვლიდა, რომ „ფული ჩვენ გვაშორებს მოქმედებისაგან“. მას თავისი რადიკალური აზრების დასამოწმებლად განდზე გადაღებული დოკუმენტური ფილმი მოჰყავდა, სადაც გაიჟღერა აზრმა იმის შესახებ, რომ ადამიანი თავად უნდა შეიცვალოს ისე, როგორც უნდა რომ შეცვალოს მსოფლიო.

თავდაპირველად მან გადაწყვიტა ფულის გარეშე მოევლო ინდოეთი, მაგრამ განდის საფლავისკენ დაგეგმილი ორწლიანი მოგზაურობის შეწყვეტა ერთ თვეში მოუწია ენის ბარიერის გამო. ამის შემდეგ მან აამოქმედა გეგმა „ბ“ - ეცხოვრა ფულის გარეშე. ფეისბუქზე გამოაქვეყნა სტატუსი, სადაც ითხოვდა, ეჩუქებინათ მისთვის „ფურგონი“, მჩუქებელი მართლაც გამოჩნდა. მეგობარმა მას კონსერვის ქილებისაგან ღუმელი დაუმზადა, მარკმა კი მზის ბატარეა შექმნა, რათა კომპიუტერისათვის დენის წყარო ჰქონოდა. ის შეუთანხმდა ერთ ფერმერს, რომელსაც მოჰყავდა საკუთარ მიწაზე ნატურალური პროდუქტები, რომ იცხოვრებდა მის მიწაზე და იმუშავებდა მასთან მოხალისედ.

ექსპერიმენტი უკვე წლებია გრძელდება. ის თავს მეტწილად შემგროვებლობით იჩენს, თავად კრეფს ჩაის, რომელსაც სვამს, იკვებება ბოსტნეულით და ხილით, მოლუსკებისგან დამზადებული ფხვნილით იხეხავს კბილებს, და რეცხავს სარეცხს მისივე დამზადებული მცენარეული ნარევით. ის ხშირად უწევს დახმარებას ადამიანებს ნივთების სანაცვლოდ, ზოგჯერ ფულსაც აძლევენ. ია ამ მცირე თანხებზე უარს არ ამბობს, რადგან ფული ინტერნეტისთვის სჭირდება. აქვს საკუთარი ბლოგი, სადაც უყვება ადამიანებს, როგორი პრაქტიკულია ფულის გარეშე სახლის აშენება ან მოგზაურობა.





# მღვიმის კაცი

52 წლის დანიელ შელბარეგერი, რომელიც ცნობილია ფსევდონიმით სუელო, ფულის გარეშე 2000 წლის შემდეგ ცხოვრობს. ამერიკელი მამაკაცის ცხოვრება არაფრით გამოირჩეოდა, მუშაობდა მზარეულად, მაგრამ კარდინალურად შეიცვალა მას შემდეგ რაც ეკვადორში გაემგზავრა „მშვიდობის კორპუსის“ ეგიდით მოხალისედ. მან ნახა როგორ ცხოვრობენ ადგილობრივები: ისინი არ ყიდულობდნენ მავნე პროდუქტებს, თავად მოჰყავდათ ნატურალური საკვები და არც ტელევიზორს უყურედნენ. დანიელი მიხვდა რომ მასაც ასე სურდა ცხოვრება, მიატოვა სამსახური და გადასახლდა იუტას შტატში, ქალაქ მოაბთან ახლოს. სუალო იკვებება ხილით და ნანადირევით. ზოგჯერ მას მეგობრები ეპატიჟებიან ვახშმად. დროის მეტ ნაწილს ის ადგილობრივ ბიბლიოთეკაში ატარებს, სადაც თავის ბლოგს წერს.

სუალოს მეგობარი მარკ სანდინი მოგვიანებით გამოტყდა, რომ თავიდან დანიელი გიჟი ეგონა, მაგრამ 2008 წლის ფინანსური კრიზისის დროს, როცა მისი ბინის ფასი 500 000-დან 300 000-მდე დაეცა, გააცნობიერა „მღვიმის მეგობრის“ ცხოვრების სტილი და როგორც BBC ჟურნალისტებს უთხრა, მიხვდა, რომ ფული ილუზიაა. 2012 წელს სანდონმა გამოსცა წიგნი სუალოს შესახებ სათაურით „ფულისგან თავისუფალი ადამიანი“.

ეს ადამიანები თავისი ექსპერიმენტებით იმას კი არ მოგვიწოდებენ, რომ ყველანი მღვიმეებში ჩაავსახლდეთ და ხილით ვიკვებოთ, ან ბარტერით ვიცხოვროთ, არამედ სურთ დაგვანახოს, რომ ფული არ არის ყველაფერი.

მოამზადა თამუნა კეშელავამ

# სიყვარულის ისტორია: იმპერატრიცას რომანი



1779 წლის შემოდგომაზე თეატრებში მოლიერის წარმოდგენას უჩვენებდნენ, სადაც გმირმა წამოიძახა: ,,30 წლის ქალი შეიძლება იყოს შეყვარებული, მაგრამ 50-ის? ეს მოუთმენელია!“ იმპერატრიცა ეკატერინე II ამაზე ჩაილაპარაკა: ,,სისულელეა, არ არის კარგი სპექტაკლი, მომწყინდა“ და დატოვა დარბაზი. იმპერატრიცა მაშინ 60 წლის იყო და მის ცხოვრებაში ახალგაზრდა გვარდიის ოფიცერი პლატონ ზუბოვი მთავარ როლს ასრულებდა. იმპერატრიცა, ცნობილია, რომ მრავალ ფავორიტს იცვლიდა. მაგრამ 21 წლის პლატონ ზუბოვს ყველაზე მეტად ,,გაუმართლა“.

1789 წლის ზაფხულში ზუბოვი უკვე ირიცხებოდა სამხედრო არმიაში და ის მხედრული დამსახურების გამო კი არა, თავისი სილამაზის წყალობით იმპერატრიცის კარეტის თანმხლებადაც კი მოგვევლინა. ეკატერინას თვალს მისი სილამაზე არ გამოჰპარვია და იგი სადილად მიიპატიჟა. რამდენიმე დღის შემდეგ სასახლის კარისკაცი თავის დღიურში წერდა, რომ როტმისტრმა პლატონ ზუბოვმა მოუხშირა ,,ზევით სიარულს“. რაც ნიშნავდა, ეკატერინე II საძინებელ ოთახში ხშირ სტუმრობას.



მალე სასახლის ლეიბ-მედიკოსი როჯერსონი წერდა, რომ პლატონ ზუბოვი დააჯილდოვეს 100 000 მანეთით.

ამბობენ, რომ პლატონ ზუბოვი მამაკაცური ღირსებების გარდა სილამაზითაც გამოირჩეოდა. მისი პორტრეტი ფრანგმა შარლ ფრანსუა ფილიბერ მასონმა შექმნა: ,,იმპერატრიცას უამრავი მთხოვნელი და მახვეწარი ეხვეოდა გარს დილიდანვე, მიღებასა და გასტუმრებას ლაქიები ვერ აუდიოდნენ. იქვე სავარძელში იჯდა ყმაწვილი კაცი, ფართოდ გახელილი უდარდელი თვალები ჭერზე ჰქონდა მიშტერებული. სახე ცივი და უმეტყველო ჰქონდა, მაშინვე იპყრობდა მომსვლელთა ყურადღებას. იგი ერთობოდა თავის მაიმუნებთან, რომლებიც ხტუნავდნენ ყველგან, გაჰყვიროდნენ და ფეხებში ედებოდნენ მომსვლელებს. დოლგორუკები, გოლიცინები, სალტიკოვები და სხვა დიდებულები, ზუბოვის გარდა, ყველანი მდაბიოებად ჩანდნენ“.

მასონი მათემატიკას და ფიზიკას ასწავლიდა სასახლეში. ეკატერინე II-ის გარდაცვალების შემდეგ იგი გააძევეს რუსეთიდან, მაგრამ ოჯახი – მეუღლე და გოგონა დატოვეს პეტერბურგში.

ულამაზესი ოლგა მასონი ალექსანდრე პუშკინის ნაცნობთა წრეში ტრიალებდა, მაგრამ თვით მასონის განდევნის მიზეზი გახდა პასკვილი, რომელიც მან ზუბოვის შესახებ დაწერა. იმდროინდელი წყაროები იუწყებიან, რომ არასდროს ენახათ ზუბოვისნაირი ანგარებიანი ადამიანი ამქვეყნად.

# ოთახის შხამიანი მცენარეები, რომლებსაც უნდა ვერიდოთ



ზოგიერთი ადამიანი ოთახის მცენარეებს ირჩევს გარეგნობის მიხედვით, ზომით და სილამაზით, მაგრამ ცოტა თუ ფიქრობს იმას, რამდენად საშიში შეიძლება იყოს ზოგიერთი მათგანი.

თუკი სახლში გყავთ პატარა ბავშვები და ცხოველები, განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოთ, რადგან შხამიანი წვენი, რომელიც აქვს ზოგიერთ მცენარეს, თუკი მოხვდა ორგანიზმში, შეიძლება სერიოზული მოწამვლის მიზეზი გახდეს. აი, ეს მცენარეები უქმნიან თქვენს ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს: კალადიუმი, ლილია, ოლეანდრა, მექსიკური წიწაკა, ალოკაზია, ფილდენდრონი და სხვები..

# 50 წლის მამაკაცები 30 წლის ქალბატონებს ირჩევენ



როგორც წესი, მამაკაცები 45-50 წლის ასაკში გაცილებით მცირეწლოვან ქალბატონებს ირჩევენ საცოლედ. მათთვის ყველაზე პოპულარული ასაკი ქალისთვის 30-34 წელიწადია. ბრიტანეთის ნაციონალური სტატისტიკის მონაცემების მიხედვით, 2011 წელს ასეთ მამაკაცთა რაოდენობა 6 პროცენტით გაიზარდა. მათ შორის მამაკაცების უმრავლესობა ადრე უკვე იყო დაქორწინებული. გაირკვა, რომ მამაკაცთა უმეტესობას 50 წლის შემდეგ კვლავ სურს ჰქონდეს ახალგაზრდა ქალბატონთან კანონიერი კავშირი.

# bavSvis bedniereba misi dabadebis Tvezea damokidebuli

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ადამიანის ბედი მისი დაბადების თვეზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული. დიდი ხანი არ არის, რაც მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანის ბედზე დიდ როლს მისი დაბადების თვე ასრულებს და ამავე დროს პასუხისმგებელია მისი სხეულის წონაზეც, იმაზეც, ოპტიმისტი იქნება ადამიანი თუ პესიმისტი, რამდენი შვილი ეყოლება და ა.შ. მაგალითად, გაზაფხულზე დაბადებული ბავშვები ავადმყოფობისკენ არიან მიდრეკილნი, მაგრამ ,,ზაფხულის ბავშვები“ – ყველაზე ბედნიერები არიან.

მოკლედ, თვე განსაზღვრავს ბავშვი მამაცი იქნება თუ მშიშარა, გამხდარი თუ მსუქანი, მაღალი თუ დაბალი. რა თქმა უნდა, დაბადებისთვის ოპტიმალური თვე არ არსებობს, ყველა პერიოდს აქვს პლუსები და მინუსები, მაგრამ არსებობს თვეები, რომლებსაც ნაკლები რისკები ახასიათებს.

## ზამთრის ბავშვები

მათი უმრავლესობა ხშირად ავადობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებით. ბრიტანეთისა და ედინბურგის უნივერსიტეტის მკვლევარების ცნობით, ზამთრის თვეებში დაბადებულ პატარებში გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკი 24 პროცენტით მაღალია. ქალბატონები, რომლებიც ზამთარში დაიბადნენ, ხშირად უჩივიან სის-



ხლში ქოლესტერინის მაღალ შემცველობას, ამიტომ მშობლებმა პატარაობიდანვე უნდა მიაქციონ ყურადღება მათ კვებას.

ფსიქოლოგების შეხედულებით, ზამთარი ეს არის შესანიშნავი დრო წარმატებული ადამიანების დაბადებისთვის, მიზანმიმართული, ძლიერი ადამიანების დაბადების დრო. ეს ადამიანები შრომობენ და თავის მოქმედებებში დარწმუნებულნი არიან, ზამთარში დაბადებული ადამიანები პატარა ასაკში ხშირად კამათობენ მშობლებთან უბრალო და უმნიშვნელო თემებზე. არ შეუძლიათ აღიქვან საკუთარი შეცდომები,

## გაზაფხულის ბავშვები

გაზაფხულის ბავშვები სუსტები არიან, მიდრეკილნი გაციებისა და გრიპისკენ, ისინი ალერგიულები არიან და ხშირად ავადმყოფობენ.



ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ გაზაფხულზე დაბადებული ბავშვები ყოყმანები არიან და უჭირთ გადაწყვეტილებების მიღება. მათ შეუძლიათ ყურადღებით უსმინონ მოსაუბრეს. როგორც წესი, აქვთ სწორი შეხედულება და შეფასება საკითხებისა, მაგრამ არ უყვართ კამათი და უარს ამბობენ ლიდერის პოზიციებზე. მშობლებმა უნდა ეცადონ გააღვივონ გაზაფხულის ბავშვებში საკუთარ თავში დარწმუნებულობა, რომ იფიქრონ თუ როგორ სჭირდება ის გარშემომყოფებს და არის დაცული ახლობლების გარემოცვაში.

## ზაფხულის ბავშვები

ზაფხულობით ოპტიმისტები და ბედნიერები იბადებიან, – ამტკიცებენ ჰერტფორდშირის უნივერსიტეტის პროფესორები. ზაფხულში დაბადებულები თავიანთ



თავს გადაჭარბებულად აფასებენ. ოპტიმისტები არიან. პოზიტიურად უყურებენ ცხოვრებას, თავიანთი თავი იღბლიანად მიაჩნიათ და კმაყოფილი არიან ამით. ზაფხულის ბავშვები ემოციურობით გამოირჩევიან, კეთილი, შთამბეჭდავი, იმპულსური ნატურა აქვთ. არავის არაფერს შეარჩენენ, მაგრამ გულღრძო არ არიან. მიდრეკილნი არიან კარიერისკენ, მათ არ ეშინიათ რისკების და მსხვერპლშეწირვაც შეუძლიათ. მშობლები უნდა შეეგუონ იმას, რომ მათი შვილი განსაკუთრებულ მზრუნველობას გამოიჩენს უსახლკარო ცხოველებისადმი, იქნება სუსტების დამცველი და დაჩაგრულ თანაკლასელს ყოველთვის გამოესარჩლება.

## შემოდგომის ბავშვები

თუ გინდათ თქვენი შვილი დღეგრძელი იყოს, უნდა ეცადოთ, ის შემოდგომაზე დაიბადოს. ამაში მას ეხმარება ოპტიმის-



ტური ხასიათი. შემოდგომის ბავშვები სწავლისა და ცოდნის მოპოვებისკენ არიან მიდრეკილნი, იშვიათად აქვთ კონფლიქტი მეგობრებთან და მშობლებთან, ადრიანად იგებენ ფულის ფასს, გამგონე, მიხვედრილი, დიპლომატიურები არიან. თუკი მშობლები ცხოვრებაში სწორ მიმართულებას აარჩევინებენ და დაეხმარებიან, ისინი წარმატებულები იქნებიან საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში.

მოამზადა
**ანა ვადაჭკორია**

# ჰოროსკოპი

## ვერძი



ვერძებს შეუძლიათ ექსპერიმენტირება გარშემომყოფებზე: შეცვალონ მეგობრები, იპოვონ ახალი კავშირები, გააბან ნაცნობობა. მის წრეში შეხვდებით ადამიანებს რთული ხასიათით და არაორდინარული პიროვნულობით. შეუძლიათ ორიგინალურად აზროვნება. ვერძები უპირატესობას ანიჭებენ რთულ ტექნიკას და ავტომობილს, თვალყურს ადევნებენ სიახლეებს ელექტრონულ ტექნიკაში და ზოგჯერ თავადაც შეუძლიათ რაიმეს გამოგონება ან გაუმჯობესება. ამ ნიშნის წარმომადგენლები, რომლებიც გატაცებულნი არიან ეზოთერიით, ხშირად იგონებენ მომავლის პროგნოზირების საშუალებებს.

## კურო



შეუძლიათ თავი გამოსცადონ მედიტაციაში. კუროებს შორის შევხვდებით ადამიანებს, რომლებიც ექსპერიმენტირებენ აღმოსავლურ ფსიქოტექნიკაში, ჰიპნოზში, თუმცა ასეთ ექსპერიმენტებს შეუძლიათ დამოკიდებულება გამოიწვიოს, ან იმოქმედოს მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, ამიტომაც უკეთესი იქნება თუ მათ ჩატარებაში გამოცდილ სპეციალისტებს დაიხმარენ.

## ტყუპები



ზოდიაქოს ამ ნიშნის წარმომადგენლები ხშირად ატარებენ ექსპერიმენტებს იმიჯზე, ტანისამოსზე, ვარცხნილობასა და საუბრის მანერაზე. ტყუპებს კარგად შეუძლიათ როლის მორგება, შეუძლიათ სრულიად სხვა ადამიანი გახდნენ და სხვა სოციალური დანიშნულება მოირგონ. მათ მუდმივად აინტერესებთ სად გადის მათი შესაძლელობების ზღვარი.

## კიბო



კიბოს არ უყვარს ცვლილებები, რადგან ეშინია ცხოვრების ჩვეული რიტმის რღვევის, დაცულობის და კომფორტის რღვევის. მათ იმაზე ფიქრიც კი აშინებთ რომ დაგროვილ თანხას დაკარგავენ, ან შემოსავლის წყარო აღარ დარჩებათ. ამიტომაც კიბოები კარგი ფინანსისტები არიან, ისინი მუდმივად ცდილობენ გამოიგონონ ფულის და სიმდიდრის დაგროვების ახალი შესაძლებლობა.

## ლომი



ლომები კარგად გრძნობენ თავს ფილოლოგიისა და ინფორმაციის სფეროში. განსაკუთრებით კარგად პოულობენ თავს ჟურნალისტიკაში, პუბლიცისკიკაში და ლიტერატურაში. მათ შრომის და ძალისხმევის გარეშე შეუძლიათ ახალი სიტყვის, ფრაზის ან ანეგდოტის შეთხზვა.

## ქალწული



თუ ქალწული რამეს რადიკალურად ცვლის, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ამისათვის დიდხანს და კარგად ემზადებოდა. მას გამოთვლილი აქვს ამ ცვლილების დადებითი და უარყოფითი მხარე და ისე აქვს მიღებული გადაწყვეტილება. მისი ექსპერიმენტის ადგილი - სახლია. აი, სად შეუძლია მას ფანტაზიის განვითარება. ამ ნიშნის მქონე ადამიანებს შეუძლიათ შექმნან მშვიდი გარემო სახლის ნებისმეირ კუთხეში, დაამზადონ ორიგინალური დეკორი, წარმატებით მოაწყონ ინტერიერი. ისინი ინტუიციურად გრძნობენ, სად უნდა იდგეს საწოლი და სად უნდა განთავსდეს სავარძლები, სადაც მძიმე დღის შემდეგ მოისვენებენ.

## სასწორი



ამ ადამიანებს ხშირად შეუძლიათ ინტერესების და ჰობის შეცვლა. როცა სასწორი ფიქრობს, რომ უკეთეს ცხოვრებას იმსახურებს, თვალის დახამხამებაში და სინდიის ქენჯნის გარეშე შეუძლია შეცვალოს ყველა და ყველაფერი, უარი თქვას ძველ ჩვევებსა და იმიჯზე. ასე რომ, მათი ექსპერიმენტების ველი უზარმაზარია.

## კირჩხიბი



ამ ნიშნის ადამიანების შეუძლიათ შრომის იარაღების გამოგონება, ასევე შეუძლიათ სხვადასხვა მეთოდები მოიგონონ მიზნის მისაღწევად. მათ შეუძლიათ ექსპერიმენტის დროს ჯანმრთელობა დააყენონ საფრთხის ქვეშ ან მეტიც, საკუთარ ჯანმრთელობაზე ატარონ ექსპერიმენტები, მაგალითად, ფიზიკურ გამძლეობაზე, მაგრამ შემდეგ აუცილებლად ისევ თავად იპოვიან შესაძლებლობას, რომ დახარჯული ძალები აღიდგინონ და ჯანმრთელობა გაიუმჯობესონ.

## მშვილდოსანი



მათი ექსპერიმენტის სფერო ოჯახური და საქმიანი ურთიერთობებია. ურთიერთობა რაც უფრო ძველი და ძლიერია, მით უფრო საინტერესოა. დასახული მიზნის მისაღწევად მშვილდოსნებს მსხვერპლის გაღებაც შეუძლიათ და განშორება და კონფლიქტები მათ ვერ შეაჩერებს.

## თხის რქა



არ უყვარს ცხოვრების რითმის შეცვლა, მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში შეუძლია ექპსერიმენტზე წასვლა. როგორც წესი, ის ყოველთვის ეძებს გზებს და მეთოდებს იმისათვის, რომ დაიბრუნოს დაკარგული ან დანგრეული. მათ შეუძლიართ ძველ ნივთებს ან ურთიერთობებს ახალი ცხოვრება მისცენ. ასეთ ადამიანები კარგი რესტავრატორები გამოდიან.

## მერწყული



მერწყულების ექსპერიმენტების ნიჭი უფლისგან უხვად დააფერთხა. მათ შეუძლიათ იმუშაონ სამეცნიერო კლევებზე, გააკეთონ ახალი აღმოჩენები. ისინი მუდამ გარშემორტყმულნი არიან წარმატებული და საინტერესო ადამიანების გარემოცვით. ზოდიაქოს ამ ნიშნის წარმომადგენლები დიდ წარმატებებს აღწევენ ექსპედიციებში, მათ ახალი ინფორმაციის მოპოვება შეუძლიათ იქაც კი, სადაც ეს სხვებმა ვერ შეძლეს.

## თევზები



თევზები საკუთარი იდეების ექსპერიმენტატორები არიან. შეუძლიათ შეიცვალონ ცხოვრების აზრი და ცხოვრებისეული ფასეულობებები. ისინი კი არ ღალატობენ თავიან ოცნებებს, უბრალოდ, ცვლიან მათ. დადებითი შედეგის მიღწევა თევზებს შეუძლიათ ახალი გზის პოვნით, ახალი ავტორიოტეტების პოვნით. უარს ამბობს რა ძველ გზაზე, ის თავად აგებს თავის გზას ან ბილიკს.

მოამზადა
**თამუნა კეშელავამ**




**სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)**

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63



ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com